

652  
1973/2



# კრიტიკა

1 , 7 3 6

## అందానుసం

# శాస్త్రవ్యాఖ్య

6. గణాధార్ప — ఆయామిగాడ మంత్రం	3
7. విషాదింపులు — ల్యాజీస్టిం	19
8. వార్షావింపు — కుపితాన్ని ల్యాజీస్టిం	23
9. మహిషమింపు — మాన్యమాలిన మిస్టర్ ప్రాథమికం	26

12-194

## సారింగ్ రాపు

6. విషాదింపు — విశ వ్యాప సాధానం మాన్యమాలిన పిల్లలు ఇంధన మిస్టర్ ప్రాథమికం	38
7. విషాదింపులు — లిఫోప్పులులు ఇం వ్యాపకిలులు తులులు నిర్మించి మిస్టర్ ప్రాథమికం విషాదింపులు మిస్టర్ ప్రాథమికం	40
8. విషాదింపు — గాంధీ ఇం స్టా తులులు మిస్టర్ ప్రాథమికం గాంధీ మిస్టర్ ప్రాథమికం సాధానం	59
9. విషాదింపు — ఆపారాన్ వీరులు మిస్టర్ ప్రాథమికం-సాధానం మిస్టర్ ప్రాథమికం తాపిలెంబులు మిస్టర్ ప్రాథమికం	69
10. విషాదింపులు — మిస్టర్ ప్రాథమికం మిస్టర్ ప్రాథమికం కార్బింపులు	75

## కెలంగెర్రా

ఎ. విషాదింపు — ఇంసాసులిపులు	
అందానుసం	81

మిస్టర్ ప్రాథమికం-మిస్టర్ ప్రాథమికం ఇం  
సాధానం మిస్టర్ ప్రాథమికం-మిస్టర్ ప్రాథమికం

సాధానం వీరులు సాధానం  
మిస్టర్ ప్రాథమికం కాపిలులు ఇం  
మిస్టర్ ప్రాథమికం వీరులు మిస్టర్ ప్రాథమికం

ప్రాప్తిశ్రావం — 1973

మొదమింది — ఇంసాసులు

### რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. აზვლედიანი, მ. ვარუბანიძე (პ. მგ.  
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ურ. ხალვაშვი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.  
ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.73, საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.  
შექვეთის № 5747, ემ 00135, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9  
(ლუქსემბურგის, 20).

## ნორა მორებეძე

# კ დ კ ა ტ ი ს ი

3.

ანდრომ კონსპექტი უურნალ „პარტიულ ცხოვრებაში“ ჩაღო და მაგიდის კუთხისაკენ მისწია. კითხვისაგან გაბურვანებული იყო, მაგიდაზე ნიდაყვდაყრდნობილი ოცნებას მიეცა. მეორე ოთახიდან ქალის ფეხის ხმა ისმოდა, ეტყობოდა, ნინო ოთახს ალაგებდა. ანდრომ უურნალი ისევ აიღო, გადაფურცლა და ამ ორიოდე წუთის წინ წაყითხულ გვერდს ისევ გადაავლო თვალი, რამდენიმე წინადადება თვისითვის გაიმეორა, მერე ზეპირად თქვა და უურნალი ისევ მაგიდაზე დადო. სამსახურის შემდეგ ყოველდღე თითო საათს თავის თავზე მუშაობდა, საინტერესო მასალებს სწავლობდა, ეცნობოდა სხვათა პარტიული მუშაობის გამოცდილებას, უდარებდა საკუთარი მუშაობის მეთოდს და ხალხთან ურთიერთობის ახალ-ახალ გზებს ეძებდა. ვინც არ უნდა ყოფილიყო, — ქალაქქომის აპარატის მუშაკი, საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშა, ცდილობდა, უპირველესად მისი ხასიათი ამოეცნო და იმისდამიხედვით ემოქმედა. აკვირდებოდა მათ მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს. განსაკუთრებით უდგებოდა იმათ, რომლებიც ლიდ პრეტენზიებს აცხადებდნენ, ასეთი ადამიანები უკმაყოფილო, მიზეზიანი და დაუნდობელი არიან. საქმე არ უყვართ, თავს კეთილად აჩვენებენ, მაგრამ როგორც კი დროს გიშვიიან, ყელში წაგიჭერენ.

„პარტიულმა ხელმძღვანელმა, — ფიქრობდა იგი, — ბევრი რამ უნდა დათმოს პირადი, რომ მისი სჯეროდეთ, სწამდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხს მოიკიდებს ფარისევლობა, მაამებლობა და ტოტს, რო-

\* დასასრული. იხ. „ჭოროხი“, № 5

მელზეც ზის, თავად მოჰრის! ხელმძღვანელობის ლაბირინთებში უნდა იარო, ფეხი არ აგერიოს. რასაც აკეთებ, უნდა გწამდეს მას მოჰრის — თებ ხალხისათვის, ქვეყნისათვის!“

ანდრომ მაგიდაზე თითები აათამაშა. იგი ცდილობდა საკუთარი თავის კონტროლი არ დაეკარგა, როგორც ფიქრობდა, ისე ეკეთებინა. ადამიანის არსებობა მაშინ არის გამართლებული, — იტყოდა ხოლმე იგზ — როცა ერთ აგურს მაინც დადებ ხალხის საკეთილდღეოდ!

საკმაოდ დიდი დრო გასულიყო. ჩამავალი მზე იხედებოდა ფანჯარაში. ანდრომ მკლავები შეავარჯიშა, ფეხი გამართა — გიარ-გამოიარა, თუმცა გონებაში კვლავ ფიქრები უტრიალებდა. ჩვეულება ჰქონდა, როცა რასმე მოიფიქრებდა, დიდხანს კრიტიკულად ამოწმებდა, გონებაში სწონიდა, მსჯელობდა.

ნინო ტელევიზორს უყურებდა, მაგრამ ეტყობოდა, გადაცემა არ ისე საინტერესო იყო და, ქმარი რომ დაინახა, ყურადღება მასზე გადაიტანა. ანდრომ სავარძელი მის გვერდით დაიღგა.

— ძველი ფილმია, — თქვა მან.

— ჰო.

მაგრამ ანდრო მაინც ინტერესით უყურებდა. მეტე ქალს ჰყითხა:

— ბიჭი მეცადინეობს?

— კი.

ანდრო ბიჭის ნიშნებით უქმაყოფილო იყო — დღესაც ისტორიაში ხუთი მიუღიაო. იცოდა, რომ ბიჭს ხუთი არ ეკუთვნოდა. დღიურში რომ ჩაიხედა, არ ესიამოვნა, მაგრამ არაფერი უთქვამს, შვილს დღიური წინ დაუგდო და გამობრუნდა. სხვა რამ იყო საჭირო, რომ ბიჭს ბეჭითად ესწავლა. რჩევა-დარიგება არ სწრიდა, არც დატუქსვა.

— დღიური ნახე? — ჰყითხა ცოლს.

— კი.

— არ მჯერა იმ ხუთიანის!

— აფხაზ რომ მიეღო?

— იმ ხუთიანს აჯობებდა!

ქალი სავარძელში წამოიწია. თითები ერთმანეთს გადააჭდო და ნიდაყვებით სავარძლის სახელურს დაეყრდნო.

— ჯერ ბავშვია, მეტი რა ქნას?!

— როგორ თუ რა?! ნინო, არ ხარ მართალი! რა უნდა ვუთხრა ახლა მას?.. იმეცადინებ-მეთქი?! ვმეცადინეობო მეტყვის; უკეთესი ნიშანი მიღე-მეთქი?! ხუთხე მეტი რა მიიღოს. არადა, საგანი ხუთხე არ იცის.

— ვითომ ხათრით უწერენ?

— რა თქმა უნდა! და ამით კარგ საქმეს აკეთებენ?! სრულებითაც

არა! ბიჭი ეჩვევა მაღალი ნიშნის იოლად და, რაც მთავარია, დაუმსახულებელი რეგლად მიღებას. არ ვარგა, როცა ადამიანს ყველაფერი მზამზენეული / აქვს. რაღაცაზე ხომ უნდა იციქროს, რაღაცაზე ხომ უნდა იჭრენებელი ჩვენი დანაშაულია, რომ ბავშვებს ყოველმხრივ უზრუნველყოფის ვაჩვევთ. ჩვენს ბიჭს ხუთები აქვს, მაგრამ ცოდნა?!. მთავარია ცოდნა და არა ნიშანი! მართალია, ნიშნით განისაზღვრება კლასიდან კლასში გადასვლა, უმაღლეს სასწავლებელში მოწყობა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიღვება და არ ეცოდინება ის, რაც უნდა იცოდეს, რა უნდა ქნას?!

— სხვები ბავშვებს ტუქსავენ, ხუთი რატომ არ გაქვსო, ჩვენ კი იმისათვის დავსაჭოთ, რომ ხუთიანი მიიღო?!

— არა, ბავშვი რა შუაშია, მასწავლებელია დამნაშავე!

ნინომ თავი ორჟოფულად გააქნია.

— იციან, გოგის მამა ქალაქქომის პირველი მდივანია და მას არ ეწყინოსო, ხუთიანს უწერენ. კეთილი და პატიოსანი, სანამ მდივანი ვარ, ჩემს შვილსაც ხუთები ექნება, მაგრამ როცა მდივანი არ ვიქნები?.. მის გაძაცეობებელ საქმეს ვინ გააკეთებს?.. არავინ. მასხრად აიგდებენ, არაფერი არ იცისო.

— მგონი, ჩვენმა ბიჭმა სხვებზე მეტი იცის!

— თვითდაჯერება აფუჭებს საქმეს!

— შეიძლება!

— მასწავლებელს, ან სკოლის დირექტორს ჰგონია, თუ ჩემს ბიჭს ხუთი არ დაუწერეს, საბაბს ვუშოვი და დავსჯი! ან კიდევ, რაკი ჩემს ბიჭს ხუთი დაუწერეს, რაც არ უნდა მთხოვონ, გავუკეთობ.

— ჰმ! — ქალმა გადაჭდობილი თითები გახსნა და ისე დააცერდა, გეგონებოდა, ითვლისო.

— სწორედ ამიტომ შეიქმნა ასეთი აზრი, ხელმძღვანელის შვილს უსათუოდ ხუთები უნდა დაუწერონ. ის კი არ იციან, რომ ამით დათვურ სამსახურს უწევენ!

— ახლა არ იკითხავ მე როგორ მექცევიან? — ჩაიცინა ქალმა, —

რაც არ უნდა ვთქვა, იმავე წამს ჩემს აზრს გაიზიარებენ, რაც არ უნდა ჩაგიცვა, ყველაფერი ძეირფასია და საუცხოო. ჩემი ბავშვობის ამხანგ-საც კი ადამიანურად ვერ დავლაპარაკებივარ.

— არ ვარგა, არა!

— ვუსაყველურო? ეწყინება!

ანდრომ ფიქრიანი თვალები ტელევიზორს მიაჩერა.

— სწორედ ამიტომ, იძულებული ვარ მოვერიდო მათ და უკარება გამოვლივარ, დიდი კაცის ცოლი ხარ და არ გვაღრულობო. ჰმ! რა სა-საცილოა.

— ან ძალიან თუ გეფერებიან, — განაგრძო ქალმა, — მოგიხმაროს  
უნდათ!

ანდრო წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მერე ტელევიზორს ხმა დაუჭია  
და შეუა ოთახში გაჩერდა.

— ჩვენც ხომ ადამიანები ვართ?!

ქალმა ყოყმანით მიუგო:

— ვფიქრობ, უფროს-უმცროსობაში ჯერ კიდევ მცდარი გაგებაა!

— რა არის ამის მიზეზი?

— ძნელია თქმა!

— არა, — ანდრომ ჯიბეებში ხელი ჩაიწყო, იატავს დააჩერდა, —  
უბრალო რამ არ ესმით და უკიდურესობამდე მიღიან — ირლვევა ნორ-  
მალური ურთიერთობა, იკარგება ადამიანის ღისება... იმით კი არ უნ-  
და შეაფასო ადამიანი, თუ რა თანამდებობა უჭირავს, არა, იმისდამიხედ-  
ვით თუ როგორი პიროვნებაა თვითონ. როგორ ვთქვა და ჩვენში ბევრი-  
სათვის ჯერ კიდევ უცხოა ნამდვილი პუმანიზმი. რისთვის იბრძვის ადა-  
მიანი? — უკეთესი ეკონომიური პირობებისათვის, სახელისათვის. ეს  
თვისებები დასაგმობი როდია, მაგრამ იგი არ უნდა გამომდინარეობდეს  
მხოლოდ სურვილებისგან. თუ უკეთესი ეკონომიური პირობები გინდა,  
იმუშავე ერთგულად, სახელი გინდა? — პეტერ ისეთი რამ. რაც უკვდავ-  
გუოფს!

— კი, თქმა უფრო იოლია!

— ვიცი!

— მაშ, რატომ გიკვირს?

— არ მიკვირს, მაგრამ...

— მაგრამ მაინც გიკვირს! — გააშუვეტინა სიტყვა ცოლმა.

— თუნდაც ასე იყოს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერ ვხვდები, რა  
ხდება და რატომ ხდება!

— ჩვენთან სკოლაში, — თქვა ქალმა, — არიან პედაგოგები, რომ-  
ლებიც მხოლოდ პირადულიდან გამოდიან.

— ჰმ, ვერ გამიგია, რა არის იმაზე უფრო ძვირფასი, როცა საერთო  
სახალხო საქმეს აკეთებდე?! იზრუნო მხოლოდ კუჭისათვის?!.

— ზოგი კი პირიქით ფიქრობს!

— უბედურებაც ეს არის! ასეთი ხალხია ჩვენი საზოგადოების წინ-  
სელას რომ აფერხებს, — ოთახში გაიარა ანდრომ, — მაგრამ ეს დროე-  
ბითია, დროებითი!

კარი გაიღო და ოთახში გოგი შემოვიდა. ორივემ ერთდროულად შე-  
ხდა ბიჭს.

— გაკვეთილები მოაშადე? — ჰყითხა მამამ.

- კი. — თავი დააქნია ბიჭმა.  
 — ხუთანებზე თუ... გუშინდულად?  
 ბიჭმა წყენით ტუჩები აიბზუა.  
 — გაკვეთილები ვიცი! — თქვა მან.  
 — შევამოწმებ, დილით სკოლაში ისე არ წახვალ, სანამ გაკვეთილს  
 არ ჩამაბარებ, ახლა კი დაისვენე.

უკვე მერამდენე დღეა მამას მისი ნიშნები არ მოსწონს. რაც უნდა  
 კარგად მოუყვეს გაკვეთილი, მაინც საყვედურობს — ტექსტს ზეპირად  
 ნუ ამბობ, დამოუკიდებლად იაზროვნებო. მასწავლებელი კი აქებს, როცა  
 გაკვეთილს სულმოუთქმელად ჩაარკიავებს, კლასის გასაგონადაც ამ-  
 ბობს, აი ასე უნდა გაკვეთილს მომზადებაო, და ხუთიანს უწერს. თუ  
 ზეპირად არ ისწავლა გაკვეთილი, ლაპარაკი უჭირს, მოფიქრებისას ყოფ-  
 მანობს, და მასწავლებელი ესაყვედურება, წაგიზარმაცებიაო. დაბალი  
 ნიშანი რომ მიიღოს, მაშინ შინ აიკლებენ, ცუდად სწავლობო.

ნინო ადგა!

— მოდი, გოგი, დაჯეჭი.

გოგიმ მორიდებით ჩაუარა მამას, თვალებში ვერ შეხედა, ჩაჯდა სა-  
 ვარძელში და ტელევიზორს მიაჩერდა.

— გადავიღალე, კარგი იყო კინოში წავსულიყავით, — უთხრა ცოლს  
 ანდრომ, — გულს გადავაყოლებდი!

— უკვე გვიანია.

ანდრო ახლა ბიჭს მიუბრუნდა.

— გოგი, დაუძახე ბიძია ვალერიანს, მამამ გთხოვა, ჭადრაკი ვითა-  
 მაშოთო, — მხარზე ხელი გადაუსვა, — აბა, გაიქეცი.

ვალერიანი კარის მეზობელი იყო, დურგლად მუშაობდა სამშენებ-  
 ლო-სარემონტო კანტორაში. ოთხი შეილი ჰყავდა, უფროსი უმაღლეს  
 სასწავლებელში აბარებდა, ვერ მოეწყო და აგერ ორი თვეა არაფერს  
 აკეთებს. ანდროს უყავრდა ვალერიანთან საუბარი, თავისუფალ დროს  
 ჭადრაკს თამაშობდნენ ხოლმე. თბილი კაცი იყო, ოჯახიც თბილი ჰქონდა.

— სასმელი გვაქვს? — იქითხა ანდრომ.

— კი, ერთი ბოთლი კონიაკია! — ჭალმა ეჭვით გადახედა, — დალე-  
 ვას აპირებთ?.. გვიანია!

— თითო სირჩა... არასოდეს უპატივცემულოდ არ გამოვუშვივარ!  
 თაახში ბიჭი შემოვიდა.

— ჩავიცვამ და მოვალო.

ჩამობნელდა. ანდრომ შუქი ჩართო. ცოტა ხნის შემდეგ ქუჩაშიც აი-  
 ნთო ლამპიონები. გრილი საღამო იყო, სასეირნოდ გამოსულიყვნენ და  
 ნელა მიბაასობდნენ. მოხუცებს სახლის წინ დაბალი სკამები გამოეტანათ,  
 ზოგსაც გასაშლელი ალუმინის სავარძლები და ქუჩის პირას ჩამომსხდა-

հոյզնեն. համգենիմյ ծովո սկորթուլո Շարվլեթու և կերպետ սակառս  
քուտեղմո օդցա և ռենչըմձա.

անգրոմ პյուրանցու սանցուլոց ի ամույարթաւ, վալրայո ցամունքու սակառս  
ջայլու ա վալյուրանու նշանակալու.

նոն աել սյուրնալ-ցանցուց առալուրեթու ջայանից համոմքձարո.

— նշանակալու? — ոյտես յարեթմո ցալյուրանմա.

— մոծրմանցու, մոծրմանցու! յրտգրուլու սուտերյ ուռու-յմարմա.

ցալյուրանու սանցուլոնի մալալո, ցամեժարո ոյր. ելլեթու լայուրու-  
լո չյոնցա և մարցենա ելլու սահցենցելու տոտո — սաեսարմո վայ-  
ցերունո. չյու յուցա աելցանցրունանու ելլու երեթու մոկուլուա. անգրոմ  
սրումարս սկամո մացութան ջայլցա.

— եռմ առ մոցալունց? — չյոտես ման.

— առա, առա, პորոյտ, մոեւնուն! — ցաւունա ման, — ուռլուս սայց-  
լուրեթմա ամոյլու, յե մոնցա, ուս մոնցառ. տյաց չարո ցիցըրսատ, նշանակալու-  
լո աճամունցի ծրմանցեթու, հյոմ ուռլու յու ռասաւ ջանաեացս, պայլա-  
ցուրու սնցա!

— չա, չա, չա... հաս օթամ, — ցաւունա անգրոմ, — ասյուա յալյեթո!

— սէ, նոյ մերիցու!

— տյաց մեյլութիւ սայցելուրո առ ցետյմուտ, — հայրու սայնարմո  
նոն, — մալուն յարցո աճամունուա!

— յո, ծարոնու, զոն հիզուս ցուլուառ, մացրամ... մաբարույտ, հյոմ յալ-  
չի լապարայուտ նշանացունցետ!

— համու ցցոնուատ? — սուտերա անգրոմ և մացութան ջախցա.

— սիհեմու յրտ լույս չյու մուցես, ույ յու սուլու ամոմոյցանա պալ-  
մո! — սուլունու տյաց ցալյուրանմա.

— յալս ցիցունց, հալցան յալսա! — անգրոմ վալրայուս ջայու ցա-  
մալու և ցոյցուրեթու ջայիցո.

— մարտալուա, — մուցա ցալյուրանմա և პորզելու սուլա ցայցետա.

— ո, հա եարտ յալունցու?! — լոմունու տյաց նոնոմ.

համգենիմյ սուլա ներութիւ ցայցետու, մերյ ճատոյիրդնեն. ցամաւրեթու  
տամանունց նանցան ծանչունցու վալապարակութունցնեն եռլմյ. პոր-  
զելու პարտու անգրոմ վայցու, ոնան, հոմ մալու սուլսրու սուլա ցայցետա.  
մեռնյ պարտու սուլու ցածրեցուլու ջայիցո, յրտցարո յոնուտաց. ցոցի  
մատ տաման մացութիւ նուրայցապարանունցունու սուլուրեթու. ոյց մատու սուլ-  
ու յրկցունու յոնունացու սուլունու և նորցչու նշենունաւ ամուց-  
ցա — ույ առ սնցա ցետամանատ.

նոնոմ ջածալու մացութան ջայանուա մունչու, ցայրունու սայարմութու ջա-  
յիցու և յոնունայու, տեսու և ցամունունա.

— ესეც ასე! — თქვა ანდრომ და მხედარი შესწირა.

— ძალიან კარგი! — ჩაილაპარაკა ვალერიანმა და მხედარი დაუფრი/ ქოქბლად/ აიღო, მერე დაკვირდა და წამოიძახა, უჰ, ეს რა მიქნასურმასჯელი რამ უკვე გვიანი იყო, მესამე სვლაზე დაშამათდა.

— ასე ვიცით ჩვენ! — ნიშნის მოგებით უთხრა ანდრომ.

ათი დაიწყო. მესამე პარტია ჩქარი ტემპით გაითამაშეს — ვალერიანმა ორივე ხელი მაღლა ასწია, გნებდებით. მერე დაბალ მაგიდასთან სუვარძელში დასხდნენ. ჭიქები ნინომ შეავსო. ვალერიანი თავს შორს იჭერდა, საოქმელს ვერ ამბობდა, თუმცა ცდილობდა, ბუნებრივი ყოფილობო. ანდრო გრძნობდა მის უხერხულობის, მორიდებას და შინაურული ტონით ელაპარაკებოდა. მეგობრულად მხარზეც დაპკრავდა ხოლმე ხელს. დაილოცეს და თითო სირჩა კონიაქი გადაპკრეს.

— როგორ მიდის ბინის მშენებლობა? — ჰკითხა ანდრომ და თხილი გატეხა.

— ცუდი ხის მასალა გვაქვს.

— ცუდი?

— ღიას, კარგი გამომშრალი არაა.

— ჰმ! ივივე მეორედება. — თქვა ანდრომ თავისითვის.

— გაკეთებულს ფასი არა აქვს, მობინაღრეები საყვედურობენ, ხან ფანჯარა არ იყეტება და ხან კარი.

ანდრომ ჭიქები შეავსო.

— იოლად გადიან! — თქვა მან.

— ჴო, ჩქარობენ გეგმის შესრულებას! — ვაშლი ხელში შეატრიალა, მერე შუაზე გახლიჩა და ერთი ნახევარი თეფშზე დადო. — მშრალი მასალა დასამუშავებლადაც კარგია.

ანდროს ფარული ნერვიულობა ყელში მოებჯინა, ჭიქა აიღო, ხელში ეჭირა და ისე დასცექროდა, თითქოს საოქმელი ვერ ენახა.

— საქმისადმი სიყვარულს გაუმარჯოს! — თქვა მან დუმილის შემდეგ, — პატიოსან მუშას!

ვალერიანი გადაიხარა, ჭიქა აიღო და თავის დაკვრით ღაეთანხმა. არ დაულევია.

— მეუხერხულება, ბატონო ანდრო, მაგრამ მაინც უნდა გთხოვო.

— გისმებ!

— ცუდად ნუ გამიგებ, — თავი მორიდებით დახარა, — ბიჭი მყის უმუშევარი და რა ვენა არ ვიცი, სად მოვაწყო... ვითიქრე, ჩემთან ვამყოფებ-მეთქი, მაგრამ არ ქნა და მაინცდამაინც არც მე მინდოდა. ისეთ საქმეს მინდა ხელი მოჰკიდოს, ცხოვრებაში რომ გამოადგება.

ანდრომ დაკვირვებით შეხედა.

— შენ შენი პროფესია არ გამოგადგა?

— როგორ არა, მაგრამ მას ინჯინრობა უნდა, აიჩემა, მანქანათმშენებლობა მინდაო.

ანდრომ სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა და სავარძლის საზურულო ურდნო.

— ძალიან კარგი სურვილია, დაიწყოს მუშაობა და დაუსწრებლად განაცრცოს სწავლა. ჩვეხი ახალგაზრდობის ნახევარზე მეტი დღეს ასე სწავლობს. სწორიცაა, მეტ გამოყიდვებას იღებენ!

ვალერიანმა თავი მორიცებით შეაჭანა.

— მას დასწრებული უნდა!

— იმიტომ რომ მუშაობა და სწავლა ერთად უფრო ძნელია, ვეღარ იხეტიალებს. არ ვართ მშობლები მართალი. ბავშვს შრომას არ ვაჩვევთ და შემდეგ უჭირთ! რა არის ამაში ცუდი, მოეწყოს მანქანათსაშენ ქარხანაში რიგით მუშად და შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში?! მგონი ეს მის ღირსებაზე მეტყველებს! ვიცი მშობლის გული — შენი შვილი გინდა სხვებს არ ჩამორჩეს. და ის სწორედ ეს არის მშობლების შეცდომა. ბავშვი არ უნდა მიეჩვიოს უსაქმურობას. ოქვენი ვაჟი უკვე ორი თვეს არაფერს არ აკეთებს. გავა დრო და ისე შეეჩვევა ხეტიალს, რომ მერე რომც მოინდომოს, სამუშაოს გულს ვერ დაუდებს. სანამ ხარ, შენი იმედით იცხოვრებს!

— მეც ასე ვფიქრობ, მანქანათსაშენ ქარხანაში დაიწყოს მუშაობა.

— რა თქმა უნდა. ახლა იგი მონახავს მასავით უსაქმურს და მთელი დღე იხეტიალებერ. ქარხანაში გაიცნობს ახალ კოლექტივს, ჩაებმება საერთო საქმეში და შედეგიც უკეთესი იქნება. ბავშვს თავიდანვე უნდა შეექმნას ისეთი პირობები, რომ შემდეგ თვად იკვლიოს გზა ცხოვრებაზი. ვიცი, მას არ მოშივდება და არც მოწყურდება, მაგრამ ჭამა ხომ ყველაფერი არაა!

ვალერიანმა ჭიქა ხელში შეატრიალა, თვალს არ აშორებდა.

— თქვენ ხომ არ მომიწყობდით?

— საღ?

— მანქანათსაშენ ქარხანაში.

ანდრო დაფიქრდა.

— კი, მაგრამ ჩემი დახმარება აუცილებელია?.. მიდით, უარი თუ გითხრათ, მაშინ ვნახოთ. მე გავიგებ, აქვს თუ არა ადგილი, თუ ადგილი აქვს და უარი გითხრათ, პასუხს მოვთხოვ!

— გმაღლობთ!

— ასე, ჩემო ვალერიან. ისე ნუ გამიგებ, თითქოს დახმარება მიჰირდეს, არა! უკეთესი იქნება, თქვენი შვილი თუ თვად მივა ღირექტორთან და იზრუნებს თვის საქმეზე. კარგი ახალგაზრდაა და გზას არ უნდა აცდეს. ეს თითოეული ჩვენგანის ვალია. ბევრი საკუთარ შვილს თვი-

თონწევ ღუპავს. არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც შვილები შეიძლოთ გადასახვის არ გზავნიან. რა გამოვა მისგან? არაფერი! იგი ატჟაფრული თვის ივარგებს და არც სხვისთვის!

— ვაღ ერიანმა თავი ასჭია, თვალებში შუქი ჩადგომოდა.

— ხათქვამს გაუმარჯოს! — თქვა მან და კიქა დასუალა.

— გაუშარჯოს! — თავი დაუკრა მასპინძელშა.

#### 4.

ანდრომ ზარის ღილაკს თითი დააჭირა

— გამოიძახე მძღოლი! — უთურა მან პირად მდივანს.

გოგონა უსიტყვოდ გაბრუხდა. ირველშა მდივანსა გასაღებები აიღო და ადგა.

— ზავიდეთ, — მიმართა მან მეორე მდივანს და კარებში გრა დაუთმო.

მანქანა გარეთ იცდიდა. თერთმეტი საათი იქნებოდა. მზე უკვე სათვალთვალოზე იდგა და ცოტა ცხელოდა კიდუც. ისინი მანქანასი ჩასხდეს და, ოოცა ბასქაბა ადგილიდაა დაისოა, ააღორმ ძილოლს სთოვა ბაზარში მიმიუვანეო. მეორე მდივანი გრასოპდა, ოომ საღლაც სესოწებაზე მიდიოდებ, ძაგრად სად, ვეო მიისვდაოიყო. ასე იცოდა ხლამე ანდრომ, გაძოიაახებდა ხან შას, აან განყოფილების გამგეს და ქალაქს შემოივლიდნენ. შასქანა ცეხტრალუო ქუჩაზე მისოიალებდა. ღალაც შასრეს მაღალი სახლები წაძომართულიყო და ალაგ-ალაგ იველ ორსართულიინ სახლებს თავა ისე დადგომოდენ, თითქოს ჩაყლაავას უაიოებენო.

— ნელა იარე! — გააფოთილა ანდრომ მძღოლი.

მანქანამ სვლა შეანელა. ანდრომ ყურადღებით ათვალიერებდა გაზონებს, ეზოების ჟესასვლელებს და ზოგჯერ კინოთეატრს, რომლის წინ, მოედანზე, ხალსი ჯგუფ-ჯგუფად იდგა. მეტი წილი ახალგაზრდები იყვნენ. ერთგან რაძლებისე ბიჭი ჟეგუფულიყო და გაზონის მოაჯირზე ფეხი შეედგა. ერთს პალმის ტოტზე ჩაევლო ხელი. მანქანა გაჩერდა. კუთხეში მდგომ მილიციელს ანდრომ ხელით ანიჭნა მოსულიყო. მილიციელი ბანქანის კართან გაიჭიმა.

— რა არის ის?! — ჰეითდა ძკაცრად პირველმა მდივანმა.

მილიციელი დაიბნა.

— ვერ ხედავ, გაზონებს რომ აფუჭებენ!

მილიციელმა ყმაშვილებს გახედა.

— თუ გინდა გიბრძანონ! რას აკეთებ აქ!.. სუფთა ჰაერზე სეირნობ?!?

— მესმის, ამხანაგო... — მილიციელმა მხედრული სალაში მისცა,

შაგრამ ვიდრე სიტყვას დაამთავრებდა, მანქანა დაიძრა. ჩაუხვიეს ქალა /  
ქის მეორე ცენტრალურ ქუჩაზე, რომელსაც ძველი ორსართულიანი /  
ალაგ-ალაგ სამსართულიანი სახლები გასდევდა. პირველ სართულზე მარჯვენა  
ლაზიები, საპარიქმახეროები და რამდენიმე სასადილო და რეტრო დანართებია  
იყო. ხალხის მოძრაობის რიტმით მიხვდებოდი, რომ ქალაქი პატარა იყო.  
ზოგი ისე გადაკრიდა ქუჩას, თითქოს ორლობე ყოფილიყო, ან ხისძველ  
ისე საუბრობდებო, თითქოს სოფელში ყოფილიყვნენ ჩრდილში. ჩეარი  
ნაბიჭით მიმავალი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. არავის არსად არ მიე-  
ჩიარებოდა და არც ვინმეს სადმე აგვიანდებოდა. ანდრო ქუჩებს რომ  
გასცემოდა, ეს შენობები, მაღაზიები და მოძრაობა, წარმოდგენილი  
ჰქონდა უახლოესი ათი წლის პერსპექტივაში. ამ ათი წლის მანძილზე  
შევრი რად გაკეთდებოდა, ამ ქუჩაზე წაძომართებოდა ხუთი რვასართუ-  
ლიანი საცხოვრებელი სახლი, დაპროექტებული იყო, სამი თორმეტსარ-  
თულიანი შენობაც.

მანქანა ბაზრის წინ გაჩერდა.

— მეორე გასასვლელში დაგველოდები! — უთხრა ანდრომ მძღოლს.

ბაზრის წინ ხალხი ირეოდა, ფარდულებში, რომელიც შესასვლელ-  
თან აქეთ-იქით იყო ჩარიგებული, საქონელი პირდაპირ გარეთ გამოეკი-  
დათ და გაყიდველი არც კი ჩანდა. ხორავით ხელდატვირთული ქალი  
და კაცი ბაზრიდან გამოლიოდნენ. იქვე კარებთან მათ ფეხებში ებლანდე-  
ბოდათ ბოშა ბავშვები.

— სინკა, ლილა, კარგი ინგლისური ბრიტვა! — გაიძახოდნენ დაბა-  
ლი ხმით.

ანდრომ მეორე მდივანს გადახედა.

— ხედავ?! — უთხრა მან.

უცებ მილიციელი გამოჩნდა და მყისვე ბოშა ბავშვები ხალხში მი-  
იმალნენ.

— ჰმ! მამაძალლები! — ჩაილაპარაკა მეორე მდივანმა.

— არაფერი არ ეშველებათ! — შეესიტყვა ანდრო.

— ეს ჩვენი ბრალია, რას იტყვის ხალხი, მაღაზიაში ერთ ცალსაც  
ვერ ნახავ, ისინი კი ხელზე ვაჭრობენ! რა ქნას მყიდველმა?! ჰმ! სხვა ქა-  
ლაქიდან შემოაქვთ!

— დღესვე გავიგებ! — და მან მილიციელს გადახედა, რომელიც ხა-  
ლხში ტრიალებდა, რომ ბოშა ბავშვები გაერეკა. ისინი ბაზარში შევი-  
დნენ, დახლებს შორის მიღიოდნენ და აქეთ-იქით მწვანილისა თუ ხილის  
ფასებს კითხულობდნენ, გამყიდველებს ათვალიერებდნენ, სასწორს  
თვალს ატანდნენ, თუ როგორ იწონებოდა საქონელი. ზოგმა იცნო ისინა  
თვალს ატანდნენ, თუ როგორ იწონებოდა საქონელი. ზოგმა იცნო ისინა  
და მორიცებით გვერდს უვლიდა. მერე ბაზრის დირექტორი გამოჩნდა,  
და მორიცებით გვერდს უვლიდა. მერე ბაზრის დირექტორი გამოჩნდა,

ლხი გააფრთხილა, ყურადღებით ყოფილიყვნენ. დახლებს შორის შორის ჩატჩარეს, მერე გარშემო შემოუარეს და გარეთ გავიდნენ. გასასვლელთან კუთხეში ნაგვი ეყარა, ეტყობოდა, ვერ კიდევ მანქანს არ წარმოედობოდა ბაზრის დირექტორმა მათ გასასვლელამდე მისდია. მერე შემთხვევაში ჭალაქომის პირველმა მდივანმა ნაგვის გროვას მიაქცია ყურადღება. ფერი ეცვალა.

ისინი მანქანაში ჩასხდნენ.

— ჭავჭავაძის ქუჩაზე. — გადაულაპარაკა მძღოლს ანდრომ და მეორე მდივანს მიუბრუნდა, — უპასუხისმგებლონი არიან!

ბოშა ბავშვები ბაზრის უკან გასულიყვნენ და კუთხეში მოფარებით ვაჭრობდნენ. ანდრომ მანქანა გააჩერა. მეორე მდივანი გაუშვა გახდებად — რამდენად ყიდდნენ უსაშიშო სამართებელს. ბოშა ბავშვები მიხვდნენ, მანქანიდან გაღმოსული ძია კაცი მათკენ მოდიოდა და თავად შეეგებნენ, ერთმანეთს სიტყვის თქმას არ აცლიდნენ, რომ თავისი საქონელი გაესალებინათ. მეორე მდივანმა მისკენ გაშვერილ ხელებზე უსაშიშო სამართებელს დახედა და ფასი იყითხა. ორ მანეთად ყიდდნენ თოთო შეკვრას. მეორე მდივანი უსიტყვოდ გაბრუნდა. ბავშვებმა მანქანის კარებამდე მისდიეს.

მანქანა დაიძრა.

— ერთი მილიციელიც კი არ ჩანს! — თქვა ანდრომ.

— აქედან გარეკავენ, იქით მიდიან, იქედან გამორეკავენ, აქეთ გამორბიან!

— ჰმ! ხუთმაგად ყიდიან! — ჩაილაპარაკა ანდრომ.

მანქანამ ჭავჭავაძის ქუჩაზე ჩაუხვია და მშენებარე სახლის წინ გაჩერდა. მშენებლებს მეხუთე სართულის კედლები აპყავდათ. ამწეს აგური აპქონდა. მშენებლობას მაღალი ფიცრის ღობე ერტყა და ჭიშკართან დარაგი იდგა. ჭალაქომის მდივნები ეზომი ჩავიდნენ, გარშემო ყველაფერი დაათვალიერეს, ახედეს სართულებს, გასურებული მშენებლობა მიმდინარეობდა, არავის არ გამოლაპარაკებიან. ჭალაქის უბნების დასათვალიერებლად წავიდნენ. შემოიარეს ქუჩები, მაღაზიები. როცა ჭალაქომში დაბრუნდნენ, შესვენება დამთავრებული იყო. ანდრომ უკმაყოფილებას ვერ ფარავდა. პირად მდივანს უბრძანა განყოფილებათა გამგეები გაეფრთხილებინა, ათწუთიან თათბირზე შემოსულიყვნენ. რამდენიმე შენიშვნა ჩაიწერა. მერე კაბინეტში განყოფილების გამგეები შემოვიდნენ. ანდრომ თავი არ აუწევია, სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამხანაგებო, — თქვა მკაცრი ტონით პირველმა მდივანმა, — არავის დასხას არ ვაპირებ, პატივს ვცემ თქვენს განათლებას, კულტურას, საქმისადმი ერთგულებას, მაგრამ რატომლაც იჩენთ უინიციატივობას, არ მოქმედებთ დამოუკიდებლად. საქმე კამპანიურობით არ გაკეთდება,

მივიღოთ ღონისძიებები, ერთი ხელის დაკვრით გავაკეთოთ და შემთ დაუკავშირდეთ. საჭიროა ყოველდღიური ზრუნვა, ყურადღება, ბეზარში დღესაც იგივე მდგომარეობაა, რაც ამ ერთი თვის წინათ იყო გამოსაზრუნვება თაობა, ქორვაჭრების თარეში. ქალაქის გარეუბნებში არ არის მომსახურების მაღალი კულტურა, დახლში გხედავთ უხალათო გამყიდველებს, ან თუ აცვიათ, ჭუჭყიანია. მუშა ყუთები პირდაპირ შესასვლელებში ყრია და, რა ვიცი, რომელი ერთი ვთქვა! ამხანაგებო, ნუ დაველოდებით ბრძანებებს, რომ რასაც გვეტყვიან, ის გავაკეთოთ. ისე უნდა იზოუხოთ საერთო საქმისათვის, როგორც ზრუნავთ ოჯახისათვის. არ გამბობ, ჩვენს ქალაქში არაფერი არ კეთდება-მეთქი, მაგრამ ყურადღებას ნუ მოადუნებთ — ხშირად შევამოწმოთ ობიექტები, გაესაუბრეთ საწარმო-დაწესესებულებების ხელმძღვანელებს. ჩვენ სხვადასხვა ხასიათის, განათლებისა და პროფესიის ადამიანებთან გვიხდება მუშაობა და თავისებური მიღვომაა საჭირო. მუშაობის მეთოდები თავად უნდა შეიმუშაოთ, თორემ არავინ არ გეტყვით, ვის როგორ მიუდგეთ. არა, ამხანაგებო, სხვების მითითებებს ნუ დაელოდებით! ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქალაქის ღირსებისათვის, მისი ხვალინდელი დღისათვის.. არავითარი შემრიგებლობა, ან მეგობრული თანაგრძნობა. მობილიზაცია გაუკეთეთ თქვენს ძალებს და იმოქმედეთ!

ანდრო ლაპარაკობდა დაჯერებული, გულწრფელად. გამოითქვა რა-მდენიმე ყურადსალები წინადაღება — შემოღებულიყო მორიგეობა მნიშვნელოვან ობიექტებზე, კვირაში ერთხელ მოხსენებოდა ქალაქკომის, თუ რა მდგომარეობაა ამა თუ იმ ობიექტზე. დაევალა ქალაქკომის მეორე მდივანს, შეედგინა მორიგეობის სია და კონტროლი გაეწია მათი საქმიანობისათვის.

თაბირი დამთავრდა. ანდრო გადაღლილი იყო და ერთხანს სავარსელში გაუნდრევლად იჯდა. მერე გასწორდა და ქალაქის სავაჭრო ბაზის უფროსს დაურეკა.

— გისმენთ! — გაისმა ტელეფონის ხმა ყურმილში.

— ქალაქკომის მდივანი გელაპარაკებათ, — უთხრა ანდრომ.

— გისმენთ!

— ამხანაგო ლევან, თქვენ მიიღეთ თუ არა წელს უცხოური უსაშიშო სამართებელი?

— არა!

— ე. ი. გასაყიდად არ გქონიათ?

— არა!.. უნდა მიგველო ივნისში, მაგრამ ჯერჯერობით...

— მიზეზი? — გააწყვეტინა სიტყვა ანდრომ.

— არ გამოუგზავნიათ!

— ქორვაჭრებს საიდან ჩაუვარდათ ხელში?

— ვერ გეტყვით! ვფიქრობ, სხვა ქალაქიდან შემოიტანეს.

— გასაგებია! ე. ი. ნამდვილად არ მიგიღიათ?!

— წელს არა! შარშან გვერდა სექტემბერში.

— აჟა!... — ანდრომ ყურმილი დადო და დაფიქრდა — იქნებ სექტემბერში აქვთ შეძენილი და ახლა პყიდიან?!

რაკი შეხედეს არ იშოვება, გამოიტანეს! ან იქნებ სხვა ქალაქიდანაა შემოტანილი?! პირად მდივანს დაავალა; ერთ საათში ქალაქის მილიციის უფროსი გამოცხადებულიყო ქალაქქოშში. დაინტერესდა; იქნებ ვინმე იოლი გზით მდიდრდება — იმ ბოშა ბავშებთან აქვთ კავშირი?! შეიძლება მაღაზიის გამგემ თავისითვის გადაინახა საქონელი და ახლა ვაჭრობს?! ანდა დაკითხოს ბოშა ბავშვები, მათი მშობლები, საღ ცხოვრობენ, რა საქმიანობას ეწევიან. მოსახლეობას უნდა განემარტოს, თუ რომელიმე საქონელი დროებით მაღაზიაში არ იშოვება, ეს იმას არ ნიშნავს, ქორვაჭრებს მივცეთ საშუალება ითარებონ. მოსახლეობის მხარდაჭერაა საჭირო, თორემ არაფერი არ გამოვა.

კარებში პირადმა მდივანმა შემოიხედა.

— აღმასკომის თავმჯდომარეა...

— შემოვიდეს!

კარი გაიღო, აღმასკომის თავმჯდომარე ჩქარი ნაბიჯით, იღელვებული შემოვიდა კაბინეტში, ხელში ტყავის საქალალდე ეჭირა. გრძელ მაგიდასთან დაჯდა და საქალალდე გაშალა. ანდრომ იგრძნო, რაღაც საჭირობოროტო საყითხი იყო გადასაწყვეტი.

— ამხანაგო ანდრო, — უთხრა აღმასკომის თავმჯდომარემ და სიტყვა შეაყოვნა, — გვიჩივიან! ზემდგომ ორგანოებში გაუგზავნიათ განცხადება!

— ვინ? — შეფიქრიანდა პირველი მდივანი.

— მობინადრეები.

— მობინადრეები?!

— იმასთან დაკავშირებით, თქვენ რომ მთხოვეთ...

ანდრომ მაგიდაზე თითები ნერვიულად აათამაშა.

— რაო?

აღმასკომის თავმჯდომარემ განცხადება წინ დაუდო.

— გამონასახლებ ბინაში ხალხი შეასახლეს და ახლა მათ ახალ ბინას აძლევენო.

ღუმილი ჩამოვარდა. ანდრომ განცხადება გამოართვა, თვალში მოხვდა ცენტრალური კომიტეტის მდივნის რეზოლუცია. განცხადება ბოლომდე ჩაიკითხა და აღმასკომის თავმჯდომარეს შეხედა.

— თქვენ გიჩივიან!

— დიახ, მე მიჩივიან, თითქოს ის ქალი უნებართვოდ შემძლება  
ნოს. ჩვენს პასუხს ელოდებიან. არ ვიცი, რა პასუხი გავცე!

— მდა... — თითო დაპკრა ანდრომ მაგიდას, — თქვენ არავიზუალისტებია  
ნაშაული არ მიგიძლვით. ეს მე გთხოვთ და პასუხსაც მე ვაგებ!

აღმასკომის თავმჯდომარეს წარბი გაეხსნა.

— თქვენ ნუ იჯავრებთ!

— მაგრამ პასუხი?

— მისწერეთ, როგორც იყო!

— ამხანაგო ანდრო!..

— მისწერეთ!

აღმასკომის თავმჯდომარემ უხერხულად იგრძნო თავი.

— იქნებ სხვა გზა გამოვნახოთ?

— ეს მეორე დანაშაული იქნება! გავაკეთე ის, რაც გულმა მივარნა-  
ხა და როგორადაც არ უნდა დავისაჭო, არაფერი მეთქმის! — სახეზე არც  
სიმჟაცრე ეტყობოდა, არც შიში — თვალები ბავშვივით უბრწყინვდა.

— ანგარებით არაფერი არ გაკეთებულა. დავეხმარეთ ქუჩაში დარ-  
ჩენილ ოჯახს... მგონი....

ანდრომ მუდარით შეხედა.

— ჩაწერეთ?

— კი.

— ქუჩაში ნუ დარჩებიან!

აღმასკომის თავმჯდომარემ ეჭვით შეხედა.

— თქვენ მას იცნობთ?

— კი, ოდესლაც ვიცნობდი!

— ჩვენს ქალაქში რატომ ჩამოვიდა?

— ძალიან დიდი ისტორია! — ანდრო დაფიქრდა, სახეზე ახლა სჭ-  
ვდა ეხატა, — ოცდასამი წელია არ მინახავს... — დადუმდა, — დავაშა-  
ვდა და პასუხი უნდა ვაგო... — ისევ გაჩუმდა, — ქმარმა გამოაგდო სახ-  
ლიდან. არ დავხმარებოდი?! იქნებ თავი არ შემეწუხებინა, რომ მას ჩვე-  
ნი ნაცნობობა ეხსენებინა. მას კრინტიც არ დაუძრავს ჩვენს ურთიერ-  
თობაზე.

— მდა... — თქვა აღმასკომის თავმჯდომარემ.

— აცნობეთ, როგორც არის!

— გასაგებია!

ანდროს სახეზე უსიამოვნო გრძნობა ეხატა. მარტოდ რომ დარჩა,  
გული ჩაენაღელა — თითქოს მეგობართავანი არავინ ჰყავდა, თითქოს  
მთელ მის საქმიანობას ერთი ხელის მოსმით გადაესვა ხაზი. იგი ხედავ-  
და, დააშავა და, მისი დანაშაული სხვებისათვის საბაბი იქნებოდა ახალი  
დანაშაული ჩაედინათო — სხვები ბოროტად გამოიყენებდნენ მას. ბო-  
ლანაშაული ჩაედინათო — სხვები ბოროტად გამოიყენებდნენ მას.

ლომდე უნდა დაეცვა თავისი პრინციპი, არ უნდა აპყოლოდა გრძნოშებს, მაგრამ ქვეშეცნეულად კმაყოფილიც იყო თავისი მოქმედებით დასხიან და ვინ იცის ვინ რას იფიქრებს მასზე. არ აპატიეს ერჯოფულა ანური ნაბიჭიც კი. იგი არავის არ ამტყუნებდა.

პირადმა მდივანმა ქალაქის მილიციის უფროსის მოსვლა მოახსენა. ანდრომ ანიშნა შემოვიდესო. ესიამოვნა კიდეც, ასეთ დროს, ამ წუთს საზრუნავი გაუჩნდა, რომ დაივიწყებს თავის ცდუნებას. და თითქოს ის, რისთვისაც მილიციის უფროსი დაიბარა, აღარ ახსოვდა, როცა იგი კაბინეტში შემოვიდა, მშვიდად უთხრა, დაბრძანდითო.

— გისმეხთ! — მოაგონა თავი მილიციის უფროსმა.

— ახლავე! — და ანდრომ ხელები მაგიდაზე დააწყო, — ცუდად მუშაობთ, ამხანგო, — უთხრა მან მერყევი ტონით.

მილიციის უფროსი დაიბნა, ვერ გაივო, რაში გამოიხატებოდა მისი ცუდი მუშაობა, სკამზე შეირხა.

— თუ იცით, რა ხდება ბაზარში?

— არავითარ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი! ჩვენი მილიციელი მორიგეობს და...

— მილიციელი მორიგეობს?!

— დიახ!

— რა უნდა ქნას ერთმა მილიციელმა იმდენ ბოშა ბავშვებთან... შეამოწმეთ თუ არა, რა ხდება იქ?.. ბაზარის ერთ თავში მილიციელი რომ დგას, მეორე თავში ქორვაჭრები თავს თავისუფლად გრძნობდნ. დადიან ერთი თავიდან მეორე თავში და არასოდეს ერთმანეთს არ ხვდებიან.

მილიციის უფროსმა დაჯერებით შეხედა თვალებში.

— გუშინ დავაკავეთ ბოშა ქალი.

— მერე?

— საქონელი ჩამოვართვით!

— ცუდად მუშაობთ! — უთხრა პირველმა მდივანმა, — ცუდად! გამოყევით სპეციალურად ხალხი, რომ ერთი გადამყიდველიც კი დაუსჯელი არ დარჩეს. გაიგეთ, საიდან შემოაქვთ ინგლისური უსაშიშრო სამართებელი! პირდაპირ მოუთმენელი მდგომარეობაა. ჩვენს ცხეირწინ დათარე-შობენ და ჩვენ გულზე ხელდაჭრეფილი კაბინეტში ვსხედვართ!

— მესმის!

— ამ ორ-სამ დღეში ყველა აღრიცხვაზე აიყვანე!

— მესმის!

ანდროს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მილიციის უფროსის სახეზე დანაშაულის შეგრძნება ეხატა. ასეთ დროს ზედმეტი ლაპარაკი მოადუნებდა სიფხიზლეს და დუმილი ამჯობინა. მერე, როცა იგი წავიდა, ანდრომ საქალალდე გადმოიდო, შემოსული განცხადები გადაიკითხა.



სადღაც არსებობს ქალი,  
სადღაც ეჭვების სოროც,  
შეყვარებული ორში  
რაღან ერთია მხოლოდ.

როდემდე უნდა ქროდეს  
სულმი სამუში სევდა,  
კინაც მიყვარდა ოდეს,  
ვეყვარებოდი ნეტა?..

\* \* \*

აი, იმ ველზე...  
აი, იმ ტოტან...

მერე ცა ისე აიშია ლალისფერ ფრთებით,  
მერე იმ ფრთების ნაზ შრიალში ისმოდა რაღაც, —  
ჯერ არნახული აფეთქება ბალლური ნების,  
ჯერ არგანცდილი ლოცვა და დაღლა.

მზე ჰგავდა ზეინზე წაყიდებულ უბადლო კოცონს,  
მზე მონატრებით მოარული და მოალერსე,  
მე ახლაც მინდა, მოგვვარდე და უგონოდ გკოცნო,  
აი, იმ ტოტან,  
აი, იმ ველზე.

### ძ ვ ი რ ვ ძ ს მ

ძვირფასო, ჩუმად...  
ძვირფასო, ჩუმად...  
ჩუმად, ხმაური მომდგარა ვიდრე,  
ხედავ? ხეებიც დგანან და დუმან,  
ხემი დუმილიც არ გაგიგვირდეს.

ძვირფასო, ჩუმად...  
ო, ისე ჩუმად...  
რაც მოხდა მოხდა. წერტილი დავსვით,

ნუ ნაღვლობ, იქნებ ლამაზმა შურმა,  
საკუთარ ჩრდილში დაახრჩოს კაცი.

ნუ ჯავრობ, იქნებ ლამაზმა ეჭვმა  
მზეს და სიყვარულს შეჰყაროს კაცი,  
მაგრამ სხვა ფერი გადაპერავს ზეცას  
ჩვენი თვალების ნამიან ნაწილს.

სინორჩეს შეხსნილ საყელოს ვთხოვდით  
და ვთხოვდით, რასაც აღდგომა ჰქვია,  
მაგრამ რა იქნა იმედის ტოტი,  
რაზეც მოვთავსდით ძალიან გვიან.

მაგრამ სად გაქრა იმედის ტოტი,  
რაზეც მოვეწყვეთ ძალიან გვიან,  
ახლა კი ყველა დავა და შეუოთ  
გამოგონებულ სიმშევიდეს შიაქვს.

სიმშევიდე... ო, ეს დაცხროშის ბულე  
ცას გადასული დღეების ნანა,  
ეჰ, შეიძლება ვიღაცა გძულდეს  
და სამუდამოდ გიყვარდეს თანაც.

რა დარჩა, სულო რა დარჩა აქეთ,  
რა დაგვიტოვა დიღების ღრომა,  
ის ნაღველით დამბალი ბაგე,  
გაანჩხლებული უინი და თრობა.

რა დარჩა, სულო რა დარჩა აქეთ,  
რა დაგვიტოვა უინმა და თრობამ,  
ხილვები, რასაც ვაახლებთ განვეპ  
და ნაყონსარი ვარდების გროვა.

ძვირფასო, ჩუმად...

ჩუმად, ო, ჩუმად...

ჩვენი სიმღერა წასულა ქარში,  
როცა ზღვა ღმუის და ღელვეპს ლუნავს,  
ყველა მდინარე ჩუმდება მაშინ.

\* \* \*

ზღვისპირა დღეებს და საღამოებს,  
 დაისის სევდას, ცისფერ მოწყენას,  
 ბალას, ნისკარტზე ჩიტს რომ მოწყდება,  
 ჩემი პირველი ხილვა აბოდებს.

ზღვისპირის დღეებს და საღამოებს  
 სანაპიროებს, პალმებს, მიმოზებს,  
 შუახერზე რომ მთვარის შუქზე ილოცეს,  
 ჩემი პირველი ცრემლი აბოდებს.

დავრჩები მარად ლელვის ამარა  
 გარიდებული და მოწყენილი  
 და შეირჩევა მყუდრი ლელივა  
 შორეულ ცათა ტოვი კამარა.

ვაგროვებ მჩისგან დახრულ ნაფორტებს..  
 მთები შილშია თუ ბურანშია,  
 ხელები ქარის მსგავსად გამშლია  
 და შენი ქოხის კვამლი მაბოდებს.

---

## ქ ბ პ ი ტ ა ნ ი

სანაპიროზე შრიალებენ ლერწმოვანები,  
ზღვა წყნარია და ლურჯი — ჩემი გოგონას თვალი.  
ჰა, თვალწარმტაცი, საოცარი კორდნი მწვანენი,  
ჰა, მთა მაღალი, — ლეგენდად თუ ზღაპრად ნათქვამი,

ლერწმოვანებში კაპიტანი იჯდა მოწყენით,  
გემს გაჰყურებდა, — ოდეს მისი რომ იყო ღმერთი,  
მიირწეოდა გოლიათი, ვიყავთ მოწმენი,  
ბრგე კაპიტანი გაშმაგებით რომ შეკრთა ერთი.

მერე დამშვიდდა, და მილულა თვალები, თითქოს  
სძინავსო... თუმცა ვინ რა იცის გუმანი კაცის,  
ჭადრის ფოთლები ეცემოდნენ მას თითო-თითოდ,  
თვლემდა თითქოს და ჩანდა მეტად პირქუში, მკაცრი,

„შეცდაო“ ხმები ნაპირ-ნაპირ მიიკლაკნება,  
ვით ელვა... და ხმა ნაპერწყელების კონებს გამოსცემს,  
„მოხსნეს... გადარჩა პატიმრობას“... და არაკებად  
მიიკრავნება თქმული, ჭორიც ნუ გაგაოცებს.

„შიზოფრენია?! მაშ, თავისთვის რისთვის ბუტბუტებს!“  
ბუტბუტებს მართლა, და აღარვის აღარ აქვს რიდი...  
ლტოლვა დიალი კაცს წინ სწიკავს, ცდუნებაც უტევს, —  
გამარჯვების და დამარცხების აგემებს ჭიდილს,



ჯერ მეზღვაური... ბოცმანი და... მერე კი ტალღამ  
შეაგდო მაღლა... მისი ფიქრიც, გზაც იყო წმინდა.  
არწივის ლტოლვა ჰქონდა, ამად ის პფრენდა მაღლჭილებითია  
აფრინდა კიდეც, და ვარსკვლავებს მან ხელი ჰქიდა.

ომს შეეჭიდა, ფათერაკთა ერკინა მგებელთ,  
შიში და ძრწოლა არ სჩვეოდა, არა კაპიტანს.  
მე ვნახე, ბევრჯერ ზეიმზარით რომ შეეგებნენ,  
მე მის დიდებას ვითარც აღვწერ ჩემი კალმითა!

მხატვრები ფუნქებს აწამებდნენ, მოქანდაკენი  
ძერწავდნენ ხარბად... და მგოსნებიც სტრიქონებს  
სოხზავდნენ,

ვით იყო ხატი..., და სავანედ ჰქონდა კანკელი,  
და მოწიწებით მას დაადგეს გვირგვინი თავზე.

რას ინატრებდა მეტს მოკვდავი, თუ არა ხარბი,  
მარადიული ხელი სწერდა მის გვარს საჩინოს,  
უჩინმაჩინის ქულით თურმე ჩვენ შორის დარბი,  
შენ ბოროტებავ და დემონის შავო აჩრდილო!

და გონიერი, და ფხიზელი უცებ დაგონჭდა,  
და შემოპარულ რამ ცლუნებას ვერას მიუხვდა,  
ვით ბედისწერის ტოტზე ჩუმად ეშმა ჩამოჭდა,  
დაიმსხრა ტოტი... აწ სამშობლოს როგორ მიუხვალ?!?

„— ჩვენ ხომ კაცნი ვართ, ხან ვცდებით და  
ვმაღლდებით ხანაც,  
შეუნდობს ცდომას მას სამშობლო... მამაცს,  
შევუნდოთ!“

რეკავს ხმა ნაზი, ხმა იმედის, — დლესაც და ხვალაც.  
„...არა და არა... აწ ქვეყნისთვის ის არის უნდო!“  
მძვინვარებს ვიღაც... და ინგრევა ტაძარი მყუდრო...  
მძვინვარებს ვიღაც...

„ივან ივანიჩ, შენ დამიგე მახე ლომების,  
გეგონა შენს ტახტს, შურით ვყეფდი, თუმც რად  
მინდოლა.

შენ ერთმა შესძელ, — მომიგონე მოსაგონები,  
გველი ყოფილხარ, გველი, განა შენზე ძნდობა?!  
გველი

რაო? სამშობლომ მე ასეთი ბედი მარგუნა?!  
ვინ მოგცა ნება — შენ სამშობლოს სახელით სჭიდვე,  
ქვეყნის კაცს რისხვა დამატებო?! ვით გაძლოს გულმარტენული  
იგი, ფაქიზი, ჯოჯოხეთში შენ გადამიგდე!

ვინ მოგცა ნება, ნიღბიანო, ჩასცე მახვილი  
იმ კაცს, რომელმაც ყოველივე წვეთ-წვეთ ამცრია  
და მამაცობით აღიმაღლა თვისი სახელი;  
შენ, თორემ... ხალხი და მამული განა მკაცრია?!

მით განიმტკიცე ტახტი შენი და განდიდებას  
იხვეჭავ ასე... შენ დესპოტო, მოიმკი ლახვარს.  
აწ მიჭირს სუნთქვა, და ჰაერი მეტად მძიმდება,  
ყავლი გათავდა, შურისგება მწყურია ახლა...  
მოვგელავ შენსკენ... იმალები? შაინც მოგნახავ!..  
და ვით გულში ის ჩასცემს ლახვარს.

ხელებს გაიქნევს ღონიერად... აკივლდა ქალი...  
ო, ეს ფინია! ჩაპორენია კაპიტნის შარგალს,  
და ექაჩება, ექაჩება... ბიჭუნა-ქარი  
იცინის ლალად, — ამ ლამაზმა რა დაგიშავა?!  
და გაჟრა უცებ ლერწმოვანში, და გაჟრა ქალიც.

გამოფხიზლდება კაპიტანი... და მწარედ, მწარედ  
გაილიმებს და მიიმალვის მერე მწვანეში.  
სამშობლოვ ჩემო, გულმართალო შენ შეიწყალე,  
ო, მოარყელი ცისმარე დღე ლერწმოვანებში!

მიხეილ მავრეობაძე

## გ ა რ შ ვ ლ მ 6 0 გ რ ლ 5

„ფარნის წითელმა შუქმა გზა გადასერა. პარტიზანული ბლოკის მეთაურმა კარი გამოაღო და კაბინაში ავტომატის ლულა შეყო.

— მუსოლინი, იტალიის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის ბრძანებით დაპატიმრებული ხართ!

ეს მოხდა შვეიცარიის საზღვრის მახლობლად, დონგოს გზაზე, 1945 წლის 27 აპრილს, ღამის ორ საათზე. მუსოლინიმ უცებ იცნო გარიბალ-დიელთა მეთაური.

— თქვენა ხართ?

„XX საუკუნის კეისარმა“, რომელმაც აბისინიაში დაიდგა ძეგლი აფრიკის მიმზიდველი სივრცეებისაკენ თვალებმიპყრობილი სფინქსის სახით, უხალისოდ გადახედა იქვე ახლოს აღძართულ ალპებს... მაგრამ მაშინვე გამოცოცხლდა: კოლონის ცენტრში იდგა რამდენიმე გადახურული ავტოფურგონი, ძეირფასი ლითონით დატვირთული.

— მე თქვენ მილიონნახევარ ლირად შეგაფასეთ, — თქვა მუსოლინიმ. — ანლა გთავაზობთ ოქროთი სავსე მანქანას. იქ მილიონნახევარზე ბევრად მეტია. დაჭვეჭით და წამოდით ჩვენთან.

„ჯავშნიანმა პარტიზანმა“ — ასე ეძახდნენ ბლოკის პარტიზანთა მეთაურს — ჩაიცინა:

— ჩვენ ბრჭყვიალა ოქროზე როდი ვყიდით ყველაფერს, სინდისა და სამშობლოს...

„ჯავშნიანი პარტიზანი“ იტალიელი როდი იყო. ომის მიხვეულ-მოხვეულმა და თავისნება გზებმა გურიის სოფელ სილაურის მცვიდრი იტალიაში მიიყვანა და შინი მხედრული ბედი ჯალათი დიქტატორის ბედს დაუპირისპირა“.

ასე იწყებს თავის ნარკვევს „ქართველი გარიბალდიელი“ ცნობილი მწერალი, სახელმომეცილი რუსი რომანისტის, „დიდი მოურავებს“ ტორის ანა ანტონოვსკიას ვაკი ბორის ჩორნი. ნარკვევი, რომელიც უფლება ზეთ „კომუნისტის“ 1970 წლის სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა, გამოიცა ბალდის სახელობის მეორე დივიზიის მეათე ბრიგადა „როკოს“ პირველი ქართული ბატალიონის უფროსის კოტე ლევავას საბრძოლი გსეს ასახავს.

ბორის ჩორნი წერს, რომ სანამ მუსოლინის, ღაცელებიდა, კოტე ლევავამ დეტალურად შეისწავლა დონგოსაკენ მიმავალი გზა და დადგინდა მისი ბოლო პუნქტი, სადაც ჩევნი თანაქალაქელი, ბატალიონის კომისარი შალვა კვასხვაძე დარჩა. თვითონ კი მეთაურია კუთხოან ერთოდ, სარი კვლევა კვასხვაძე დარჩა. თვითონ კი მეთაურია კუთხოან ერთოდ, რომელშიც შედიოდნენ ვლადიმერ ჯავახიშვილი, გიორგი მარშანია, ნიკოლოზ ვაჩევიშვილი და სხვები, ჩასასაფრებელი ადგილა შეარჩია. პარტიზანები, მესახგრეები და ხალმეტყორცხელები გზისპირა ჩაასაფრა.

მუსოლინი შეიაყრეს და პარტიზანთა ტრაბს გადასცეს. მეორე ღლებულები პარტიზანთა საველე სასამართლომ მუსოლინის, მის საცეკვებულს კლარა პიტაჩის და 15 ფარისტ მინისტრს, ჩაძობრჩობა მიუსაჯა თანიდე. დღის უსაბურე ქალაქ ძილასა, აუარებელი ხალხის თანდასწერით, განაჩენი სისრულეში მოივანეს.

ეს იყო იტალიის ფარიშმის წინააღმდეგ ქართველი პარტიზანების გმირული ბრძოლის გვირვანი, რაც სამართლისოდ დართა იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიაში.

ქართველმა პარტიზანებმა იტალიელი ხალხის შეკნებაში სამარადისო დიდება დაიმკვიდრეს.

ყველა წიგნსა, სტატიასა, წერილსა თუ მოგონებაში, რომლებიც იტალიაში ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების გმირულ საქმეებზე, გვიმბობს, ხასხენებია ბათუმელი ვაჟაკაცი ნიკოლოზ ვაჩევიშვილი. იტალიის განთავისუფლებაში მის მიერ შეტანილი წელილი ქართველი ხალხისათვის დღემდე ფართოდ არ არის ცნობილი.

ნიკოლოზ ვაჩევიშვილი დაიბადა 1922 წლის 15 აპრილს ჩოხატაურის, რაიონის სოფელ იანეულში. მამამისს — ღარიბ გლეხს ირაკლის ექვსი შვილი ჰყავდა. ნიკოლოზი ნაბოლარა იყო.

1941 წელს ნიკოლოზმა ჩოხატაურის საშუალო სკოლა დამთავრა, და თბილისის უნივერსიტეტში შესვლას აპირებდა, სურდა ფილოლოგი, გამხდარიყ. მაგრამ ომი დაიწყო და ყველა გეგმა ჩაეშალა. ნიკოლოზს უნივერსიტეტში გამოცდა აღარ ჩაუბარებია, სკოლიდან პირდაპირ სამხედრო კომისარიატში მივიდა და ითხოვა ფრონტზე გამაგზავნეთო. მისი სურვილი დაკმაყოფილეს. სამხედრო მოსამზადებელი კუოსების დამთავრების შემდეგ მრავალ სხვა მებრძოლთან ერთად ნიკოლოზი სადღაც გვით გამგზავრეს.

სამი დღე-ლამე იარა გემმა და ბოლოს აღმოდებულ ქალაქს მიადგა.

— სადა ვართ? — იკითხა ნიკოლოზმა.

— სევასტოპოლში. — დინჯად მიუგო წაბლისფეროთვალება შემდეგმა.

იწოდა სევასტოპოლის მიწა. მაგრამ იგი არ შემდრკოლი, მედგარ ჭინაალდეგობას უწევდა მტერს. ერთ დღეს მეწინავე ხაზი ვადალახეს და შეტევაზე ვადავიდნენ. წინ მიიწევდა ნიკოლოზ ვაჩეიშვილიც. ერთ-ერთ მოხაკვეთზე შტერმა გრიგალისებური ცეცხლი შეაგება საბჭოთა მეომრებს.

— დაწექი! — უბრძანა ასეულის მეთაურმა ნიკოლოზს, მაგრამ უკვე გვიან იყო, ტყვია მას თავსა და ბეჭები მოხვდა.

გონს რომ მოეგო, ხელა გაანილა თვალები. ძნელი დასაჭრებული იყო, რომ ცოცხალი ვადარჩა. თანდათან წამოიწია და იქსურობას ვადახედა. უმწეოდ ეყარნენ დაჭრილები და დახოცილები. ძალები სანიტარი მოვიდა და ნიკოლოზს ჭრილობა შეუხვია. იგი საკაცია პოსპიტალში წაიყვანეს.

ლაზარეთში თავს ევლებოდნენ, მოელასა და ყურადღებას. არ... აკლებდნენ. ერთ თვეში განიუტრნა და პოსპიტალიდან გაეწერა. უხაროდა, რომ კვლავ ჯანმრთელი იყო, კვლავ დადგებოდა ფრონტის წინა ხაზზე და შეერკინებოდა გერმანელ კაციჭამიებს.

1941 წლის ნოემბრის შუა რიცხვებისათვის გერმანელმა თაშისტებმა მთელი ყირიმის ნახევარკუნძული დაიპყრეს, მხოლოდ სევასტოპოლი იცავდა თავს. იმ მიმე დროს ქალაქის დამცველებმა პატრიოტიზმის, უდრევი ნებისყოფისა და მამაცობის შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენეს.

1942 წლის 30 ივნისს გადაწყდა სევასტოპოლის დატოვება. ჯარმა უკან დაიხია, მაგრამ გზა არსათ იყო. სევასტოპოლში, ისე როგორც ბათუმში, ყველა ქუჩა ზღვისკენ მიდის. სანაპიროს მტრის არტალერია ვანუწყვეტლივ უშენდა ცეცხლს და შავი ზღვის ფლოტის ხომალდებს არ შეეძლოთ ნაპირთან მისვლა, სევასტოპოლის გარნიზონის ევაკუაცია რომ მოხედინათ. მებრძოლები გაჰყავდათ კატარლებითა და მომტრო გემებით, რომლებიც ბუნებრივია, ყველას ვერ დაიტევდა. ქალაქში ათავობით ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა. ისინი 4 ივლისამდე განავრძობდნენ წინა-აღმდეგობას. 250 გმირული დღის შემდეგ სევასტოპოლი მთლიანად დაიკავეს გერმანელმა ფაშისტებმა. ბევრი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი მტერთან ბრძოლაში მამაცურად დაიღუპა, ნაწილი ტყვედ ჩავისრდა, ზოგმა კი მთებში გააღწია პარტიზანებთან.

როგორ წარიმართა ამ ორმტრიალში ნიკოლოზ ვაწევიშვილის ბეჭი? იგი ჯერ ინკერმანის უბანს იცავდა, შემდეგ კი მიკინძის მთას ედგა ერთგულ გუშაგად. მტერს მედგრად ებრძოლა. 1942 წლის იანვრიდან

ივნისამდე დედამისმა უმაღლესი მთავარსარდლობის 3 მადლობა მიღწეული სასახელმ შვილის აღზრდისათვის. მტრის ერთ-ერთი იქრიშის შეკრუჭულება დაიწრა — ამჯერად ფეხსა და სახეზე. კვლავ პოსპიტალი, ყურადღებულება რილთა კვეხესა და ურვა, კვლავ საძედიცინო პერსონალის მზრუნველობა და თეთრად გათენებული ღმერები!

გერმანელთა შემოტევა ომშ გაძლიერდა, ლაზარეთის უშვად ცხოვრებას შეშფორება დაეტყო. ექიმები, მოწყალების დები ხშირად გარბოლენენ გარეთ და შიშით შეჰყურებდნენ ცას. ძტერი უმოწყალიდ ბომბავდა ყველაფერს. აშეარა იყო, არც პოსპიტალს დაინდობდა. შაგრამ რა ექნათ, სად შეეფარებინათ თავი?

და აი, მოხდა ის, რაც უოველ წუთს მოსალოდნელი იყო: მტრის თვითმფრინავმა საავაღმყოფოს თავზე წრე შეკრა და ერთმანეთის მიუყოლებით დაუშინა სიკვდილის მთესველი ყუმბარები. ექიმების, მედიცინის დების კივილი, დაჭრილთა კვეხესა და ოხვრა ერთძინეთში არია. ერთმა ყუმბარამ იშ თოახის ჭერი ჩამოანგრია, სადაც ნიკოლოზი იწვა.

გონს რომ მოეგო, ნიკოლოზს გერმანელების ყველილი შემოეხმა. თითქოს კიანუველებმა დაურბინესო ტანში. მიხვდა, რომ ტყველ ჩავარდნილიყო.

გერმანელმა ჯარისკაცმა ნიკოლოზი ხელყეტით შამიაგდო. ტყველის დიდი რიგი გაიჭიმა. ნიკოლოზს სიარული უჭირდა, მაგრამ იძულებული იყო ევლო: გზაში ჩამორჩენილებს გერმანელები ხვრეტდნენ. აშიტომ ნიკოლოზი, ომ ჯოხზე დაყრდნობილი, დიდის ვაი-ვაგლახით მიდიოდა.

— ლოუის, ლოუის! — ხშირად გაიძახოდნენ გერმანელები და ხელყეტებს ატრიალებდნენ.

სანამ სიმფეროპოლის ტყვეთა ბანაკს მიაღწევდნენ, გზაში ბევრი დაიხოცა. ბანაკშიც ძაღლადაც არ თვლიდნენ ტყვეებს. კარებზი კომენდანტი ჩამდგარიყო, რეზინის კეტი მოემარჯვებინა და ყოველ ახალ ტყვეს შეუბრალებლად გადაუჭირებდა ხოლმე.

1943 წლის დასაწყისში ტყვეთა ნაწილი გერმანიაში ვაღიყენეს და ნიკოლოზ ვაჩიეოშვილმა მთელი წელი ნოიეპამირის ბანაკში ვატარა. 1944 წლის დასაწყისში კი ჩრდილოეთ იტალიის უდინოს პროვინციის ქალაქ კიუზა პორტაში ამოყო თავი.

კიუზა პორტა ქართულად კარჩაკეტილ ხეობას ნიშნავს. ამ სახელწოდებიდან ჩანს, რომ მისი მცხოვრებლები ბევრჯერ შერეკინგიან მტერს და თავიანთი ქალაქი მისოვის მიუვალ სიმაგრედ უტკეცათ.

ეს ტრადიციები იტალიაში ფაშისტების ბატონობის დროსაც ცოცხლობდა. ქალაქში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ყოველმხრივ ეხმარებოდნა.

პოლნენ იტალიის პარტიზანულ მოძრაობას და გერმანელების ტუშეგთხოვა დაკავშირებასაც ახერხებდნენ. ერთ ღამეს მათი ხელშეწყობით ტყვეობა არალეგალურმა ორგანიზაციაშ ბანაკიდას ხუთი ქართველი გაჯიშვილობრთუა

ტყვეებმა დიდი მორალური სიმტკიცე გამოიჩინეს. მთელი ბანევი გა- ქვავებული იდგა, სანაც კოსეინისტი ძრისხახებდა და ცოფს ჭრიდა, კაცი არ ყოფილა ისეთი, რომ რაისე დასცდენოდა, ამხანაგები, გაქცევის ორ- განიზაცია ები გაეცა.

ტყვეები ქანცის გაწყვეტამდე ამუშავებდნენ: აკეთებინებდნენ გზე- ბსა და სიდებს, ათხრევისებდნენ სანგრებს, აძალებინებდნენ ხე-ტყეს. მათ თავსე რათრახით აღგათ გერმანელი ზედამხედველები და ვარ იმას, ვინც მუშაობაში ოდნავ შაინც ჟაფორხილებდა!

ერთ დღეს ტყვეები კიუზა პორტას მახლობელ ტყეში მანქანებს მო- რებით ტვირთავდნენ. ნიკოლოზ ვაჩევიშვილის გვერდით შუახანს გადა- ცილებული გაძვალტყავებული კაცი დალასლასებდა. მას გაუჭირდა მო- რის წამოწევა და ჭაგვური დაუწყო. გერმანელმა ზედამხედველმა ეს და- ინახა, ღრიალით მივაოდა და ძალაში შემართა, მაგრამ დარტყმა უღიარ შოახერხა. ნიკოლოზს რაღაც ძალაშ უბიიგა და ქორივით წამოაგდო. იგი მკლავში სწვდა გერმანელს და აწეული ხელი ძირს დააშვებინა. ეს უკვე სკანდალი იყო. გერმანელს „შეეძლო სხვა ჭალათები შეეგარა“ და ნიკო- ლოზს ცუდი დღე დაადგებოდა, მაგრამ იგი მაღალმა პიროვნეულმა ტყვემ ისხსნა. ეს უკანასკნელი გერმანელთან მივიდა, გაუღიმა და გერმანულად რაღაც უთხრა.

გერმანელი დაშოშმინდა. ნიკოლოზი მოულოდნელად მოვლენილ მხესნელს გამოელაპარაკა. ფორე მოსულიშვილი ვარო, სიღნალის რაიო- ნის სოფელ ქვემო მაჩხანიღან. როგორც ქართველს, კარგა ხანის თვალ- ყურს გადევნებ და მინდა დაგიმეგობრდეო.

ნიკოლოზი პირველად მაინც ფრთხილობდა: პოლოვკატორი არ იყოს, ასე რომ იცის გერმანულიო. თანაც აეჭვებდა. ნეტავ საიდან აქვს გერმანელ ჭარისკაცზე ისეთი გავლენა, რომ სიკვდილს გადამარჩინა.

მალე ყველაფერი ნათელი გახდა. ფორე მოსულიშვილს ჭერ კიდევ არასრულ საშუალო სკოლაში სწავლისას დაუსახავს მიზნად დაუფლე- ბოდა გერმანულ ენას. შემდეგ ლაგოდების სასოფლო-სამეურნეო ტექნი- კუმში გაუღრმავებია ცოდნა. 1939 წელს წითელი არმიის რიგებში რომ გაუწვევით, იქაც განუგრძვნია გერმანული ენის შესწავლა.

ხანდახან თარჯიმნობას აკისრებდნენ ხოლმე. ფორე მოხერხებულად იყენებდა თავის მდგომარეობას: ზოგჯერ ქართველი ტყვეების უხეშ პა- სუხებს შერბილებულად თარგმნიდა, ხოლო თუ ვინმე ზედმეტ გულახ- ტილობას გამოიჩინდა, გერმანელებს ისე გადაუთარებენდა, რომ მათ ბე- ვრი ვერაფერი გაეგოთ.

ფორე მოსულიშვილის ამ თვისებას — გერმანული ენის ცოდნის გერმანული ფაშისტები დიდად აფასებდნენ. ალბათ, ეს იყო პიზექტორულუმა გერმანელია გარისკაცმა ფორეს დაუჯერა და ნიკოლოზი სიკვდილის გადაწყვეტილება.

ასე გაიცნეს ერთმანეთი ფორე მოსულიშვილმა და ნიკოლოზ ვაჩე-იშვილმა. გულმა გული იცნოო, რომ იტყვიან, სწორედ ასე მოხდა. თეთ-ჯოს ერთხახეთის ახტიპოდები იყვნენ. ფორე მოსულიშვილი მართლაც მოსული, წარმოსადეგი ვაჟეცი იყო, მაღალი, მხაობეჭინი, გულლია. ლაპარაკი დინჯი და აუჩქარებელი იცოდა. ნიკოლოზი კი უფრო დაბალი იყო და შავგვრემანი, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი. ზაგრამ მათ იერ-თებდათ უშიშარი გული, ძლიერი მკლავი, გაუტეხელი ნებისუოფა, მტრის უსაზღვრო სიძულვილი.

ვლო თავისი სიცოცხლის ხანგრძლივი გზა. მიუხედავად ამისა, მათ ოღვირთოვანებულ რეპლიკებს იქით თითქოსდა შორიდან. მაგრამ მაინც გარკვევით, ისმის ავტორის აღლვებული, თავისი გმირების მომავალი ბედისადმი თანაგრძნობითა და სიბრალულით აღსავს ხმა. ის ეს ხმაა, რომ კარნაჟობს მყითხველს ნაწარმოების დედააზრს: ბეღნიერებასაც აქვს დასასრული, რადგან სიცოცხლე ხანმოკლეა და სიკვდილამდე ყველას წინ უდევს გადაულახვი ტრაგიზმი სიბერის სახით. აღარასოდეს დაბრუნდება ახალგაზრდობა, თუ არა მხოლოდ როგორც მოგონება. ეს ამაო გახსენება ახალგაზრდობისა, თანაც რამდენადმე შეუფერებელი სასაუბრო თემა ხანგადასული აღამიანებისათვის და, რაც მთავარია, მათი ახალგაზრდულად აღზნებული ინტონაცია, წარმოადგენს აქ. საოცრად ნაზი იუმორის წყაროს. იუმორის ასეთი შეზავება ლირიზმთან უჩვეულო მიმზიდველობას ანიჭებს მინიატურას.

ცოლ-ქმრულ ურთიერთობა-სიყვარულს წარმოგვიდგენს ნ. ლორთქითანიდე ნაწარმოებშიც „კბილთხარაძე“. ამ თხზულების მთავარ მოქმედ პირებს — სოსიკასა და მარიკას — ისევე უყვართ ერთმანეთი, როგორც ბეგლარსა და ეკატერინეს. მიუხედავად ამისა, ორივე ეს ნაწარმოები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან: „კბილთხარაძე“ წმინდა

წყლის იუმორისტული ნაწარმოები ბია, ხოლო „ბეგრძები“ უკადოებული ხასიათს ატარებს. ერთსადამავე თემაზე შექმნილ თხზულებით ეს სხვაობა განცირობებულია მწერლის თავისებური მიდგომით მასალისადმი. ერთ შემთხვევაში მას წინა პლანზე კამოაქვს მხოლოდ და მხოლოდ კომიური ელემენტები („კბილთხარაძე“), ხოლო მეორე შემთხვევაში ლირიკული გრძნობები („ბეგრძები“).

„კბილთხარაძის“ ფაბულა ძალზე მარტივია: სოსიკამ სიზმარში ნახა თითქოს მისი ცოლი — მარიკა გარდაიცვალა და მკითხვის რჩევით, ცოლის გადარჩენის მიზნით, საღი კბილები დაიძრო. ერთი თვის თავზე სოსიკა გარდაცვალა.

როგორც ვხედავთ, აქ ცოლ-ქმრული ურთიერთობის ისეთი დეტალია, რომელიც ცოლისადმი ქმრის დიდ სიყვარულზე მეტყველებს. ამის შესახებ პირდაპირაც კია ნათქვამი: ცოლ-შვილი გაგიჟებით უყვარდაო. ცოლიც ასეთივე გრძნობით უპასუხებდა მეუღლეს. „ცხონებული მარიკალა, — ვკითხულობთ ნაწარმოებში, — ღირსი იყო: ქმარ-შვილზე უღამდებოდა და უთენდებოდა“. თხზულებაში ისიც წერია, რომ ქმრის სიკვდილმა ქალი გააქვავა და მწუხარებაში ჩააგდო. ობიექტურად სოსიკას და მარიკას სიყვარული თითქოსდა უფრო დამაჯერებელი და თვალნათლივი უნდა იყოს, ვიდრე შე-

გლარისა და ეკატერინესი. როგორც ერთმა, ისე მეორემ თავითნი საქციელით ცხადყვეს ერთმანეთის სიყვარული, ქმარი ცოლის სიყვარულს გადაჰყა, ხოლო ქალმა მძიმედ განიცადა ქმრის გარდაცვალება. ბეგლარისა და ეკატერინეს ცხოვრებაში კი ტრაგული არაფერი მომხდარა. ბეგლარი და ეკატერინე — ეს ბედნიერი წყვილი განუზომლად მეტ თანაგრძნობას პოულობს მკითხველში, ვიდრე გაუშეღულებული სოსია და მარიკა, მიზეზი ამისა ისაა. რომ მწერალი „კბილთხარაძეში“ საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას არა სოსიკასა და მარიკას სიყვარულის სიღრმეზე, მათს ტრაგიკულ ხეედრზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მათი მოქმედების კომიკურ მხარეებზე. გაუნათლებელმა სოსიკამ გულუბრყილოდ დაუჭერა მკითხავს და სრულიად საღი კბილები დაითხარა, ხოლო მარიკა მეზობლების რჩევა-დარიგებას აჟყვა: „სიტყვით იტირე, თვარა უგულობას დაგწამებენო“ და ქმრის ცხედარს აუარებელი სისულელე დაატირა. ავტორი ისე ოსტატურად წამოსწევს წინა პლანზე კომიზმის ელემენტებს, რომ ბოლოსდაბოლოს კომიკური მთლიანად ფარავს ტრაგიკულს.

რა გზით აღწევს მწერალი კომიკურობის ეფექტის მიღებას?

სოსიკას სრულიად შეუსაბამო მოქმედება ცოლის გადარჩენის მიზნით, მისი მოულოდნელი „აჩიფრიფიფება“, მარიკას იძულებითი

მოთქმა იმერული წეს-ჩვეულების თანახმად, გარდაცვლილ ქმრის მონათვლა „პრისტავად“ მერე „მამისახლისად“, და მოგვრებისათვის (ასევე მკითხველისათვის) მომტირალი ქალის სრულიად გაურკვეველი და ამავე დროს სიცილის მოგვრელი რეპლიკები: „ჩემთვის რომ კბილებს იგლეჭდი, ახლა რა დაგიშავეო“ და „ჩემთვის რომ კბილები დაიძვრე, რამდენხანს არყევდი. აბრეშუმის ძაფი დამაგრეხინე, ახლა რა დაგიშავეო“ და ბოლოს მკითხველისათვის სრულიად გაუთვალისწინებელი ახსნა მარიკას ამ ფრაზებისა, ამასთანავე მთხრობელის მკეთრად გამოხატული, დიდი იუმორის შემცველი იხტოხაცია, უაღრესად თავისებური სტილი თხრობისა, შეზავებული იმერული გამოთქმებით — ყველაფერი ეს ერთად გულწრფელ სიცილს იწვევს მკითხველში.

ეანრობრივი თვალსაზრისით „კბილთხარაძე“ მოთხრობაა, იგი იწყება ექსპოზიციით, რომელშიც გადმოცემულია გეოლოგიური ექსპედიციის ცხოვრება, ამის გამო მკითხველის ყურადღების კონცენტრირება ერთი მიმართულებით არ ხდება. გარდა ამისა, თხზულების პირველ აზხაცებში, ისეთი არაფერია ნათქვამი, რომ ის სიცილს იწვევდეს. ამდენად ნაწარმოების შესავალში ემოციური მხარე შესუსტებულია. აღსანიშავია ისიც, რომ მისი ცენტრალური ეპიზოდი ერთ-ერთი მო-

შეღი პირის თხრობაშია მოქცეული და ოღიევება როგორც წარსულში მომხდარი ფაქტი. ამიტომაც მისი ზემოქმედების ძალა მყითხველზე იძდება დ ეფექტური არ შეიძლება იყოს. ამავე მიზეზით დაქვეითებულია დინამიურობაც. ყოველივე ამის გამო „კებილთხარაძე“ ნოველა კი არა, წმინდა წყლის მოხრობაა.

სამაგიეროდ ნოველაა ნ. ლორთქიფანიძის „სოფლის აშეკი“. მოქმედება აქაც იმერეთის ერთერთ სოფელში იშლება. თხზულების წამყვანი პერსონაჟები ლევანა და მისი ცოლი ანეტა, ლენტორია და მისი ახალგაზრდა მეუღლე პასიკ სრულიად ჩვეულებრივი, უბრალო აღამიანები არიან, შემოფარგლული თავიანთი ვიწრო ინტერესებით. ნოველა მთლიანად ამ ოთხი მოქმედი პირის ურთიერთდამოკიდებულებაზეა აგებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მეორეხარისხოვან პერსონაჟს — იაკოფას, რომელიც საკუთარი გამორჩენის მიზნით ცდილობს ბოლო მოუღოს მეზობელ ოჯახებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას. კონფლიქტის მთავარ მიზეზად ამ ნაწარმოებში ლევანასა და პასიკოს წუთიერი გატაცება გველინება.

„შეტევაზე“ პირველი ლევანა გადადის. პასიკ გარეგნულად თავშეკავებით უპასუხებს, ნამდვილად კი მასაც გამომწვევად უჭირავს თავი და ამას კარგად გრძნობს როგორც ლევანა, ისე

შეკორცელიც. გაარშიყების პირველსავე სცენიდან ცხადი სხვგა, რომ ლევანაცა და პასიკოც პრამიტიული სულის პასიკოც პრამიტიული არიან. ამიტომაც მყითხველი დარწმუნებულია, რომ მათ არ ამოქმედებთ განცდათა ის სიღრმე და სიმწვავე, რაც ახასიათებთ ნ. ლორთქიფანიძის ლირიკულ თხზულებათა პერსონაჟებს: დათიკოს („მარად და მარად“), ექვთიშეს („სანახვად“), ქეთის („ქორწილი“) სწორედ მათი, ამ პერსონაჟების დიდბუნებოვანების გამო.

ლევანასა და პასიკოსთვის მდგომარეობა მაშინაც კი არ მძიმდება, როდესაც მათ ურთიერთობაზე მთელი სოფელი აყაყანდება. პასიკო ამ რთულ სიტუაციაშიაც არ იბრევა და უტიფრად ხმას ავრცელებს მეზობლებში, რომ ლევანას თითქოსდა ძალა უნდოდა ეხმარა მასზე. ამ ამბავმა ლევანას ცოლამდე და პასიკოს ქმრის ყურამდეც მიაღწია, მაგრამ დიდად არც ისინი შეწუხებულან: ანეტა დაკაყაფილდა იმით, რომ წყევლა-კრულვა გაუგზავნა მეტოქეს, ხოლო მერე ქმარს მოუწყო ეჭვიანობის სცენა, რომელიც უმალვე ცოლ-ქმრული ხვევნა-ალერსით დამთავრდა. ლენტორია კი მაშინაც გულგრილი დარჩა მომხდარი ამბებისაღმი, როდესაც ლევანა ცოლის გულის მოსაგებად საცემრადაც კი გაიწია პასიკოზე.

მოარშიყეთა დამოკიდებულება მთლიანად იცვლება, უკვე ერ-

თმანეთისაღმი მტრულად განწყობილ ბანაკებში ექცევიან, და-ბცველებად კი მათი მეუღლეები გაშოდიან. ღენტორიამ თავის მეტოქეზე საჩივარი შეიტანა სასამართლოში, ხოლო ანეტამ ფული შესთავაზა იაკოფას, რათა ამ უკანასკნელს დაეყოლიებინა შომჩივანი, მიესპონ სასამართლოში საქმე. ანეტამ არ ითავიდა და სასამართლოს უწყებამდე გამოიხახა პასივო მოსალაპარაკებლად და ფულიც კი შეაძლია. ქრთამმა გაჭრა: ლევანს „დანაშაული“ სასამართლოს აღარ განუიღოს, ყველაფერი გაცილებით უფრო მშვიდობიანად დამთავრდა, ვიდრე ამას მკითხველი მოელოდა. ანეტამ სასამართლოს წინ, იქვე, დახლზე გაშალა სუფრა, რომელსაც ათიოდ კაცი შემოუსხდა. მომჩივან - დამნაშავე, მოსამართლეები, შეამავალი იაკოფა, სოფლის მამასახლისი და მწერალი ერთად შეეძლოდნენ პურ - ლვინოს. განსაკუთრებით კომიკურად გამოიყურება ნაწარმოების უკანასკნელი სცენა: „მომჩივან-მოპასუხე და იაკოფა ერთად ბრუნდებოდნენ შინ. წინ ლევანი და მისი ცოლი მიდიოდნენ, უკან — ღენტორია და მისი ცოლი, შუაში — იაკოფა“.

როგორც ვხედავთ, კომიზმის მთავარ წყაროდ ამ ნაწარმოებში თავისებური შინაარსი გვევლინება, რასაც აძლიერებს მოქმედ პირთა გამკილავი ოხუნჯობები, ანეტას, პასიკოსა და ლევანს სოფლური წყევლა-კრულვა, ლე-

ნტორიას მიკიბულ - მოკიბულ / ფრაზები, მის შეირ ლაპრავები / აძირად ჩართული სრულმარტინული ზრო გამოთქმა: „ვინცხა იძისი არ იყოს“ და, რაც მთავარია, მისი სრულიად შეუსაბამო რეაქციები.

აქვე გვინდა შევნიშნოთ: სხვა იუბორისტული ნაწარმოების მსგავსად, შეწრალი თავს იკავებს მოვლენებისა და მოქმედ პირთა შეფასებისაგან. ერთადერთ გამონაკლისს იაკოფა წარმოადგენს, რომლის დახასიათებასაც ნ. ლორთქიფანიძე ერთ პატარა აბზაცში ათავსებს. რაც შეეხება ნაწარმოების წამყვან პერსონაჟებს, მწერალი მხოლოდ ანეტას გარეგნობაზე გვიქმნის მცირეოდენ წარმოდგენას: „ანეტამ დოინჯი შემოიდვა და ლევანას წინ გაუხერდა. ფეროვანი მსვილი სახე, თეთრი კასერი, აბორციილი მკერდი...“ რაც შეეხება პასიკოს, მწერალი მის დასახასიათებლად იყენებს ეპითეტებს: „ყელმოლელილი“, „შეწითლებული“ — ისინი ამ მოქმედი პირის აფორიაქებულ მდგომარეობაზე მიუთითებენ და ამდენად ემოციურად არიან შეფერილნი. სხვა სახვით საშუალებებს (ვგულისხმობთ ჰიპერბოლებსა და მეტაფორებს) მწერალი ამ ნაწარმოებში თავს არიდებს, მხოლოდ ერთგან სრულიად სადა კონტექსტში მოხდენილად აქოვს ხატოვან გამოთქმებს:

„ცარიელ თაროდან გამოძრა მჴალის მოზრდილი ნატეხები.

ზანდუკის კუნძულში აღმოჩნდა შველი და ორი განხუხი. ანეტა მცირე ხნით გაქრა და საიდანლაც პატარა დოქტორი ლვინო მოარბენინა....

სუფრას თავს დასტრიალებდა ალერსი.

— წალი, ბიჭო, ბაბუაშენთან, ნალიაში! — გაისტუმრა მამამ შვილი.

ლოგინს ნისკარტი დაჰკრა წერომ“.

საერთოდ, ისე როგორც სხვა იუმორისტულ ნაწარმოებებში, „სოფლის აშიკშიაც“ ავტორისეული რემარკები სრული სისადავითა და უბრალოებით გამოიჩინა. უფრო მეტიც, გარკვევით შეიმჩნევა მწერლის მისწრაფება, რამდენადმე დაუახლოოს თავისი ენა პერსონაჟთა მეტყველებას. ეს შეეხება პირველ რიგში მწერლის ლექსიკას. ასე, მაგალითად, ავტორის რემარკებში ვკითხულობთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: „მიაჯოგოხეთა“, „წამოისივლა“, „თვალებდაპრაშული“, „დალანდა“, „მოიცა“, „აეტუზა“, „ლრეჭით“, „გამოიბრუცება“, „გლურჯად“, „უგაათად“. ამგვარი სიტყვები თხზულების საერთო ქსოვილს უფრო ეხამება და მწერალიც, როგორც ჩანს, საგანგებოდ მიმართავს მათ, რათა ერთი მხრივ, ნაწარმოებში შეიტანოს ექსპრესიულობა, ხოლო მეორე მხრივ, არ დაარღვიოს თხზულების საერთო სტილი.

ერთსადაიმავე თემაზე დაწე-

რილ ლირიკულ და იუმორისტულ თხზულებათა შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაჲისაფრთხეული ვასკვნათ, რომ მხატვრული ნაწარმოების რაგვარობას თემა კი არ განსაზღვრავს, არამედ ის, თუ რა თვალსაზრისით, რა კუთხით ეხება მწერალი მასალას. ძეორე მხრივ, იგივე ანალიზი გვეხმარება უფრო ცხადად გამოვკვეთოთ ის განსხვავებული და თავისებური გზები, რომელთა საშუალებით ნ. ლორთქიფანიძე აზავებს ლირიზმსა და იუმორს თავის თხზულებებში.

ნ. ლორთქიფანიძის ლირიკულ ნაწარმოებთა უმრავლესობა, როგორც ვთქვით, უფაბულოა. ან სრულიად მოკლებულია კონკრეტულობას, ან არა და ნაკლებ კონკრეტულია. მთელი ტვირთი გადატანილია ავტორისეულ სიტყვაზე. ამ მანერითაა დაწერილი მინიატურები: „ორი გზა“, „რიურაჟი“, „მრცხვენია“, „რეკა“, „რად მინდა პატივისცემა“, „უცნაური სიყვარული“, „ის“, „სიონის მტრედო!“, „დაჭკნა ყვავილი“ და სხვ.

უფაბულო ლირიკული მინიატურების გვერდით ნ. ლორთქიფანიძე ქმნის აგრეთვე სიუჟეტიან ლირიკულ თხზულებებსაც („გული“, „მთვარიანი ღამის ჩრდილში“, „თავსაფრიანი დედაკაცი“, „ტრაგედია უგმიროდ“ და სხვ.), მაგრამ აქაც სიუჟეტის დამუშავებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, იგი ჩვეულებრივ, ან ფაბულამდეა დაყვანილი, ან არა

და მკრთალადაა გამოხატული. ამასთანავე მათში ძუნწადაა წა-  
რმოლებენილი როგორც სიტუა-  
ციები, სცენები, ისე მოქმედ პი-  
რთა დიალოგებიც. ასე რომ, მთე-  
ლი სიმძიმე სიუჟეტიან ლირი-  
კულ თხზულებებშიც ავტორისე-  
ულ სიტყვაზე მოღის. ერთი სიტ-  
ყვით, ემოციათა წარმოქმნის მთა-  
ვარ ფაქტორს ნ. ლორთქიფანიძის  
ლირიკულ თხზულებებში იმდე-  
ნად სიუჟეტი კი არ წარმოად-  
გენს, რამდენადც, მხატვრული  
ხერხები.

ნ. ლორთქიფანიძის იუმორის-  
ტული თხზულებები კი, პირიქით,  
სწორედ თვითანთი კონკრეტულ-  
ობით გამოირჩევიან. ამ შემთხვევ-  
უაში მწერალი ამჯობინებს თვალ-  
ნათლივ გვიჩვენოს განსასახირე-  
ბელი ობიექტები და მოვლენები.  
ამავე მიზეზის გამო ნ. ლორთქი-  
ფანიძის იუმორისტულ ნოველებ-  
სა თუ მოთხრობებში სრულიად  
გამოკვეთილია ფაბულაც და სიუ-  
ჟეტიც, რომელთა დამუშავებას  
მწერალი უკვი განსაკუთრებულ  
მნიშვნელობას ანიჭებს. აღსანიშ-  
ნავია ისიც, რომ ნ. ლორთქიფა-  
ნიძის იუმორისტულ თხზულება-  
თა ტექსტი, ლირიკულისაგან გან-  
სხვავებით, თითქმის მთლიანად  
მოქმედ პირთა დიალოგებს ეყრ-  
დნობა და ემოციურ ეფექტს  
სწორედ თხზულების თავისებუ-  
რი შინაარსით და სიუჟეტის თა-  
ვისებური გაშლით აღწევს. იუმო-  
რისტული ნაწარმოებების ემო-  
ციათა მთავარი წყარო — კომიზ-

მი აქ, როგორც წესი, უპირველეს  
ყოვლისა ნაწარმოების შინაარს /  
დანაა აღმოცენებული. უმოსისულე  
გაძლიერებას ემსახურებს და განვი-  
თვე მოქმედ პირთა დიალოგები,  
რომლებიც სავსეა ენამოსწრებუ-  
ლობით, გონებამახვილობით, ოხ-  
უნჯობებითა და ნართაული გამო-  
თქმებით.

ამავე დროს ნ. ლორთქიფანი-  
ძის იუმორისტული თხზულებები  
სრულიად თავისუფალია იმ მხა-  
ტვრული ხერხებისაგან (შინაგანი  
რიტმულობა, პაუზები, ინვერსი-  
ები, ინტონაციური მახვილების  
ხაზებამა და სხვა), რომლებსაც  
სწორებ ემოციათა გაინტებსივე-  
ბის მიზნით უხვად იყენებს ლი-  
რიკულ თხზულებებში. მწერალი  
იშვიათად მიმართავს აგრეთვე  
ეპითეტს, მეტაფორას, პიპერბო-  
ლას და სხვ. შთაბეჭდილება ისე-  
თია, რომ თითქოსდა ნ. ლორთ-  
ქიფანიძე საგანგებოდ ხსნის იუ-  
მორისტულ ნაწარმოებებს ყვე-  
ლგვრ სამკაულს და ცდილობს,  
თავისი ენაც კი მის მიერ შექმ-  
ნილ მოქმედ პირთა მეტყველებას  
დაუხახლოოს, რათა, რაც შეიძლე-  
ბა მეტი სისაღავე მიანიჭოს  
თხზულების ტექსტს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნ.  
ლორთქიფანიძის ლირიკულ ნაწა-  
რმოებებში (სიუჟეტიანშიც კი)  
მოქმედება ჩვეულებრივ სტატი-  
კაშია მოცემული. უიხაშიუ-  
რობის შთაბეჭდილებას აქ მხო-  
ლოდ შექმული თხრობა, ლა-  
კონიურობა, შინაგანი რიტმიზა-

ცია და განსხვავებულ შინაარსთა  
შემცველი სურათების სწრაფი  
მონაცვლეობა თუ ქმნის. სამაგი-  
ეროდ იუმორისტულ ნაწარმოე-  
ბებში მოქმედება უშუალოდ დი-  
ნამიკაშია განხორციელებული. ამ  
ხასიათის თხზულებათა პერსონა-  
ჟები მკითხველის თვალწინ მოქ-  
მედებენ და თავიანთი სხარტი და  
მოქნილი რეპლიკებით კიდევ  
უფრო ამკვეთრებენ ნაწარმოების  
დინამიკას.

მკვეთრად განსხვავდებიან ნ.  
ლორთქიფანიძის ლირიკულ და  
იუმორისტულ თხზულებათა მო-  
ქმედი პირებიც. ლირიკულ ნაწა-  
რმოებთა გმირები ჩვეულებრივ  
ამაღლებული, კეთილშობილური  
სულისა და ფაქიზნი არიან, ცხა-  
დად გამოკვეთილი ინდივიდუალ-  
ობით. იუმორისტულ თხზულება-  
თა მოქმედი პირები კი თავიანთი  
ინტელექტით, ნიჭით, განცდის  
უნარითა თუ სულიერი მოთხოვ-  
ნილებით, არაფრით გამოირჩევი-  
ან სხვებისაგან. ამიტომ ის ამბე-  
ბიც, რაც მათ ირგვლივ ხდება,  
სრულიად ჩვეულებრივია, არა-  
ფერია მათში გასაოცარი, განსა-  
კუთრებული და, თუ რაიმე მოუ-  
ლოდნელობას მაინც აქვს ადგი-  
ლი, ისიც სრულიად კანონზომიე-  
რად გამოიყურება.

ასეთია ზოგად შტრიხებში ხს-  
განსხვავება და მსგავსება, ნ. ლორთქიფანიძის ლირიკულს ფრაზულ-  
მორისტულ ნაწარმოებებში ასეთი და დამოკიდებულება გამოსახვის ობიექტისადმი. განსაკუთრებით ცხა-  
დად იგრძნობა ეს ნ. ლორთქიფანიძის ლირიკულ თხზულებებში, რომლებშიც იგი საოცარი ოსტა-  
ტობით იყენებს ინტონაციურ მა-  
ხვილებს — ავტორის ემოციათა  
გამოხატვის ყველაზე უტყუარ და  
საშუალებას. იუმო-  
რისტულ ნაწარმოებებში კი მწე-  
რალი შედარებით უფრო თავშე-  
კავებული ჩანს, თანაც, როგორც  
მოსალოდნელიც იყო, სათქმელს  
შენიღბულად გაღმოგვცემს.

ასე რომ, ლირიკულსა და იუ-  
მორისტულ ნაწარმოებებში ხან  
უფრო ახლოს და მკვეთრად, ხან  
უფრო შორს და ყრუდ, მაგრამ  
მაინც ყოველთვის ისმის ნ. ლო-  
რთქიფანიძის ხმა და თითქმის ას-  
ევე ყოველთვის ვხედავთ მას სე-  
ვდიანი, ღლნავ გამკილავი, მაგ-  
რამ სითბოთი და თანაგრძნობით  
აღსავსე ღიმილით.

## დოც. შოთა ჯავახიძე

# გაზეთი და სუბსტიტუტი მეცნეობის განვითარების საკითხები

მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსებმა მოგვცეს პრესის როლი - და მნიშვნელობის სწორი, მეცნიერული შეფასება, დაგვისახეს პროლეტარული პრესის მთავარი მიმართულებანი და ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები.

მეოცე საუკუნის დამდეგს რუსეთში, როცა დღის წესრიგში ახალი ტიპის მაოქსისტული პარტიის შექმნის აღოცასა დადგა, ვ. ი. ლენინმა მიუთითა, რომ იგი უნდა დაგვეწყო საერთო-რუსული პოლიტიკური განვითარების, — უნდა იყოს საერთო-რუსული პოლიტიკური განვითარება<sup>1</sup>. ასეთი ირგვანო იყო ლენინური „ისკურა“.

ბას და განვითარებას, — უნდა იყოს საერთო-რუსული პოლიტიკური განვითარება<sup>2</sup>! ასეთი ირგვანო იყო ლენინური „ისკურა“.

ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ გასეთის როლი აო შესოიფაოვლება მარტო იდეების გავოცელებით, მასების პოლიტიკურად აუზრდით, ძოკავშირების სუცვით; „განვითი არის არა მაოტო კოლექტიური აონაგანდისრი და კოლექტიური აგიტატორი, აოადედ კოლექტიური ირგანიზატორიც<sup>3</sup>“. ლენინურა ბოლშევიკეობა პრესა სავსებით გაამოთლა ეს. მის გარშემო დაირაზნება რუსეთის ტმრობელი მასები, გაეოთიანდნენ სოციალ-დე-

1 ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 5, გვ. 10.

2 ვ. ი. ლენინი, გვ. 13.

მოქრატიული ორგანიზაციები და შეკვეთისა მონოლითურად შეკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ამჟამად წარმოადგენს ნიმუშს მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობისათვის.

ლენინური მოძღვრების შესაბამისად შეოცე საუკუნის დამდევიდან ორგანიზებულად წარიმართა საქართველოში პროლეტარული პრესის საქმე. გაზეთ „ისკრის“ ტრადიციებს აგრძელებდნენ „ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლა“, „ახალი დროება“, „ახალი ცხოვრება“ და სხვ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი შებრძოლი რაზმის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანო გაზეთი „კომუნისტი“, რომლის პირველი ნომერი 1920 წლის 3 ივნისს გამოვიდა, არის პროლეტარული, ბოლშევკური პრესის დიადი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, საბჭოთა საქართველოს მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობის, რესპუბლიკის მჩქეფარე კულტურული ცხოვრების ყოველმხრივ ამსახველი და გამშუქებელი.

„კომუნისტი“ პირველი ნომრიდანვე თავის მრავალმხრივ მოღვაწეობასთან ერთად ემსახურებოდა და კვლავაც ემსახურება რესპუბლიკაში სუბტროპიკული

მეურნეობის აღმავლობას. უგო თბერატიულად, საქმის ცოდნით ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებით პროპაგანდას უსაფრთხოებას შრომატევადი, მაღალშემოსავლიანი დარგის განვითარებას; ნერგავს სუბტროპიკული მეურნეობის მეცნიერულად გაძლილისა და მართვის მოწინავე მეთოდებს და ხერხებს; შეუპოვრად იბრძეის ჩამორჩენის, არაორგანიზებულობის წინააღმდეგ; მშრომელებს განუშარტავს, რომ საბჭოთა კავშირში სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსები, ტუნგი, დაფნა და სხვ.) გავრცელების არეალი ერთობ მცირეა და მათი მოყვანა შესაძლებელია ძირითადად საქართველოს შევი ზღვის სანაპიროს ზოლში, რომელიც ქვეყანას აწვდის ამ კულტურების მოსავლის 97 პროცენტზე მეტს. ამდენად, საქართველოში სუბტროპიკული მეურნეობა არა ადგილობრივი, რესპუბლიკური, არა ამედ საკავშირო მნიშვნელობის დარგია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაყვარების პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინის მითითებების შესაბამისად, რომ მთელი ძალონით განვავითაროთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა,<sup>3</sup> დაიწყო სოფლის მეურნეობა —

3 ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 32, 83. 399

ობის განვითარება, ჩაის, ციტრუსების, ბამბუკის, დაფნის, ტუნგის პლანტაციებისა და ნარგავების აღრიცხვის, მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების და მოსავლიანობის ამაღლების სამუშაოთა ორგანიზაცია.

„კომუნისტი“ ქხებოდა რა ვ. ი. ლექინის „ზრუნვას საქართველოს სამდინაროში, ბელადის წერილს ს. ორჯონიშვილისადმი ქართველი კომუნისტების ტაქტიკის შესახებ, მოწინავე სტატიაში წერდა: „საინტერესო და გასახარია, რომ საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის მეთაურის ამხ. ლენინის შეხედულებანი ჩვენს — საქართველოს სინამდვილეზე და აქედან გამომდინარე ჩვენს ტაქტიკაზე, სამოქმედო ხაზზე, არამცო შორდება ჩვენი საქართველოს საბჭოთა მთავრობის და კომუნისტური პარტიის შეხედულებებს და მოსაზრებებს, არამედ, პირიქით, უერთდება, დასტურს აძლევს მათ. საქართველოს საბჭოთა მთავრობამ და მისმა ხელმძღვანელებმა, საქართველოს კომპარტიამ თავიდანვე აიღეს ის სამოქმედო კურსი, რომელზედაც მიგვითითებს ჩვენ ამხ. ლენინი“.⁴

საკოლმეურნეო მშენებლობის წლებში საქართველოში იქმნებოდა ჩაის მეურნეობები. მარტო 1927-1928 წლებში ჩამოყალიბდა 128 მეჩაიერობის კოლმეურნეობა. 1926 წლამდე ჩაის პლანტაცია

გაშენებული იყო 2008, 1927 წელს — 2095, 1928 წელს — 8162 გლეხურ მეურნეობრივ უკველივე ამის პროპაგანდისტი, დამხმარე და მრჩეველი იყო გაზეთი „კომუნისტი“. იგი უხსნიდა გლეხებს ამ დარგის განვითარების მნიშვნელობას, ანზოგადებდა შედარებით მსხვილი მეურნეობების გამოცდილებას.

„კომუნისტი“ წერდა, რომ 1920 წლის დეკემბრიდან მუშაობას ჟეუდგა ზემო ეჭვრის (გურია) სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, ოოქელიც ერთ-ერთი უდიდესი იყო დასავლეთ საქართველოში. მის მიზანს შეადგენდა სუბტროპიკული კულტურების გავრცელება და მეურნეობის აშდარგის პროპაგანდა. აქ გაშენდა ჩაი 140 დესეტინაზე, ციტრუსები — 40, ბამბუკი — 40, სხვადასხვა სუბტროპიკული კულტურები — 10 დესეტინაზე. მეურნეობას ემსახურება აგრონომი და აგროტექნიკოსი.<sup>5</sup>

საქართველოსა და ამიერკავკასიაში სუბტროპიკული შეურნეობის გახვითარების საქმეში არსებულ უგეგმობასა და არაორგანიზებულობას ბოლო მოუღო სკეპ(ბ) ცკის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულმა დადგენილებამ.

5 სკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 3, ნაწ. 111, ს. 2736, ფ. 179.

6 „კომუნისტი“, 1927 წ. 5 იანვარი

სკკპ (ბ) ცკ-მა ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობის დეტალურად შესწავლის შემდეგ მიღლო გაშლილი დადგენილება ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, რომელშიც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ტექნიკური და სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების საკითხს.

„კომუნისტმა“ ფართოდ გააცნო რესპუბლიკის მშრომელებს ეს დადგენილება,<sup>7</sup> მის ფურცლებზე ვრცლად შუქდებოდა სუბტროპიკული მეურნეობის მიღწევები და ნაკლოვანებანი. გაზეთმა შემოიღო სპეციალური რუბრიკი — „მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიამ უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაიზე“. გაზეთი ქართველი მეჩაიერებისაგან მოითხოვდა ყოველმხრივ აემაღლებინათ ჩაის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა. ოცდაათიან წლებში, გულისტკივილით წერდა „კომუნისტი“, თუ ინდოეთში ჩაის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 2560 კილოგრამს შეადგენს, ცეილონზე — 2850, სუმატრაზე — 3100, იავაზე — 3300 და იაპონიაში — 4000, ჩენზი 803 კილოგრამს ძლივს აღწევს.<sup>8</sup> ამიტომ გაზეთი მოუწოდებდა, მოეწყოთ ჩაის წარმოება მაღალ აგროტექნიკურ დონეზე,

7 „კომუნისტი“, 1931 წ., 4 ნოემბერი  
8 „კომუნისტი“, 1934 წ., 10 იანვარი

უზრუნველეყოთ ოთხერათი გათოხნა, მინერალური სამსახურის შეტანა, დროულად გასხვლა, საზამთროდ გადაბარება.<sup>9</sup>

„კომუნისტი“ ჩაის კულტურის განვითარებას ანალიზს რომ უკეთებდა, პროპაგანდას უწევდა ამ დარგის სოციალისტური სექტორის უპირატესად განვითარებას. 1928 წლისათვის ჩაის საბჭოთა მეურნეობების რიცხვი ათს არ აღემატებოდა, პირველი ხუთწლედის დასასრულს კი 16 საბჭოთა მეურნეობა 8771 ჰექტარ ჩაის ფართობს ფლობდა. 1928 წლისათვის კოლმეურნეობებში ჩაის ფართობი 292 ჰექტარს შეადგენდა, 1931 წელს — 10235 და 1933 წელს — 21510 ჰექტარს.<sup>10</sup>

გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჩაის გადამმუშავებელი მრეწველობის შექმნას. 1929 წელს რესპუბლიკაში აწარმოეს 285 ათასი კილოგრამი ჩაის მზა პროდუქცია, 1931 წელს — 361 ათასი, 1933 წელს — 1 მილიონ 400 ათასი კილოგრამი.<sup>11</sup> ამავე წელს რესპუბლიკაში 14 ჩაის ფაბრიკა მუშაობდა. ჩაის მოყვანას 17 რაიონი და 60 ათასი მეურნეობა ემსახურებოდა.<sup>12</sup>

9 „კომუნისტი“, 1934 წ., 15 იანვარი

10 „კომუნისტი“, 1934 წ., 10 იანვარი

11 იქვე

12 „კომუნისტი“, 1934 წ., 12 იანვარი

1934 წლის თებერვალში „კომუნისტი“ აჯამებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის შეირსუბტროაციული მეურნეობის განვითარებისათვის გაწეულ სქმიანობას და სიამაყის გრძნობით მოუთხრობდა მკითხველებს, რომ საბჭოთა კავშირში საქართველო გადაიქცა ჩაისა და ციტრუსების წარმოების ძირითად ბაზად. თუ რევოლუციამდე ქართველი გლეხობა მცირებიშიანობის გამო განიცდიდა სიმინდის ნაკლებობას, ახლა ჩაის კულტურის განვითარების მეშვეობით იგი უზრუნველყოფილიცაა და კიდეც ყიდის მარცვლეულს. გაზეთი მოუწოდებს სუბტროპიკული რაიონების მშრომელებს მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ამ დარგის განვითარებას.<sup>13</sup>

ფართო პროპაგანდა გასწიო გაზეთმა საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში სტახანოვური კულ რაიონების გასაშლელად. 1935 მოძრაობის გასაშლელად. 1935 წლის 18 დეკემბერს გამოქვეყნდა ალექსი სტახანოვის წერილი საქართველოს მეჩაიებისა და მეცნიერებისადმი. ამ წერილს ციტრუსებისადმი. ამ წერილს ცართოდ გამოეხმაურნენ სუბტროპიკული რაიონების მშრომელები. მახარაძის რაიონში ივალდებულა, 1936 წელს სამშობლოსათვის წლიური გეგმის გადამეტებით მიეცა ნახევარი მილიონი კოლოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.<sup>14</sup>

13 „კომუნისტი“, 1934 წ., 24 თებერვალი

14 „კომუნისტი“, 1936 წ., 4 იანვარი

ცხაკაიას რაიონში იკისრა სიაღაგის მომზადების გეგმა შემთხვევაში სრულებინა 146 პროცენტით მდგრადი გადახდის — 145, სასუქების შეტანისა — 156 პროცენტით.<sup>15</sup> ასევე გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობდნენ სხვა სუბტროპიკული რაიონები.

„კომუნისტმა“ 1937 წლის იანვარში რესპუბლიკის მშრომელებს ამცნ, რომ 1936 წლის ბოლოსათვის ტრესტ „საქართველოს ჩაის“ სისტემაში 1517 სტახანოველი იყო, რაც მუშათა 27 პროცენტს შეადგენდა; სტახანოვრი მოძრაობის შედეგად 1935 წელთან შედარებით 1936 წელს ჩაის ფოთლის თვითლირებულება მეურნეობებში შემცირდა 17,5 პროცენტით, კერძოდ, აქარის საბჭოთა მეურნეობებში მუშათა 50, ხოლო კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა 30 პროცენტი სტახანოველი იყო. აფხაზეთში მათი რიცხვი 1500 შეადგენდა.

დიდი ორგანიზატორული და მასბორივ-პოლიტიკური მუშაობა გასწია გაზეთმა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სკკ (ბ) ცკ-ის 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილების — „საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობის გადიდების 1936-1940 წლების ხუთწლიანი გეგმების შესახებ“ — განსახორციელებლად.

15 „კომუნისტი“, 1936 წ., 11 იანვარი

პარტიამ და მთავრობამ გაითვალისწინეს დასავლეთ საქართველოს ნიადაგის, ჰავის ხელსაყრელი პირობები და დაავალეს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს 4 წლის განმავლობაში გაეშენებინათ 16820 ჰექტარი ციტრუსების ახალი პლანტაცია. გაზეთი განუმარტავდა რესპუბლიკის მშრომელებს ამ დავალების შესრულების პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას და ფართოდ აშუქებდა რაიონების, აღლვაზლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადებისა და რგოლების, მოწინავე შეციტრუსების საქმიანობას. გაზეთი მოწინავე მეურნეობებისათვის არ იშურებდა კარგ სიტყვას და ამასთან მკაცრად აკრიტიკებდა ჩამორჩენილებს.

სამამულო ომის მრისხანი წლებში გაზეთი აქებდა და აღიდებდა ქართველ ქალებს, რომლებმაც ომში წასული მამაკაცები შეცვალეს და თავს დასტრიალებდნენ სუბტროპიკულ კულტურებს, მარჯვენას უქებდა ზუგდიდის რაიონის ინგირის კოლმეურნეობის მეჩხაიე ქიონია სარსანიას,<sup>16</sup> ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის ბრიგადირ

ასივ ბერაძეს,<sup>17</sup> ბათუმის რაიონის ურეხის კოლმეურნეობის მეცნიერება ჩაიგ ხაჭერ გორგილაძეს,<sup>18</sup> ორმლებიც მძიმე პირობების მიუხედავად სისტემატურად ზრდიდნენ ჩაის, ციტრუსების და ტუნების მრავალიახობას. მარტი 1943 წელს საქართველომ მრეწველობას მისცა 60578 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1940 წლის 51700 ტონის ხაცვლად. ძვაცრი ზამთრის მიუხედავდა ამავე წელს 400 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი ჩაბარდა სახელმწიფოს.<sup>19</sup>

ომისშემდგომ პერიოდში გაზეთი ყოველწლივ შხარს უკერდა მოწინავე მეჩაიერებსა და მეციტრუსებს, ანზოგადებდა მათ წარმატებებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებულებით, საქართველოს სუბტროპიკული რაიონების 11 მოწინავე მეჩაიეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. გაზეთი სიამაყის გრძნობით წერდა: „...საბჭოთა სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა... საქართველო

17 „კომუნისტი“, 1944 წ., 7 ნოემბერი

18 „კომუნისტი“, 1943 წ., 10 ოქტომბერი

19 „კომუნისტი“, 1944 წ., 18 იანვარი

16 „კომუნისტი“, 1942 წ., 16 ივნისი

ერთ-ერთი მხარეა, რომელიც საძრეწველო მასშტაბით აწვდის მთელ საბჭოთა კავშირს ჩაის, ღიამნს, ფორტოხალსა და მანდარინს. ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია ჩაისა და ციტრუსების დიდი მეურნეობა. შარშან სახელმწიფოს ჩაბარდა 35500 ტონა ხარისხოვანი ჩაის შევანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30000 ტონისა, 688 მილიონ ცალზე მეტი ლიმონი, ფორტოხალი და მანდარინი.<sup>20</sup> 1949 წლის 5 ივნისის ბრანდეულებით 41 კაცს, ჩაისა და ციტრუსების უხვი მოსავლის ოსტატებს მიენიჭათ სოციალისტური ძროშის გმირის წოდება. ლენინის ორდენით დაჯილდოვდა — 41, შრომის წითელი დროშის ორდენით — 79, მედლებით — 155 კაცი.<sup>21</sup>

გაზეთი სამართლიანად ასკვნიდა, რომ ეს ფაქტი მეტად საყურადღებოა. ჯერ ერთი, ნათელი ხდება თუ როგორ იზრდება მოწინავეთა რიგები, მეორეც, როგორ ფართოვდება გზა სუბტროპიკული კულტურების ნაყოფზე ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მზარდი მოთხოვნილების დაქმაყოფილებისა.

„კომუნისტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სუბტრო-

პიკული მეურნეობისათვის მეურნეობის ტექნიკური ბაზის მნის მნას. 1929 წელს, შერსუსტუზურებულის შესანიშნავი ფურცელი ჩაი-იწერა საქართველოს საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიაში — მ წელს შეიქმნა აბაშის, აგარისა და მარნეულის მტს-ები.<sup>22</sup> 1930 წელს გამოიწვეველებს, რომ სენაკის მაზრაში მუშაობდა 49 ტრაქტორი, ზუგდიდის მაზრაში — 9, ოზურგეთის მაზრაში — 8, აფხაზეთში — 29, აჭარაში — 6, „საქართველოს ჩაის“ სისტემაში — 28, და მოუწოდებდა მეურნეობების ხელმძღვანელებსა და ტრაქტორისტებს, ას მოეცდინათ რკინის გუთანი, ემუშავათ ცვლებად და განვითარებინათ ეს ძვირფასი მეურნეობა საქართველში.<sup>23</sup> შემდგომი მონაცემებით 1933 წელს საქართველოში იყო 33, 1940 წელს — 58, 1954 წელს — 104 მანქანა-ტრაქტორთა საღვრულო.<sup>24</sup>

ამასთან გაზეთი მიუთითებდა, რომ სუბტროპიკულ მეურნეობებში ნელი ტემპით ინერგებოდა მექანიზაცია. 1954 წლისათვის რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებს აკლდათ კულტივატორები, ხუთკოპუსიანი გუთნები, დაბალი

22 „კომუნისტი“, 1954 წ., 5 ივნისი

23 „კომუნისტი“, 1930 წ., 22 ოქტომბერი

24 „კომუნისტი“, 1954 წ., 5 ივნისი

იყო სამუშაოთა მექანიზაციის  
დონე.

ქართველი კონსტრუქტორების  
ენერგიული შრომის შედეგად შე-  
იქმნა მსოფლიოში პირველი ჩაის  
საკრეფი ჰანქანა „საქართველო“  
და მის შემქმნელთა ჯგუფს 1967  
წლის პრინტი ლენინური პრე-  
მია მიენიჭა. „კომუნისტი“ ფარ-  
თოდ გამოეხმაურა ამ ფაქტს. სა-  
ხელმწიფო გამოცდის შონაცემე-  
ბის მიხედვით, წერდა გაზეთი,  
ერთი მანქანა „საქართველო“  
ცვლის 30-40 მეტრუავს და სე-  
ზონში 10-15 ჰექტარ პლანტაცი-  
ას ემსახურება. „საქართველო-  
თი“ დაინტერესდნენ ამერიკის,  
იაპონიის, ინდონეთისა და ცეილო-  
ნის პლანტატორები.

საყურადღებოა, რომ „კომუ-  
ნისტი“ სუბტროპიკული რაიონე-  
ბის მშრომელთა წარმატებებს  
უბრალოდ კი არ ჩამოთვლის, არ-  
ამედ იძლევა მათ სწორ, მეცნიე-  
რულ ახსნას. გაზეთი მიუთითებს,  
რომ „საქართველოს სუბტროპი-  
კული რაიონების მშრომელებმა  
წარმატებას მიაღწიეს საქმის სიყ-  
ვარულით, შრომითა და მხოლოდ  
შრომით, მოწინავე საბჭოთა მე-  
ცნიერებისა და შუქურების მდი-  
დარი გამოცდილების პრაქტი-  
კულ საქმიანობაში დანერგვით.  
ავილოთ თუნდაც ქობულეთის  
რაიონი. აქ ყოველწლიურად იღე-  
ბენ ჩაის ფოთლის სარეკორდო

მოსავალს. წარმატებას აფრიკული  
ნიკური წესების ზუსტადებული  
ვით, ქიმიური ცოდნის გამოყენე-  
ბით მიაღწიეს. ყველა სახის სამუ-  
შაოს ასრულებენ ჩაისა და სუბ-  
ტროპიკული კულტურების ანა-  
სეულის სრულიად საკავშირო-  
სამეცნიერო-საკვლევი ინსტი-  
ტუტის მიერ დადგენილი წესები-  
სა და მეთოდების ზუსტად დაც-  
ვით.

წყალტუბოელი მეჩაიერები ამ  
უკანასკნელ წლებში წარმატებას  
წარმატებაზე აღწევენ, ზრდიან  
მოსავლიანობას, ამას მიაღწიეს  
შრომის სწორი ორგანიზაციით,  
სპეციალიზაციითა და რწყვით, იქ  
სადაც დაწვიმებით რწყვას აწარ-  
მოებდნენ, ჩაის ფოთლის მოსა-  
ვლიანობა წელს 30 პროცენტით  
გაიზარდა. ასეთი მაგალითების  
მოყვანა ზუგდიდის, ცხაკაის,  
ოჩამჩირის და სხვა რაიონებიდა-  
ნაც შეიძლება“.<sup>25</sup>

დასავლეთ საქართველოს მშრ-  
ომელებმა დიდ წარმატებებს მი-  
აღწიეს აგრეთვე სკპ ცკ-ის 1965  
წლის მარტის პლენუმის გადაწყ-  
ვეტილებების განხორციელებისა-  
თვის ბრძოლაში. მეცნიტრუსებმა

25 „კომუნისტი“, 1964 წ., 24 სექტე-  
მბერი

1965 წლის დეკემბრის დამდეგი-  
სათვის სახელმწიფოს მიჰყიდვს  
21623 ტონა ციტრუსოვანთა ნა-  
ყოფი, ნაცვლად გეგმით გათვა-  
ლისწინებული 17400 ტონისა. გა-  
ზეთი მარჯვენას უქებს აქარის  
მეციტრუსეებს, რომლებმაც გე-  
გმის ზევით 4896 ტონა ნაყოფი  
დაამზადეს.<sup>26</sup>

„კომუნისტი“ პერიოდულად  
აყენებს კითხვას — „რატომ და-  
ვივიშეთ ტუნგი?“ და მოუწო-  
დებს რესპუბლიკის მშრომელებს  
აღმოფხვრან მეჩხერიანობა ტუნ-  
გის პლანტაციებში, შეიტანონ მი-  
ნერალური სასუქები, არ მოაკ-  
ლონ მოვლა-პატრონობა, რომ  
ტუნგის კულტურა ისევე რენტა-  
ბელური და მაღალშემოსავლია-  
ნი დარგი იყოს, როგორც ჩაი და  
ციტრუსებია.

პერიოდულად აშუქებს გაზეთი  
იმ მეურნეობების საქმიანობას,  
რომლებსაც დაფნის ნარგავები  
აქვთ და წარმატებებთან ერთად  
აღნიშნავს, რომ საჭიროა სუბ-  
ტროპიკული რაიონების მშრომე-  
ლებმა მეტად იზრუნონ დაფნის  
პლანტაციების გადაბარვის, მინე-  
რალური და ორგანული სასუქე-  
ბის შეტანის, სწორად გასხვლისა  
და მოვლისათვის. გაზეთი სისტე-  
მატურად მოაგონებს მკითხველს

ამ კულტურის სახალხო-სამსახურის  
ნერ და კვებით დანიშნულება  
გაზეთი სისტემატურად მოვალეობა  
ნებს მოწინავე მეჩაიერების, სოფ-  
ლის მეურნეობის სპეციალისტე-  
ბის წერილებს, მეცნიერულად  
არგუმენტირებულ მასალებს ამ  
რთული დარგის განვითარების  
გზების შესახებ.

„პრავდა“ სამართლიანად მიუ-  
თითებდა, რომ „გაზეთებს შო-  
რის, რომლებიც ბოლო ხანს უფ-  
რო მწვავე და მიზანსწრაფული  
გახდნენ“ შინაარსობრივად, რომე-  
ლთა გამოსვლები ხშირად იშვე-  
ვენ ფართო საზოგადოებრივ რე-  
ზონანს, შეგვიძლია დავასახე-  
ლოთ „კომუნისტი“.

„კომუნისტი“ მხარში უდგას  
საქართველოს პარტიულ ორგა-  
ნიზაციას, სუბტროპიკული რაიო-  
ნების პარტიულ, საბჭოთა და სა-  
მეურნეო ორგანოებს, რაიონულ  
გაზეთებს ამ დარგის განვითარე-  
ბის საქმეში. იგი არის ღირსეუ-  
ლი მონაწილე იმ დიდი წარმა-  
ტებებისა, რაც 50 წლის მანძილ-  
ზე მოვიპოვეთ. თუ 1921 წელს  
ჩაის ფართობი ათას პეტარს შე-  
ადგენდა, 1971 წლისათვის 64000  
პეტარამდე გაიზარდა, ხოლო  
მოსავლიანობა — 550 ტონიდან  
258000 ტონამდე, საშუალო სა-  
პეტარო მოსავლიანობა — 541  
კილოგრამიდან 5000 კილოგრამა-  
მდე; ციტრუსების პლანტაცია —  
400 პეტარიდან 14000 პეტარა-

26 „კომუნისტი“, 1965 წ., 9 დეკემ-  
ბერი

მდე, მოსავლიანობა — რამდენი-  
მე კილოგრამიდან 95000 ტონამ-  
დე. ამ ღროისათვის 75 ჩაის ფაბ-  
რიკა გვქონდა, ნაცვლად 1921  
წლის 5 პრიმიტიული ფაბრიკისა.

სუბტროპიკული მეურნეობის  
განვითარებაში მოპოვებული წა-  
რმატებების მიუხედავად, ჯერ კი-  
დევ ადგილი აქვს სერიოზულ ნა-  
კლოვანებებსა და ხარვეზებს. ირ-  
ლვევა სოფლის მეურნეობის გან-  
ვითარების დარგობრივი სტრუქ-  
ტურა. მიუხედავად იმ დიდი მნი-  
შვნელობისა, ჩაც ჩაის, ტუნგის,  
დაფნას და ციტრუსებს აქვს სა-  
ქართველოს სოფლის მეურნეო-  
ბისათვის, ამ კულტურების საზი-  
ანოდ აღიდებდნენ მარცვლეულ-  
ის ფართობს. საქართველოს სუბ-  
ტროპიკული ზონის ცალკეული  
რაიონები (ქედის, ჩოხატაურის,  
სამტრედიის, წყალტუბოს) ჩაი-  
სათვის ვარგის ფართობებს დღე-  
მდე ერთწლიანი კულტურებისა-  
თვის იყენებენ. ზოგან ნელი ტემ-

პით ინერგება მოწინავე საბოლო  
აგრონომიული მეცნიერებების მიერ  
ღწევები. სუბტროპიკული ზონის  
კოლმეურნეობებსა და საბჭოთა  
მეურნეობებში, ჩაის ფაბრიკებში,  
ციტრუსების დამაზადებელ ორ-  
განზაციებში ადგილი აქვს სახე-  
ლმწიფო და შრომის დისკიპლი-  
ნის დარღვევის, სახელმწიფო ქო-  
ნების მითვისების, თვალისახვე-  
ვის უხეშ ფაქტებს, სათანადოდ  
არ არის გაშლილი ჩაის ხარისხი-  
სათვის ბრძოლა.

გაზეთი „კომუნისტი“ საქართ-  
ველოს კპ ცენტრალური კომიტე-  
ტის 1972 წლის ნოემბრისა და  
1973 წლის ობერვლის პლენუ-  
მების გადაწყვეტილებების, ამ  
პლენუმების მიერ შემუშვებუ-  
ლი გაბედული. ქმედითი ღონის-  
ძებების შესაბამისად ფართოდ  
აჩალებს მუშაობას სუბტროპი-  
კულ მეურნეობებში არსებული  
ნაკლოვანებების აღმოსაფხვრე-  
ლად.

## ზეგაპ კომანდი

# აჭარის ზღვისპირა ზონის სასოფლო - სამუშაო ნარმობის თავისებურება

მიწა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი საშუალებაა, ამიტომ უალრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მის რაციონალურ გამოყენებას. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ მცირემიწიან რესტუბლიკას, როგორიც საქართველოა და, კერძოდ, აჭარის ასარ. დასახლებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის განკუთვნილი მიწის ფართობები აჭარის მთელი ტერიტორიის მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენს. სახმარი მიწის ფართობების 55 პროცენტზე მეტი. ზღვის დონიდან ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე მდებარეობს. მთიანი რაიონები სათიბ-საძოვრებით და ტყებითაა წარმოდგენილი. ტყე-ბუჩქნარებს აჭარის ტერიტორიის ორი მესამედი უკავია. სოფლად სოციალისტური სისტემის დამკვიდრებამდე აჭარის ტერიტორიაზე მრავალწლიანი ნარგებებიდან ძირითადად ხეხილი იყო გაშენებული, რომელსაც

1923 წელს 1070 ჰექტარი ეკავა. ამ დროისათვის აჭარის ზღვის სანაპირო ზონაში ჩაის ფართობი 905 ჰექტარს შეადგენდა. აჭარაში თურქთა ბატონიბის პერიოდში ვაჭი მთლიანად მოისპო, ხოლო ტექნიკურ კულტურებს საერთოდ არ მისდევდნენ.

მიწის რაციონალურად გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნიაღაგურ-კლიმატური პირობებით აჭარა საბჭოთა კაშირში ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების გავრცელების ერთ-ერთი მთავარი რაიონია. ეს ბევრად აღიდებს იქ მიწების მაქსიმალური ეფექტით გამოყენების ეკონომიკურ მნიშვნელობას.

აჭარის ზღვისპირა რაიონებში მიწების რაციონალურად გამოყენება შესაძლებელი გახდა სოფლად სოციალისტური სისტემის დამკვიდრების, მსხვილი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნე-

ობების შექმნა-განვითარების შედეგად. არსებითად შეიცვალა აქარის მთიანი და განსაკუთრებით ზღვისპირა ზონის მიწის ფონდის სტრუქტურული შედგენილობა. მცველობით გადიდდა მრავალწლიანი ნარგავებით, კერძოდ, ჩაის კულტურით, ციტრუსებით, ტუნგით დაკავებული მიწის ფართობი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში მიწის ფონდის სტრუქტურაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად აჭარა დღესაც ერთ-ერთ მცირემიწიან ავტონომიურ რესპუბლიკად რჩება. ამასთან ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გამო საკმაოდ შეზღუდულია წამყვანი კულტურების — ჩაის, ციტრუსების, ვაზის, ხეხილის ფართობების შემდგომი ზრდა.

აჭარის ასსრ მიწის ფონდის სტრუქტურა მეურნეობის ყველა კატეგორიაში 1970 წლისათვის: მთლიანი ფართობის 290000 ჰექტარიდან სახნავი — 14651 ჰექტარი ანუ 5,1 პროც., მრავალწლიანი ნარგავები 215531 ჰექტარი — 7,4 პროც., სათიბ-საძოვრები 42019 ჰექტარი — 14,5 პროც., ტყე და ბუჩქნარი 189673 ჰექტარი — 65,4 პროც., დანარჩენი მიწები 22126 ჰექტარი — 7,6 პროც. იგივე მაჩვენებლები აჭარის ზღვისპირა ზონის მთელი ფართობის 115040 ჰექტარიდან პროცენტობით: სახნავი — 4,4, მრავალწლიანი ნარგავები — 16,9,

სათიბ-საძოვრები — 5,1, ტყე ბუჩქნარი — 65,6, დანარჩენი მიწები — 8,0; მთიანი ზონის ფართობის 174960 ჰექტარიდან სახნავი — 5,4, მრავალწლიანი ნარგავი — 1,1, სათიბ-საძოვრები — 20,7, ტყე და ბუჩქნარი — 65,3, დანარჩენი მიწები — 7,5. ეს მაჩვენებლები ნათლად ასახავს აჭარისა და მისი ორი ძირითადი ზონის მიწის ფონდის გამოყენების იმ თავისებურებებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ზღვისპირა ზონის სოფლის მეურნეობის წარმოებითი მიმართულების განსაზღვრაში. ამ თავისებურებებიდან უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს როგორც მთლიანად აჭარის, ისე ზღვისპირა ზონის მიწის ფონდებში სავარგული მიწის ფართობების ანუ დამუშავებისათვის ვარგისი მიწის მეტად დაბალი ხველრიწონა. აჭარაში სახნავ და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ ფართობებს მთელი ტერიტორიის 12,5 პროცენტი უკავია. ეს მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია მთლიანად საქართველოს სსრ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (16,6 პროც.). საქართველოს მიწის დიდი სიმცირის ფონზედაც კი აჭარა თავისი მცირემიწიანობით გამოიჩევა. ამ მდგომარეობას უფრო ამჟღავებს აჭარის მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე. ამ მხრივ საურადღებოა ის ფაქტი, რომ ზღვისპირა ზონაში სავარგულის

მიწის ფართობების ხვედრიწონის მაჩვენებლები ბევრად აღმატება საქართველოს შესაბამის საშუალო მაჩვენებლებს. მაგრამ, თუ სავარგული მიწის ფართობებს ერთ ჟკხოვრებზე გავიანგარიშებთ, მაშინ აჭარის ზღვისპირა ზონის მაჩვენებლები ბევრად უფრო ნაკლები იქნება საქართველოს სსრ საშუალო ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, რაც 1970 წელს შესაბამისად 0,11 და 0,24 ჰექტარს შეადგენდა.

მეორე თავისებურება ის არის, რომ აჭარის ზღვისპირა და მთიან რაიონებს შორის ძალზე დიდი სხვაობაა სასოფლო-სამუშაოების სავარგული მიწის ფართობებით უზრუნველყოფის მხრივ. სავარგული მიწის ფართობების როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ოდენობით აჭარის ზღვისპირა ზონის რაიონები გაცილებით უკეთაა უზრუნველყოფილი, ვიდრე მთიანი. სათბის-საძოვრების მხრივ კი სრულიად საწინააღმდეგო სურათია. ამასთან აჭარის ზღვისპირა ზონის რაიონების სავარგული მიწის ფართობების სტრუქტურა გაცილებით უკეთესია, ვიდრე მთიანის. ასეთი სხვაობის წარმოქმნაზე განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა როგორც ბუნებრივმა, ისე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა. კერძოდ, ბუნებრივი ფაქტორებით აქ გადამწყვეტი იყო რელიეფისა და კლიმატის გავლენა. აუ-

ცილებელია ისიც გავითვალისწინოთ, რომ ხელსაყრელი ბუნებრივი ფაქტორები წინათაც არის ბობდა, მაგრამ ზღვისპირა ზონის მიწის დაძვიდორების პირობებში შეიქმნა ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობა. მიწის ფონდების სტრუქტურაში ძირითადი ადგილი დაიჭირა ძვირფასი მრავალწლიანი კულტურების გაშენების შესაძლებლობას, ამიტომ აქ სასოფლო-სამეურნეო წარმოება საწარმოო ძალთა განვითარების თანამედროვე ღონისძიებით დაკავშირდებოდა. მეურნეობითაა წარმოდგენილი.

აჭარის მიწის ფონდების გამოყენების მესამე თავისებურება ის არის, რომ ზღვისპირა ზონაში მეტად მაღალია ინტენსიური მრავალწლიანი კულტურებით დაკავშირდული ფართობების ხვედრიწონა; თუ ამ რაიონების საერთო მიწის ფონდებში მასზე მოდის 16,9 პროცენტი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ამ ფართობების ხვედრიწონა 79,1 პროცენტს შეადგენს. დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ზღვისპირა ზონის რაიონები ამ მაჩვენებლებით გამოიჩევა არა მარტო საქართველოში, არა-

მეღ მთლიანად საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ძნელად მოიძებნება სხვა რაიონი, სადაც ასეთი ინტენსივობით იყენებდნენ მიწის ფართობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიწის ფართობების ასეთმა ეფექტიანმა ათვისებამ განაპირობა აჭარის ზღვისპირა ზონის სოფლის მეურნეობის წარმოებითი მიმართულება. ამ რაიონში სავარგული მიწის ფართობების 64 პროცენტი მრავალწლიან ნარგავებს უკავია. ამ ფართობების ნახევარზე მეტი დაკავებულია ჩაისა და ციტრუსების ნარგავებით. ეს არის ამ რაიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი კულტურები. მრავალწლიანი ნარგავებით, კერძოდ, ჩაითა და ციტრუსებით დაკავებული მიწის ფართობების ხვედრიწონის, ასევე ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიღებული შემოსავლის მაჩვენებლებით აჭარის ზღვისპირა ზონის რაიონები პირველ აღვილზეა როგორც საქართველოს, ისე მთლიანად სსრ კავშირის მასშტაბით.

მთლიანად აჭარის და, კერძოდ, მისი ზღვისპირა ზონის რაიონების მიწის ფონდის ეფექტიანობის შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მიწის სავარგულების დიდი ნაწილი დახრილ ფერდობებზეა და მცირენაკვეთი-

ანობით ხასიათდება. ეს გარემონტება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების სპეციფიკურობაზე მიმდინარეობს მანქანური შრომის გაძოყენებას, წარმოება დიდი რაოდენობით მოითხოვს ცოცხალი შრომის დანახარჯებს.

აჭარის ზღვისპირა ზონაში (ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონები) 1970 წლისათვის 50 კოლმეურნეობა და 20 საბჭოთა მეურნეობა ითვლებოდა. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების — ჩაის პლანტაციების 67,0 პროცენტი, ციტრუსოვანთა — 40 პროცენტი და ტუნგის ნარგავების 65,0 პროცენტი კოლმეურნეობებს ეკუთვნის. ჩაის ოთხი და ციტრუსების ათი საბჭოთა მეურნეობა წარმოებითი მიმართულებისაა. არის აგრეთვე ტუნგის, მეტრქვეობის, მეფრინველების, მებოსტნეობა-მერქვევებისა და სამკურნალო მცენარეების საბჭოთა მეურნეობები. ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგის ნარგავების საერთო ფართობებით საბჭოთა მეურნეობები მნიშვნელოვნად ჩამორჩება კოლმეურნეობებს. საბჭოთა მეურნეობებზე მოღის ჩაის პლანტაციების 25,0 პროცენტი, ციტრუსოვან კულტურათა 22,0 პროცენტი და ტუნგის ნარგავების — 35 პროცენტი. ჩაისა და ტუნგის საერთო ფართობებში საკარმილამო მეურნეობათა ფართობების ხევდრიწონა მეტად უმნიშვნელოა.

შრომის საკავშირო დანაწილე-

შით აჭარაში საერთო საკავშირო მნიშვნელობის დარგებად ითვლება: მეჩაიობა, მეციტრუსეობა, ტუნგის ნაყოფის წარმოება, მეთამბაქოეობა, დანარჩენი სუბტროპიკული კულტურებისა (დაფნის, ევკალიპტის და სხვ.) და სამურნალო მცენარეების წარმოება. რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის დარგებია მეხილეობა, მებოსტნეობა-მებახეობა, მარცვლეულის მეურნეობა (სიმინდი), მეცხოველეობა (სარძევე-სახორცე მიმართულებისა) და მეფრინველეობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დასახელებულ დარგთა ამ ორ ჯგუფს ზორის შეთანაწყობას და მათ მნიშვნელობას ცხად-ჰყოფს ის ფაქტი, რომ აჭარის ზღვისპირა ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავალში საერთო-საკავშირო დარგების ხედრიწონა 80 პროცენტს აღემატება. მეურნეობათა ფულად შემოსავალში განსაკუთრებით მაღალი ხედრიწონა მეჩაიეობას, მეციტრუსეობასა და ტუნგის ნაყოფის წარმოებას უკავია. აჭარის მთიანი ზონის კოლმეურნეობებისათვის (ამ ზონაში საბჭოთა მეურნეობები არ არის) შემოსავლის მთავრი წყაროა ტექნიკური კულტურები, კერძოდ, თამბაქო. მრავალწლიანი ნარგავების (ვაზი, ხეხილი) ხედრიწონა მცირეა. აჭარის მთიანი რაიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვანი აღ-

გილი უკავია აგრეთვე მეცხოველეობას.



აჭარის ზღვისპირა ზონებში კოლმეურნეობიდან ხელვაჩაზურავებამდე რაიონის 4 კოლმეურნეობაში წარმოების მაპროფილებელი დარგია მეთამბაქოეობა. ამ კოლმეურნეობებში თამბაქოს კულტურისაგან მიღებული შემოსავალი საერთო შემოსავლის 55 პროცენტს აღემატება. მაშინ, როდესაც ჩაის ფოთლისაგან მიღებული შემოსავლის ხვედრიწონა მხოლოდ 1,5 პროცენტს შეადგენს. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ოთხი კოლმეურნეობა ცალკე ჯგუფად პირობითადაა გამოყოფილი. აჭარის ზღვისპირა ზონის კოლმეურნეობების წარმოებითი სპეციალიზაციის განმსაზღვრელი და მეჩაიეობა ითვლება. ამ ზონის კოლმეურნეობათა საერთო ფულად შემოსავალში მეჩაიეობიდან მიღებული შემოსავალი 78-80 პროცენტს შეადგენს, მეციტრუსეობიდან — 7-8 პროცენტს, მეთამბაქოეობიდან — 0,7 - 1,0 პროცენტს, ხოლო ტუნგის ნაყოფიდან — 2, 2,3 პროცენტს.

ზღვისპირა ზონის კოლმეურნეობებში მეჩაიეობა და მეციტრუსეობა ერთნაირი ინტენსივობით არ არის წარმოდგენილი. ზონის ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით თანდათან მცირდება ჩაის კულტურის როლი და იზრდება ციტრუსოვნათა ხედრიწონა. 1966-1970 წლებში ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში მეჩაიეობიდან მიღებული შემო-

სავალი საშუალოდ საერთო შე-  
მოსავლის 78-79 პროცენტს, ხო-  
ლო ციტრუსვანი კულტურები-  
დან 10-11 პროცენტს შეადგენს.  
ამავე ჰერიონდზე ხელვაჩაურის  
რაიონის კოლექტურნეობებში მე-  
ჩინიერობიდან მიღებული შემოსა-  
ვალი საშუალოდ საერთო შემო-  
სავლის 63-64 პროცენტს, ციტ-  
რუსვანი კულტურებიდან კი 16-

### 17. პროცენტს უდრის.

ამ ზონის სასოფლო-სამეურ-  
ნეო წარმოებაში მეჩაიერობისა და  
მეციტრუსეობის მაღალ ხვედ-  
რიწონაზე მიუთითებს ის ფაქ-  
ტიც, რომ, როგორც ზემოთაც  
აღვინიშვნეთ. ზღვისპირა რაიონებ-  
ში 4 საბჭოთა მეურნეობა მეჩა-  
იერობისა და 10 საბჭოთა მეურ-  
ნეობა მეციტრუსეობის წარმოე-  
ბითი მიმართულებისაა. ზოგიერთ  
მეურნეობაში მისდევენ აგრეთვე  
მეცხოველეობას, მაგრამ ამ დარ-  
გის ხვედრიწონა მეტად უმნიშვ-  
ნელოა.

აღსანიშნავია, რომ ზღვისპირა  
ზონის სუბტროპიკულ სასოფლო-  
სამეურნეო წარმოებაში არის სა-  
გარეუბნო ტიპის საბჭოთა მეურ-  
ნეობებიც. მათი შექმნა გაპირო-

ბებული იყო ბათუმის მოსახლე-  
ობისა და ზღვისპირა კუტაფილების  
ბის დამსვენებელთა პნევმოზოოფაცია  
ტრანსპორტაბელური სასოფლო-  
სამეურნეო პროდუქტებით მო-  
მარაგების აუცილებლობით. მაგ-  
რამ ეს მეურნეობები გავლენას  
არ აღდგენ სასოფლო-სამეურ-  
ნეო წარმოების სპეციალიზაცია-  
ზე.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მო-  
ნაცემები იმაზე მიუთითებს, რომ  
აჭარის ასერ ზღვისპირა ზონის  
საბჭოთა მეურნეობებისათვის და-  
მახასიათებელია ვიწრო წარმოე-  
ბითი სპეციალიზაცია, თითქმის  
ყველა მეურნეობაში მხოლოდ  
ერთი ან ორი დარგია წარმოდგე-  
ნილი, ჩვეულებრივ — მეჩაიობა  
და მეციტრუსეობა. დაახლოებით  
იგივე მდგომარეობაა კოლმეურ-  
ნეობებშიც. ამით ეს ზონა დიდად  
განსხვავდება აჭარის მთიანი ზო-  
ნის, აგრეთვე საქართველოს სსრ  
სხვა წარმოებითი მიმართულების  
რაიონებისაგან. ამ რაიონების სა-  
სოფლო-სამეურნეო წარმოება  
მომავალშიც ამავე მიმართულე-  
ბით განვითარდება.

## იოსებ ბეჭიძიშვილი

### როგორ ამუსლიმანებზენ ქართველები

თურქ-სელჩუკთა და შუა აზის ს ხევა მომთაბარე მუსულმანური ტომების მიერ ოსმალეთის ვეებერთელა იმპერიის შექმნამ მცირე აზიაში შიშის ზარი დასცა თითქმის მთელ აზიასა და ევროპას, ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხი“ ოთხ საუკუნეს იდგა სხვადასხევა სახელმწიფოების დღის წესრიგში. იგი აღელვებდა ბევრ პროგრესულ მოღვაწეს, მათ შორის კ. მარქსისა და ფ. ენგელს. ცნობილია, რომ ისინი თურქებს მსოფლიოს ყველაზე დიდ ასიმილატორებად მიიჩნევდნენ.

შეშფოთების მიზეზი უბრალო როდი იყო. დამპყრობლები ცეცხლითა და მახვილით, მოტყუებითა თუ მოსყიდვით სპოდნენ ადგილობრივს, ქრისტიანულს, ნერგავდნენ კი თავიანთ ზენ-ჩევეულებებს, ენას, სარწმუნოებას, გადაგვარების გზაზე აყენებდნენ ხალხებს. ამიტომ იყო, რომ ევროპის სახელმწიფოები, ქრისტიანული სამღვდელოება კოალიციების შე-

ქმნასაც კი შეეცადნენ, დააარსეს სხვადასხევა საზოგადოებები, მაგრამ ბევრი მაინც ვერაფერი გააკეთეს.

საბჭოთა მკვლევარი დ. ერემე-ევი სამართლიანად შენიშნავს, რომ მომთაბარე თურქმა ტომებმა ადგილობრივ ხალხს, მათ შორის ქართველებს ბევრი ტანგვაწვალება მიაყენეს.

ადგილობრივი მოსახლეობის ისლამიზაციას, შენიშნავს შემდეგ იგი, სტიმულს ისიც აძლევდა, რომ მუსლიმანები იხდიდნენ მნიშვნელოვნად ნაკლებ გადასახადებს, ვიდრე ქრისტიანები, ამასთან მუსლიმანები სარგებლობდნენ დიდი უფლებებით.

«Налог-рента на крестьян — мусульман (ашар) равнялся одной десятой урожая, а налог-рента на крестьян-христиан и других (харадж) составлял уже от одной трети до половины урожая. Кроме того, трудоспособные немусульмане мужчины... платили еще личный налог (джизье). Естественно, что переход в ислам был выгоден материально...»

Немусульмане больше подвергались произволу османских феодалов и органов власти — вымогательствам, прямому грабежу, оскорблению, побоям и даже убийствам. Немусульманин считался неверным — гиляуром, человеком второго сорта, находившимся по сути дела вне закона»<sup>1</sup>

აი ამ საშინელების დამადასტურებელ ცნობებს გვაწვდიან მისიონერები, რომლებსაც რელიგიური საზოგადოებები გზავნიდნენ ასმალების მიერ და პყრიბილ მხარეებში და ზოგიერთი საქმის მოგვარებასთან ერთად მოითხოვდნენ მათგან იმ კუთხეების აღწერას, სადაც მიავლინეს. ამგვარი ცნობები შეიცავენ მდიდარ მასალას საქართველოს შესახებ და მათ დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება.

1614 წელს დასავლეთ საქართველოს იეზუიტების ორდენის წარმომადგენელი ფრანგი ლუი გრანჟე ეწვია, მისი უკელა წერილი ჩვენთვის ცნობილი არაა. ერთადერთი ანგარიში, რომელიც 1616 წელს გამოქვეყნდა ევროპაში, კავკასიოლოგ ევგენი ვეიდენბაუმის თაოსნობით რუსულ ენაზე რჩერ დაიბეჭდა 1915 წელს.<sup>2</sup>

1. Д. Еремеев, Этиогенез турок, М. 1971 г. стр. 106, 168.

2. а) Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК). Тиф. 1915 г. Вып. 44. Письмо посланное с Востока отцом Луи Гранже его прецеденту отцу Клод Аквавива, генералу Иезуитского ордена.

б) Известия Кавказского отдела императорского Московского археологического общества, М. 1915 г. вып. 4.

გრანჟეს ანგარიშს „წერილი გაზავნილი აღმოსავლეთიდან მცხოვრილი კლოდ აკვავივისადმი, იეზუიტების ბის ორდენის გენერალისადმი“ ჰქვია და დაწერილია 1615 წლის ორ მარტს მოქვში და თარგმნილია დველი ფრანგულიდან.

მისიონერი ბულგარეთის ნავსადგურ ვარნადან ტრაპიზონში ჩაეიდა, სადაც მას დიპლომატიური მისიაც უნდა შეესრულებინა. ფაშამ იგი გონიასაკენ გამოგზავნა, აյ აღრე გადიოდა საზღვარი თამარ მეფის მიერ შექმნილ ბერძენ-ლაზური ტრაპიზონის იმპერიასა და საქართველოს შორის, ახლა კი აქაურობა ასმალების ხელთ იყო. ფაშა რიზეში დაიბადა, სადაც მას ოჯახი აქვს, ვკითხულობთ მოხსენებაში. ცხადი ხდება, რომ იგი ლაზი, ქართველია.

რიზე მცებარეობს ლაზების ქვეყანაში, რომელიც ტრაპიზონაშდე აღწევს. ლაზები ასე თუ ისე მუსლიმანები ხდებიან, რადგან „განიცლიან თითქმის აუტანელ ტანგვას იმის გამო, რომ ქრისტიანები არიან“. გადასახადები მათ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს, ამიტომაც იძულებული არიან დააკმაყოფილონ დამზურობთა მოთხოვნები და ცოტათი მაინც სული მოითქვან.

ოსმალები ყველა საშუალებით  
აქვთ დღებდნენ თავიანთ წესებსა  
და ადაოებს, ენას, რელიგიას,  
ხოლო ყოველივე ქართულს ცეც-  
ხლითა და მახვილით, მუხანათო-  
ბით სპობდნენ, ეს კი ადგილობ-  
რივ მცხოვრებთ აიძულებდა ნა-  
წილობრივ დაევიწყათ. მშობლი-  
ური და მომხვდურ-მოძალადეთა  
სარწმუნოება, მოელოთ. გადასახა-  
დებით ხელ-ფეხს ჩვენს წინაპ-  
ოებს იმის გამოც უბორეავდნენ,  
რომ ისინი ბავშვებს ქრისტიანუ-  
ლად ნათლავდნენ, მუსულმანური  
წესით მონათვლისას კი უმცირე-  
ბდნენ, შედარებით უკეთ ეპყრო-  
ბოდნენ.

უფრო მეტ შეღავათს მიიღებ-  
და ის ქალიშვილი, რომელიც  
თურქ ჯარისკაცი — იანიჩარს  
ცოლად გაყვებოდა, — ზოგიერ-  
თო ადგილობრივი ქრისტიანი ქა-  
ლიშვილი ცდილობს იანიჩარს მი-  
თხოვდეს, რომ მშობლებს სიცო-  
ცხლე შეუნარჩუნოს. ამ დიდი  
უბედურებისაგან არ არის სხვა  
სხვა, გულისტკივილით დასქენს  
მისიონერი.

გრანუე ეხმარებოდა ქართვე-  
ლებს რითაც შეეძლო, ურჩევდა  
მათ ბავშვებისათვის ჩაენერგოთ  
უსაზღვრო სიყვარული მშობლი-  
ურისადმი. იგი ყველაფერში  
გრობს ოსმალებს, თანაუგრძნობს  
ქართველებს, ურჩევს მათ თავ-  
დადებას, მშობლიურის შენახვას.

1614 წლის ავისტოს ბოლოს  
გრანუე გონიაში დაბრუნდა, აქვე

მოვიდა ის ტრაპიზონელი ფეხ,  
აგრეთვე გემი, რომელსაც ძირი  
ნერი ქართველებსა და მართლწევე  
შორის მოლაპარაკებისათვის სა-  
მეგრელოს უნდა ჩაეყვანა. აქვე  
თავი კოიყარეს იტალიელებმა ჭ.  
პეტრიდან და კაფადან (ფეოდოსია.  
— ა. ბ.). გემის გასვლა გაჭიანუ-  
რდა. გრანუემ ნაპირზე გადასვლა  
ითხოვა, მაგრამ ფაშამ არ დარ-  
თო ნება, იმის შიშით, რომ ანტი-  
თურქულ საქმიანობას გააჩადებ-  
და ადგილობრივ მოსახლეობაში.  
შევიდ ხოვმშერს გონიაში საშინე-  
ლი შტორმი იმოვარდა. კაფადან  
და სხვა ადგილებიდან მოსული  
ათი სავაჭრო გალერა ზღვამ ნა-  
პირს მიაღწია. მეზღვაურებმა,  
რომელთა შორის იყვნენ ევროპე-  
ლები, თურქები, არაბები და ად-  
გილობრივი მცხოვრებნიც, ძლი-  
ესლა გადაიჩინეს რამდენიმე გე-  
მი, ხოლო ის, რომელზედაც ფაშა  
და მისიონერი იყვნენ, წყალქვეშა-  
სმელეთზე დაგდა. ახლა უკვე იძ-  
ულებული გახდნენ ნაპირზე გა-  
დასულიყვნენ. გრანუემ ისარგებ-  
ლა ამით და ისევ კატეხიზისი —  
საეკლესიო წესების ქადაგება გა-  
აჩალა. ადგილობრივი მღვდლები  
— „პაპებიც“ კი შემოიკრიბა.

ძნელი დასაჯერებელია, წერს  
იგი, მაგრამ მართლა შევხდით  
ისეთ ოსმალებს, რომლებიც გუ-  
ლწრფელად თანაუგრძნობდნენ  
ქართველებს ავბედითობის გამო,

ურჩევდნენ მათ უარი არ ეთქვათ  
მამა-პაპათა სარწმუნოებაზე და  
შეძლებისძაგვარად კიდევაც ეწ-  
მარებოდნენ თურმე. ისინი სია-  
მოვნებით მონაწილეობდნენ ქრი-  
სტიანულ რიტუალებსა და დღე-  
სასწაულებში.

იტალიელი მოგზაურ-დიპლო-  
მატები ი. ბარბარო და ა. კოხტა-  
რიხი, რომლებიც შდ. აჭარის-  
წყლის გავლით 1472-1474 წლებში სპარსეთს ჩავიდნენ, მიუთითე-  
ბდნენ, რომ მაშინ აჭარა თურ-  
ქებს ხარჯს უხდიდა.<sup>3</sup> ამასვე წერს  
ცნობილი მკვლევარი, აჭარის ის-  
ტორიის კარგი მცოდნე დ. ბაქრა-  
ძე. მე-15 საუკუნის მეორე ნახე-  
ვარში თურქებმა დაიპყრეს შავი  
ზღვის მთელი სანაპირო, სულთან  
სულეიმანმა კიდევ უფრო განამ-  
ტიცა თანამებამულების მონა-  
ვოვარიო.<sup>4</sup>

ჩა თქმა უნდა, ჩვენი მხარე  
გრანჯეს დროსაც ოსმალების  
ხელთ იყო, ოღონდ მათ ამ დრო-  
ისათვის ჯერ კიდევ ვერ დაენერ-  
გათ თავიანთი ადმინისტრაციული  
წესები. ე. ი. ჯერ კიდევ ძლიერი  
იყო ადგილობრივ მმართველთა  
ხელისუფლება, ისინი თავის მი-  
წებს კანონიერად საქართველოს

3) ა. ურნალი „მოამბე“, 1894 წ., № 11, გვ. 50

6). Библиотека иностранных писа-  
телей о России спб., 1835 г. Т. 1.  
стр. 72.

4. Известия Кавказского отдела  
императорского русского географи-  
ческого общества т. 7—8. тиф.  
1882-1883 г., стр. 1-5

კუთვნილებად აცხადებდნენ, ამგ  
ტომა, რომ გრანჯე შენიშნავს  
„ბათუმი საქართველოს ჟამუშების  
გურიაო“.<sup>5</sup> ამით იგი იმასაც ჩაის  
უსვამს, რომ აქაურობა ქრისტია-  
ნულია, ოდითგანვე საქართვე-  
ლოა, რაც მას აწყობდა, რო-  
ხორც ევროპელს.

გონიადან გრანჯე პათუშის  
ჩოდილოეთით მდებარე ზღვისპი-  
რა ს. სატრაპელაში მივიდა. ცნო-  
ბილი მეცნიერი ე. თაყაიშვილი  
1915 წელს შენიშნავდა, რომ ეს  
გეოგრაფიული პუნქტი გურიაში,  
შეკვეთილსა და გრიგოლეთს შუა-  
უნდა მდებარეობდეს იმ შტკი-  
ცებაში იგი ეყრდნობა იმას, რომ  
მოგზაური გემით მოვიდა გურია-  
ში, კერძოდ, სატრაპელაში, სა-  
დაც მას გურიელის ვეზირი დახ-  
ხვდა და მიიწვია იგი ს. ბაილეთ-  
ში, გურიელის რეზიდენციაში.

რამდენიმე სიტყვა ტოპონიმ  
სატრაპელაშე. სხვათა შორის თუ-  
რქეთის ლაზეთში, რკინის პალო-  
სთან ამ ბოლო დრომდე შეწონა-  
ხულა გეოგრაფიული პუნქტი სატ-  
კეპელა. გურიაში გაღმოხვეწილი  
ლაზეთის ეპისკოპოსი, რომელ-  
ზეც ქვემოთ გვექნება საუბარი,  
აქედან იყო და გურიელების მი-

5. СМОМПК, 1915 გ. в. 44, стр. 45.

ერ ნაბოძარ მამულს შეიძლება მშობლიური სოფლის სახელი შეარქვა, ამბობდა თაყაიშვილი. სატკეპელა-სატრაპელად კი, ეტყობა, გრანჯემ აქციაო. ჩვენი აზრით შეკვეთილსა და გრიგოლეთს შუა გურიელებს დროებითი რეზიდენცია, აგარაკი ჰქონდათ, რომელსაც გრანჯე ბიზანტიაში მიღებული სახელით — სატრაპელათი იხსენიებს. აკი მ. კახიძის ცნობით ბიზანტიაში მცირე სამთავროს სასატრაპო ეჭოდებოდა, ხოლო მის გამგებელს — სატრაპი.<sup>6</sup> ცხადია, დროთა განმავლობაში ბიზანტიასა და მის მეზობელ მხარეებში სასატრაპო თუ სატრაპელა რეზიდენცია, აგარაკსაც ეწოდა. ასე რომ შეკვეთილსა და გრიგოლეთს შუა გურიელთა ადგილსამყოფელს ეს სულაც არ რქმეოდა, მისიონერი მაინც უწოდებდა.

ბაილეთში გრანჯე შეხვდა ლაზეთის არქიეპისკოპოსს. ამასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი წერს: „ლაზეთის არქიეპისკოპოსის ყოფნა გურიაში მე-17 საუკუნის დასაწყისში — ახალი ამბავია, ამგვარი რამ არ იცის საქართველოს ისტორიამ“.<sup>7</sup> ამითაც

6 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბ., 1954 წ., გვ. 205.

7. СМОМІК. 1915 გ. ვ. 44. стр. 46, прим.

მტკიცდება, რომ მაშინ არა მარტო გონიას ნაწილი, არამედ მთელი აჭარა მართლაც უკავშირდებოდა. სელო იყო. ისინი აქაც ისე თარეშობდნენ და ამუსლიმანებდნენ აჭარლებს, როგორც ლაზებს. ამიტომაც ლაზეთის ეპისკოპოსმა ადგილსამყოფელად ბათუმი, ქობულეთი ინ აჭარის სხვა ადგილი კი არ ისურვა, არამედ უფრო დაცული, ხელშეუხები, დაუპყრობელი გურია აირჩია. აქ მისი უსაფრთხობა, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფილი იყო. თაყაიშვილიც შენიშვნას, რომ თურქები უტევდნენ საქართველოს, რის გამო ლაზეთის არქიეპისკოპოსს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დარჩენილიყო თავის სამწყსოში და, როგორც ჩანს, გურიაში გადმოვიდა „ამალით“ (გვ. 52-ბ).

გრანჯე იეზუიტთა უფროსს აცნობებდა, რომ ქართველთა ჩაცმულობასა და ყოფაქცევაზე ახლა არ გაცნობებ, რადგან ყოველივე დაწვრილებით უნდა აღმენებოთ, რაც, ეტყობა, ვერ გააკეთა. სამეგრელოში იგი ჭირით დასწეულდა და კონსტანტინეპოლის მიაშურა სამკურნალოდ, მაგრამ ჩასვლისთანავე, 1616 წელს გარდაიცვალა.

როგორც ჩანს გრანუეს ცნობები მეტად მნიშვნელოვანი და დოკუმენტურია. მან ხომ ყოველივე საკუთარი თვალით იხილა ლაშეთსა და აჭარაში ჩამდენიმე თვით ყოფნის დროს. ეს ცნობები ნა-

თელ წარმოედგნას გვიშება  
არაა დამიანურ ტანჯურაშვილი,  
რაც ჩვენმა წინაპრებმა გადაიტანეს, რომ ცეცხლისა და შეხველისაგან გადაერჩინათ მშობლოური ენა, არ დაეკარგათ ქირველობა.

გ ა ლ ი მ ი ს ტ ე ბ ა

დაწ შაგამიძე

## ჩამსახურიშული აღრაհება

ბათუმში მოღვაწე მხატვართა შორის საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, საკაგშირო და საზღვარგარეთული გამოფენების მრავალგზის მონაწილე შოთა ხოლუაშვილი გამორჩეული პოსტარობით სარგებლობს. ეს მან მოიპოვა მაღალი მოქალაქეობრივობით, დაუცხრომელი შრომით, ხელოვნებაში უმწივლო სამსახურით, თანამედროვეობის ამსახველი რთულიულეტიანი ნაწარმოებებით.

ფართოა შ. ხოლუაშვილის შემოქმედებითი დიაპაზონი. ჩვენ მას ვიცნობთ როგორც დაზგური და მონუმენტური ფერწერის,

გრაფიკული ხელოვნების ოსტატს. მაგრამ იგი მაინც თავის თავს მაშინ პოულობს, როდესაც დაზგური ფერწერის რთულიულეტიან კომპოზიციებს ქმნის.

შ. ხოლუაშვილი საბჭოთა საქართველოს თანატოლია. იგი დაიბადა 1921 წელს, კახეთის ულამაზესი მთებით გარშემორტყმულ სოფელ ნაფარეულში. მაგრამ მას აქ დიდხანს არ უკროვრია. მომავალმა მხატვარმა ბავშვობა და ყრმობა ქ. თბილისის მთაწმინდის უბანში გაატარა. როგორც იტყვიან, პატარა შოთას ბედმა გაუღიმა — ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწის იო-

სებ იმედაშვილის ოჯახთან მისი მამის ახლო ურთიერთობის წყალობით ამ ოჯახში შვილივით დამკვიდრდა და დიდი ყურადღებით სარგებლობდა.

შესანიშნავი ქართველი პატ-რიოტის ი. იმედაშვილის ოჯახი იმ ხანებში კულტურის მოღვაწეთა ხშირი შეკრების ცენტრს წარმოადგენდა. შოთა აქ გაეცნო ცნობილ ქართველ მეცნიერებს, მწერლებს. მის მეხსიერებაში განსაკუთრებით აღიბეჭდა გალაქტიონ და ტიკიან ტაბიძეების, შალვა დადიანის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, მოსე თომიძისა და სხვათა ქართველი სიდარბაისლით დამშვენებული მეტყველი სახეები.

ერთი მხრივ, ხელოვნებისა და კულტურის ცნობილ ქართველ მოღვაწეთა წრეში ყოფნა, მეორე მხრივ, საოცრად პოეტური მთაწმინდის შემოგარენი გარკვეული ზემოქმედების ფაქტორებად იქცნენ. მთაწმინდის კალთებზე საცალფეხო ბილიკებით მოსიარულე ყმაწვილს სურვილი აღეძრება ფანქრით ქაღალდზე გადაიტანოს ლამაზი პეიზაჟის ხედები. პირველი ცდები მეტად მიამიტურია, მაგრამ კარგად გრძნობს ფანქრის მორჩილებას.

თბილისის ა. წერეთლის სახელობის სკოლაში სწავლის დროს

მან ხატვის მასწავლებლის გენერიშვილის ყურადღებული მიზანის ური ტაქტით, ჰუმანურობით და, რაც მთავარია, საგნის ცოდნით ყველას პატივისცემას იმსახურებდა. ბევრ მოსწავლეს მან თავიდანვე ჩაუნერგა ხატვის სიყვარული. შოთასთან ერთად ასეთები იყვნენ ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილი მხატვრები ი. ლა. გ. ოჩაურები, ლ. და შ. ცომარები, დ. გაბიტაშვილი, ო. სენიაშვილი.

ყველაფერი ნათელი იყო — არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შოთას გზა აუცილებლად სამხატვრო სასწავლებლისაკენ უნდა წარმართულიყო. პირველ ხანებში საჭირო დარჩა მამის დაყოლიება, რადგან ახლობლებიდან მხოლოდ იგი არ იწონებდა შოთას მიერ არჩეულ მომავალ პროფესიას. მალე ისიც დაითანხმეს და შოთა, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც შევიდა სამხატვრო სასწავლებელში. აქ მან თავისი ქცევითა და შრომის-მოყვარეობით ფერწერის მასწავლებლის ვ. შერპილოვის ყურადღება დაიმსახურა. სასწავლებლის დამთავრებისთანავე 1941 წელს შოთა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა, მაგრამ დიდმა სამამულო ომმა მეცადინეობა შეაწყვეტინა და ჯარისკაცის ფარავა

ჩაცვა. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ უბრუნდება აქადემიას, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1954 წელს.

მრავალფეროვანი და მდიდარია მხატვრის თემატიკა. იგი გატაცებულია ისტორიული, ისტორიულ-რევოლუციური თემებით, თანამედროვე აღამიანთა შრომისა და ყოფის ამსახველი სიუკეტებით, პორტრეტული ხელოვნებით. მხატვარი დიდი სიფაქიზოთა და აღტყინებული განწყობილებით მუშაობს მარად უკვდავი ლენინის თემაზე.

შ. ხოლუაშვილის ისტორიულ სიუკეტებზე შესრულებული ნიმუშებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1962 წელს შექმნილი „სულხან-საბა ორბელიანი გონიაში“.

გადმოცემით ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც ევროპიდან კათოლიკე მისიონერების თანხლებით სამშობლოში ბრუნდებოდა, ეგმის პატრიონმა უარი უთხრა ფოთამდის მიყვანაზე და ყველა მგზავრი გონიას ფაშას მიჰვარა.

ფაშამ მგზავრები ტყვედ გამოაცხადა და დიდძალი გამოსასყიდი თანხა მოითხოვა. მგზავრთა შორის აღმოჩნდა აზერბაიჯანელი სოვდაგარი შვილით, რომელმაც მთელი თანხა გადაიხადა და ყველა მგზავრი ტყვეობიდან დაიხს-

ნა. ეს ამბავი უდევს საფულეოდ მხატვრის კომპოზიციას.

სურათში ასახულია შესაბამისი საბას წარდგინების სცენა. მხატვარმა დაგვიხატა საბას ვაჟკაცური ფიგურა და დაუპირისპირა იგი ფაშის ამაღაში შემავალთა თვითკმაყოფილ სახეებს. საინტერესოდაა მოძებნილი, როგორც სოვდაგრის ფულის თვლის მომენტის, ისე ციხის შიგა არკისა და კედლების მხატვრული გადაწყვეტა. მთელი კომპოზიცია მკვეთრი სინათლით არის მოფენილი, თითქოს შორისახლოს კოცნი დაუნთათო, რომ კარგად გამოჩნდეს ფალათი ფაშისა და მისი ამაღის ყაჩაღური ბუნება.

საერთოდ სურათი მეტად ემოციურია და დამაჯერებლად გადმოგვცემს მაში ასახულ ისტორიულ ფაქტს.

მხატვარმა 1966 წელს შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთვის იუბილეს მიუძღვნა სურათი „რუსთაველი თამარ მეფის ფრესკასთან“.

ტილოზე ობეჭდილია მხატვრის წარმოდგენაში დაბადებული სცენა — შ. რუსთაველი სამშობლოდან გადახვეწის წინ უთუოდ მინახულებდა ვარძიას და გამოეთხვებოდა თავისი სათაყვანებელი თამარის სახეს.

ამ სიუკეტს მივნებულად გადმოგვცემს ჩაფიქრებული კომპო-

ზიცია. თავდახრილი, მწუხარე პოეტის ხელის მოკრძალებული შეხება თამარის ფრესკულ სახეს-თან დიდი ემოციური განწყობი-ლების აღმძვრელია: გვჩერა, რომ გამოთხვება მართლაც ასეთი იქნებოდა.

რუსთაველის ფიგურის მუქი ფერები დიდებული ფრესკის ფონზე გვაგრძნობინებს, როგორ გა-ნიცდიდა გენიალური პოეტი თა-ვისი ცხოვრების ამ უდიდეს დრამატულ აქტს.

მხატვარი დიდ პატივისცემას იჩენს ისტორიულ-რევოლუციუ-რი თემებისადმი, რაც შესაძლოა იმითაც არის განპირობებული, რომ მის მიერ სამხატვრო აკადე-მიაში შესრულებული სადიპლო-მო ნამუშევარი „ი. ბ. სტალინი ბათუმის არალეგალურ სტამბა-ში“ აღიარებულ იქნა როგორც მაღალი მხატვრული ღირსების ფერწერული ტილო. ჭერ კიდევ სტუდენტის ასეთმა წარმატებამ მოხიბლა არამარტო მისი კურსის ხელმძღვანელი, საქვეყნოდ ცნო-ბილი მხატვარი უ. ჯაფარიძე, არ-ამედ აკადემიის მთელი კოლექ-ტივი. ყველანი ერთხმად აღიარე-ბდნენ შ. ხოლუაშვილის გამორ-ჩეულ ფერწერულ ნიჭეს.

ისტორიულ-რევოლუციურ სი-უჟეტზეა აგებული თავისებურად გააზრებული „მიტინგი აქარაში 1921 წელს“. ამ სურათში მიტი-

ნგზე თავშეყრილ ადამიანის მიზ-  
ლოდ თავები მოჩანს. შესტაციულ  
ჩანაფიქრი სავსებით გამოისარტყება  
ბულია. ადამიანის სულიერი  
მდგომარეობა, მისი განცდები,  
კმაყოფილებისა თუ უკმაყოფი-  
ლების გრძნობები უფრო პირი-  
სახეზე აღიძეკდება. და ის, მხატ-  
ვარს განუზრაბავს გადმოვვალეს  
აქარაში წითელი არმიის ნაწილე-  
ბის შემოსვლით შექმნილი ვითა-  
რება. ერთი ჭვეფის აღმიანებს  
სიხარულის გრძნობა დაუცლებე-  
თ, ზოგი ჩაფიქრებულია. ზოგი  
აშკარა უნდობლობას გამოხატავს,  
ყველაფერი ეს გასაგებია; იმ ხა-  
ნებში საქართველოში, ბათუმშიც  
სხვადასხვა სოციალური ჭვეფები  
არსებობდა და მათი გასხვავე-  
ბული კლასობრივი მიდრეკილე-  
ბები არ შეიძლებოდა ერთნაირ-  
ყოფილიყო.

ჩვენ მოვცონს სურათის ფერ-  
წერული შესრულებაც. სხვადა-  
სხვა განწყობილებათა გამოსახვ-  
ტავად გამოყენებულია თბილი  
და ცივი ტონები. მომწვანო-მო-  
წითალო ფერების შერწყმის შე-  
დეგად მთელი კომპოზიცია აკია-  
ფებულია რევოლუციისათვის და-  
მახასიათებელი ფერით.

ამ ციკლის ნამუშევართა შო-  
რის განსაკუთრებული ღირსებით  
გამოიჩინა „1921 წელი აქარა-  
ში“. ეს ნაწარმოები ჩვენს ყურა-  
დლებას იქცევს არა მარტო თე-

მის გადაწყვეტის ორიგინალური ფორმის გამონახვით, არამედ ღრამატული სიტუაციის არაჩვეულებრივად მიგნებული საშუალებებით გადმოცემითაც.

ტილოზე ახალგაზრდა აჭარელი ცოლ-ქმარია წარმოსახული. ძველი აღმოსავლური წესის მიხედვით ოჯახში თოფ-იარალი აუკილებელი საგანი იყო. აქაც ასეა — ახალი ყაიდის თოფი საბრძოლოდაა მომართული. იგი თითქოს ოჯახის უფროსს საგანგებოდ მოუმზადებია, მაგრამ ღრმა ფიქრებშია ჩაიძირული და ვერ გარკვეულა — ბათუმში გაჩაღებულ ბრძოლებში ვის მხარეზე დადგეს, რომელია პროგრესული. გვერდით ჩვილბავშვინი მეუღლე უზის, რომელიც შექმნილ ვითარებაში თითქოს უკვე გარკვეულა და ქმარს ურჩევს — ჩვენი და ამ ბავშვის მომავლის ინტერესების დაცვა მოსკოვიდან და თბილისიდან მოსულ ახალ ძალებს უფრო შეუძლიათო. მაყურებელს სჭრა, რომ წარმოსახული სიუკეტის განვითარება მხოლოდ ამ გზით წარიშაროება.

დიდი ოქტომბრის სოციალური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო გამოფენაზე შ. ხოლუაშვილი წარმოდგენილი იყო საინტერესო ფერწერული ტილოთი „მამები“. სურათის ფერადმა რეპროდუქციამ რამდენიმე ჟურნალის ფურც-

ლები დამშვენა. 1968 წლის მაისის 20-ის „ისკუსტვოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ამ ნაწილში მოხატვის შესახებ ვკითხულობთ:

Обаятельны и человечны образы воинов на полотне грузинского художника Ш. Холуашвили «Отцы», в котором выражена идея дружбы народов нашей страны... Среди гор у ночного костра собрались грузины и русские, казахи и украинцы. Всех их связывает общее дело — борьба за утверждение власти трудящихся. В темном колорите картины с преобладанием зеленых, золотистых и коричневых тонов, в едином певучем ритме, объединяющем контуры фигур и плавные очертания гор, чувствуется музыкальность, напевность, роднящая картину с народными грузинскими мелодиями».

ვ. ი. ლენინის დიდი სახის მხატვრული ხორციელება უვალა შემოქმედის სანუკვარ თცნებას წარმოადგენს. დიდი ბელადის ოემაზე მუშაობისას მხატვარი მეტად რთული ამოცანების წინაშე დგას. მხატვრულ ლენინიანაში ახალი სიტყვის თქმა არც ისე აღვილია. შ. ხოლუაშვილმა, შეიძლება ითქვას, ამ სიჩრულეს წარმოტებით გაართვა თავი და ისეთი ნაწარმოებები შექმნა, რომლებ-

მაც საყოველთაო მოწონება დაი-  
მსახურეს. პირველი გამარჯვება  
მხატვარმა 1960 წელს იზეიმა,  
როდესაც შერეული ტექნიკით  
შესრულებული ბელადის პორტ-  
რეტი ვ. ი. ლენინის დაბადების  
90. წლისთავისადმი მიძღვნილი  
მოსკოვის გამოფენის ექსპონატად  
იქცა. ამ პორტრეტის ცალკეული  
დეტალების წარმოქმნაში მხატ-  
ვარმა ამჯობინა ეჩვენებინა უკვე  
მოპოვებული წარმატებებით კმა-  
ყოფილი, დამშვიდებული განწ-  
ყობილება. ჩვენები მომზირალი  
ჩაფიქრებული ბელადის გამომე-  
ტყველება მისი იდეების განხორ-  
ციელებით კმაყოფილი ის  
გრძნობას გადმოგვცემს, თითქოს  
იგი დღესაც ფიზიკურად ჩვენთან  
არის და საკუთარი თვალით ხე-  
დავს ჩვენს წარმატებებს. ბელა-  
დის სიდიადეს კარგად მიგვანიშ-  
ნებს მისი ბიუსტის წარმოსადეგი,  
ვაჟაფური მოყვანილბა.

შ. ხოლუაშვილმა ვ. ი. ლენინის  
დაბადების 100 წლისთავის იუბი-  
ლეს დღეებში შექმნა მრავალ-  
ფიგურიანი კომპოზიცია „1924  
წელი, იანვარი“. მას წინ უძლოდა  
ამავე თემაზე შესრულებული  
„გლოვა გორკაში“. ორივე ეს ფე-  
რწერული სურათი ქართულ ლე-  
ნინიანას ძირითად ფონდში დამკ-  
ვიდრდა.

1970 წელს მოსკოვში საიუბი-  
ლეო გამოფენაზე მონაწილეობის

შემდეგ „1924 წელი, იანვარი“  
სონკ კულტურის სამეცნიერო  
მიერ სოციალისტური შემსრულებელი  
სათვის მოწყობილი მოძრავი გა-  
მოფენის ექსპონატი გახდა. გამო-  
ფეხად წარმატებით მოიარა გერ-  
ბანის დემოკრატიული რესპუბ-  
ლიკა, რუმინეთის, ბულგარეთის,  
უგრეთის სახალხო რესპუბლი-  
კები. ამ ქვეყნების ხალხთა ეხებ-  
ზე დაბეჭდილ კატალოგებში აღ-  
ნიდასულია, ორგ აეტორი ბათუმე-  
ლი მხატვარია.

საკრაოდ მობრდილი ფორმატის.  
ეს ტილო ძირითადად მუქ-მოყავი-  
სფრო ფერებშია გადაწყვეტილი.  
სიუჟეტის გასამლელად მხატვარ-  
მა იოსების გარეუბანი აირჩია,  
სადაც საყოველთაო სამხედრო  
სწავლების მებრძოლები მორიგ-  
შეცადინებაზეა თავშეყრილი.  
მოულოდნელად ვ. ი. ლენინის გა-  
რდაცვალების თავზარდამცემი:  
ცნობა მოვიდა. ყველას გულს  
გლოვა დაუფლა. სახელდახე-  
ლოდ ლენინის ფოტოპორტრე-  
ტიც გამოიძებნა. იგი ორ მებრ-  
ძოლს ხელში უჭირავს. პორტრე-  
ტის წინ რკალისებურად განლა-  
გბულ მებრძოლთა დაღვრემილ  
სახეებზე სიმტკიცის ნიშნებიცა-  
ალბეჭდილი. მხატვარი მივნებუ-  
ლად გვაცნობს რკალისებურად:  
გადაწყვეტილ კომპოზიციურ ჩა-  
ნაფიქრს: ლენინის სახელს, მის  
იდეებს ყოველთვის გარს შემო-

ვევლებით, დავიცავთ. რკალის ბაოჯვესივ, ქვემოთ ღახატულია ადამიათი ჯგუფი. ამ ადამიანების მგლოვიარე, მაგრამ შემართებული კოშები უწყვეტი ნაკადის დასაწყისის გამომხატველია. ღილი ღენინი და მისი იდეები მუდამეაძს იცოცხლებენ, უპირველეს ყოვლისა მას დაიცავენ და ფოთებს ჟესხამენ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ყოველთვის მზად იქნებიან მოსალოდნელი ბრძოლებისათვის.

მიმზიდველია ცალკეული ფოგურების ერთმნეთისაგან განსხვავებული დაყენების გადაწყვეტა. დასამახსოვრებელია მარჯვენა ნაწილის ქვემოთ დაჩიქილი მედიცინის დის სახე.

მხატვარმა მოახერხა თოვლის თეთრ ფონზე მოშავო-მოყავისურო ფერების ისეთი გამის შექმნა, რომელიც კარგად გაღმოგვცემს სამგლოვიარო განწყობილებას.

აქარის თემები ბევრმა მხატვარმა აქცია თავისი ნიჭის გამოვლინების ძირითად საშუალებად, მაგრამ წარსულში მათი შემოქმედებითი მიღრეკილებები უმთავრესად ამ კუთხის ვიწრო ეთნოგრაფიის, ხან კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ბათუმში მომხდარი რევოლუციური მოვლენების ჩვენებით იფარგლებოდა. ეს მხატვარები მხოლოდ მაღლიერებით უნდა მოვიხსენიოთ, რადგან

მათი ნაღვაწი, გარკვეული მნიშვნელობით, ამ კუთხის კულტურული ისტორიის დამაშვენებელი ჩატარებულია.

თანამედროვე, ეკონომიკურად და კულტურულად ღიღად განვისარებული აქარის სახეობითი ხელოვნების ენით ამეტყველებაში ბევრი მხატვრის წვლილია, მაგრამ შ. ხოლუაშვილის წილხვედრი მაინც გამორჩეულია.

მხატვრის ლირსებად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ ოემებზე მუშაობისას არ ითარგლება მხოლოდ ეთნოგრაფიულ-ეგზოტიკური ნიშნებით. იგი ნიჭიერად პოულობს განსაზოგადოებული ხასიათის ელემენტებს, იმ საყოველთაღ ცნობილ სიახლეს, რაც ასე ერთნაირად დამახასიათებელია გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ყველა კუთხისათვის.

შ. ხოლუაშვილმა ბათუმელ მხატვართა შორის საზღვარგარეთისა და საკავშირო გამოფენებში ხშირი მონაწილეობის თავისებური რეკორდი დაამყარა. მისი რამდენიმე ქმნილება უკვე იყო 16 ასეთი გამოფენის ექსპონატი.

შ. ხოლუაშვილის სახელი საკავშირო გამოფენის კატალოგში პირველად 1954 წელს გამოჩნდა. ამ წელს მოსკოვში უმაღლესა სამხატვრო სასწავლებლების დიპლომანტ - სტუდენტთა საუკეთესოდ მიჩნეულ ნამუშევართა გამოფენა მოეწყო. შ. ხოლუაშვილის ფრიადზე შეფასებული „ი.

სტალინი ბათუმის არალეგალურ სტამბაში” მაღალმხატვრული ღორსების მქონე ექსპონატად აღიარეს და დარბაზის თვალსაჩინო ადგილის გამოაფინეს.

1957 წელს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა მხატვრების პარველი საკავშირო ყრილობა. ამ ფორუმს მიეძღვნა დიდი სამხატვრო გამოფენა, რომელიც რელიეფურად ასახვდა საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების მაღალ დონეს.

განყოფილებაში, სადაც წარმოდგენილი იყო ქართველ მხატვართა ნაწარმოებები, მაყურებელი დიდხანს ჩერდებოდა მომწვანო-მოვარდისფრო, ჰაეროვან, კოლორიტულ ფერებში შესრულებული პორტრეტის წინ. აქ აღბეჭდილია ჩვენი სახელოვანი მოცეკვავე ფ. კობალაძე. მის ავტორს, ახალგაზრდა მხატვარ შ. ხოლუაშვილს მეგობრები გულწრფელად ულოცავდნენ წარმატებას და უმთავრესად პორტრეტის საინტერესო, რთულ უანრში მტკიცედ დამკვიდრებას უსურვებდნენ.

მხატვარმა მეგობრების რჩევა ყურად იღო; მის პალიტრაზე ბევრი საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პიროვნებათა პორტრეტები იშვა.

შ. ხოლუაშვილის ნაწარმოები პირველად საზღვარგარეთ 1962

წელს გავიდა. ეს იყო ლაბატუსის ცნობილი ტრადიციული გამოფენა-ბაზაზრობა, სადაც საბჭოთა ფილმების შირის პავილიონში მდიდარ სამრრეწველო პროდუქციისთან ერთად ხელოვნების ნიმუშებიც გვხვდებოდა. აქ გამოფენილ რამდენიმე საბჭოთა მხატვრის ნამუშევართა შირის შ. ხოლუაშვილის ნახელავიც იყო. მხატვრის ტემპერის ცოცხალ ფერებში შესრულებული პორტრეტი „აჭარელი გოგონა“ უკან არ დაბრუნებულა. იგი ერთ ცნობილ ხელოვნების მეცენატს შეუძენია, როგორც მისთვის უცხო ეროვნული კოლორიტის თავისებური ნიმუში.

დამთვალიერებელთა აღიარება დაიმსახურა მხატვრის ბოლო დროის გულფურმა პორტრეტში „ასწლიანები“. ტილოზე ოთხი ხანდაზმული აჭარელია წარმოსახული. სახეების გამომეტყველება იმაზე მიუთითებს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მათი მოწოდება იყო სასარგებლო შრომა. ისინი კმაყოფილი არიან იმით, რაც ცხოვრებაში მოიქცეს. მაგრამ ადამიანი, ვიდრე ცოცხალია, რაღაც სასარგებლო საქმიანობას უნდა ეწეოდეს. ყოველი საბჭოთა ადამიანი ქვეყნის საშინაო და საგარეო მოვლენების კურსში უნდა იყოს. მათ გაზეთი გაუშლიათ და დიდი ინტერესით ეცნობან

ამბებს. მიგნებულად არის  
მინაშებული საბჭოთა პერიოდში  
აჭარაში მომხდარი უდიდესი გა-  
რდაქმნები.

აჭარელი გლეხისოფის წერა-კი-  
თხვა მოთხოვნილების საგნად  
მხოლოდ ჩვენმა ღრმ გადაქ-  
ცია. წინათ წერა-კითხვა მხოლოდ  
ერთეულების ხედრი იყო. ახლა  
ღრმიდ მოხუცებასაც კი ცხოვრება  
ვერ წარმოუდგენიათ უწიგნოდ  
და უგაზეთოდ.

არაჩვეულებრივი ფსიქოლო-  
გიური დახასიათების უნარით ტი-  
ლოზე ობეჭდილი ვაჟკაცური შე-  
მართების მოხუცები დიდხან-  
რჩებიან ჩვენს მეხსიერებაში.

მაჟურებელთა შეუნელებელა  
ინტერესი გამოიწვია მხატვრის  
თავისებურად გააზრებულ მა.  
ჯგუფური პორტრეტის სტილში  
გადაწყვეტილმა „ათმა შეილმა“.  
აჭარა საქართველოს ისეთი და-  
ლლცვილი კუთხეთაგანია, საღაც  
მასობრივად გვხვდება მრავალ-  
შეილიანი ოჯახები. ერთვარი სი-  
ნაულის გრძნობა გვიპყრობს  
იმის გამო, რომ ასე დასაფასებე-  
ლი, დიდი ეროვნული მნიშვნელ-  
ობის თემა იშვიათად თუ ხდება  
ხელოვანთა ინტერესის საგანი.  
ხოლუაშეილმა, შეიძლება ითქვას,  
თანამედროვეთა შორის პირველ-  
მა იქისრა ასეთი მამულიშვილუ-  
რი თემის მხატვრული ფერებით  
ხორცესხმა და, როგორც უკვე  
ითქვა, საქმაო წარმატებასაც მი-  
აღწია.

კომპოზიციის ცენტრში, არა  
ისე ხანში შესული, განმავით  
დედ-მამა ზის. მათ სახეზე უმცირდები  
ფილების, სიამაყის გრძნობულობებია  
აფობს. ორი შვილი საბჭოთა არ-  
მიისა და ფლოტის სამსახურშია,  
ორი, ყველაზე უფროსი, დამოუ-  
კიდებელ შრომას ეწევა — ერთი  
მათგანი მრეწველობის დარგის  
ოსტატია, ხოლო მეორე ინტელი-  
გენტი. მომდევნო და-ძმა სტუდე-  
ნტებრ ასაქს განეკუთვნება, ორიც  
მოსწავლეა, ხოლო ყველაზე უმ-  
ცროსი ორი დაიკო ჯერ პატარე-  
ბია, მაგრამ ჩამოთვლა არ დამთა-  
ვრებულა; უმცროსი შეილის გვე-  
რდით, მარცხნივ, ძელსკამზე თა-  
ვისუფალი აღგილია, სადაც კა-  
დევ შეიძლება რამდენიმე შეილი  
მოთავსდეს. სურათის მარჯვენა  
ნაწილში დახატული თოხი, ვაზი,  
დოქი და ფიალი კარგად მიგვან-  
შნებს ოჯახის სიყვარულზე შრო-  
მისადმი და იმას, რომ ასეთი ოჯ-  
ახის წევრები ყოველთვის დღე-  
გრძელები იქნებიან.

შ. ხოლუაშვილმა დიდი ქარა-  
ველი თვითნაშვალი მხატვრის  
ნ. ფიროსმანიშვილის საცორად  
ამაღლვებელი ბიოგრაფიის თე-  
მას მიუძღვნა თავისებურად გააზ-  
რებული სურათი „ფიროსმანი  
აჭარაში“.

ცნობილია, რომ ნ. ფიროსმანი-  
შვილი, ვიდრე მხატვრობას პრო-  
ფესიალ გაიხდიდა, 1891-1894  
წლებში რეინიგზაზე პუშაობდა

სატვირთო მატარებლის კონდუ-  
ქტორად. ამ ხანებში იგი ბევრ-  
ჯერ მოინახულებდა ბათუმშაც.

ბათუმის მომხიბლავი წედები  
სამუდამოდ აღიძევდა რ. ფიროს-  
მანიშვილის მეხსიერებაში და რა-  
მდენიმე ხნის შემდეგ — 1909  
წელს ზექმნა საკმაოდ რათულსიუ-  
შეტანი პეიზაჟური სურათი „ბა-  
თუმი“. ეს ფერწერული კომპო-  
ზიცა მხოლოდ ძველი „ვთაბეჭ-  
დილებების ნაყოფია, რაღან წა-  
რმოსახული პეიზაჟის მთელი რი-  
გი ფრაგმენტები ნატურიდან შე-  
სრულებულს არ ჰგავს.

შ. ხოლუაშვილს სჭერა, რომ  
ფიროსმანიშვილი ყოველთვის იქ-  
ენდა ქართული ყოფასადმა დაკ-  
ვირვების ინტერესს და აუცილე-  
ბლად ბათუმშიც გაიჩნდა მეგო-  
ბრებს, მათ ოჯახებსაც ეშვეოდა.  
სწორედ ასეთი სურათია ვაჭმო-  
ცემული ტილოზე „ფიროსმანი  
აჭარაში“. სახელდახელოდ გაშ-  
ლილ დაბალ სუფრას აჭარელ გა-  
სპინძელთან ერთად ნიკოც უხის.  
ორივეს ხელში ლვინია სავსე თი-  
ხის ფიალა დაუკავებია და  
გვწამს, ამ კუთხის დედასამშობ-  
ლოსთან შემოერთების საღლეგრ-  
ძელოს მიირთმევენ. ახალგაზრდა  
კაცა, რომელიც სუფრას ემსახუ-  
რება, ეს-ეს არის, აჭარაში შემო-

ნახული ტრადიციის შინებული  
ჭვაოდამული ცხელი შეადა შე  
მოიტანა.   
საქართველოს  
მთავრობის

სუფრა შუქჩრდილებით არის  
მოფეხილი, რომლის ფონზე  
შთაბეჭდავად გამოიყურებან  
მიმზიდველ ფერებში დახატული  
ფიგურები. საერთო ფონის კონ-  
ტრასტული ფერებიც მხატვოს  
იძიროს დასჭირდა, ომ ნ. ფი-  
როსმანიშვილის ფერწერული ძა-  
ნერისათვის გაესვა ხაზი.

შ. ხოლუაშვილის ბევრი ნახე-  
ლავი ლირიკულ-მუსიკალურ ას-  
პექტშია გადაწყვეტილი. ამ მხრივ  
განსაკუთრებულ მოწონებას იმ-  
სახურებს „იდილია“. თბილ ფე-  
რებში წარმოდგენილი ახალგაზ-  
რდა ქალ-ვაჟის სახე შთამბეჭდა-  
ვად გაღმოგვცემს ერთმანეთის  
პატივისცემისა და უზაღო სიყვა-  
რულის გრძნობებს. ჩვენც, ამ  
სცენის შემხედვარეს, ძალაუნე-  
ბურად გვინდა ვიწამოთ აქვეყ-  
ნიური ოპტიმიზმის მთავარი წყა-  
როს — სიყვარულის ძალა.

მხოლოდ ამით უნდა ავხსნათ ამ  
სურათის დიდი წარმატება. ის  
იყო საკაშირო გამოფენის ექს-  
პონატი, 1965 წელს კი საჩუქრად  
გადაეცა ბულგარეთის სახალხო  
რესპუბლიკის დელეგაციას, ხო-  
ლო უურნალმა „ისკუსტვომ“  
1968 წელს მისი რეპროდუქცია  
გამოაქვეყნა. პოპულარობის მაჩ-

ვენებელია ისიც, რომ სურათის ავტორისეული ასლი თბომავალ „აჭარის“ ხალონის ამშვენებს. მხატვარმა კომპოზიციის ფონად ნარინჯოვანი ფერებით დაყურსული ბარაქიანი შემოდგომა გამოიყენა. როდესაც ყველაფერი, მათ შორის გამოსახული ახალგაზრდებიც. მომწიფებულია და მომკის, მოსავლის აღებას ელოდებიან.

შ. ხოლუაშვილის კომპოზიციისათვის დამახასიათებელია ექსპრესიულობა, ფიგურების ისეთ მოძრავ მდგომარეობაში წარმოსახვა, რაც აუცილებლად საჭიროა და ლოგიკურად გაშომდინარეობს ჩაფიქრებული სიუჟეტის ხასიათიდან.

როდესაც უყურებთ კომპოზიციებს „ბათუმელი გემთშენებლები“, „მშვიდობის გზაზე“, „ლაზური ცეკვა“, „ქართული მილიცია სამამულო ომში“, შეუძლებელია მათი სხვაგვარი ტრაქტოვკა წარმოვადგინოთ.

ზოგიერთ ტილოზე ასახული სიუჟეტის ფორმისათვის მხატვარი თითქოს არ იყენებს დინამიურ მანერას, მაგრამ მაყურებელი გრძნობს ძალუმი მოძრაობის პოტენციას.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მხატვრის ინტერესი მონუმენტური ფერწერისადმი. ამ უანრის ნაწარმოებთა შორის გვხვდება როგორც თემატური, ისე პორტრე-

ტული ხელოვნების ნიმუშები, ავტორმა რამდენიმე პორტრეტში რუსთაველის სახე გამოყენება. მგოსნის ლეგენდარული პირების ფის ფრაგმენტებზე ააგო აგრეთვე ზოგი თემატური კომპოზიციაც.

ავტორის საკმაოდ მოზრდილი პანორამა მოთავსებული ქალაქის ყველაზე დიდი კინოთეატრის „თბილისის“ ფოინსა და საკოლმეურნეო ბაზრის შიგა კედლებზე. პიოველში ჩვენი კუთხის ზაფხულის პერიოდის სცენებია ასახული, ხოლო მეორეში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეა ნაჩვენები.

რევოლუციის მუზეუმის ვესტიბიულის კედლებს შ. ხოლუაშვილის მიერ ორ სხვა მხატვართან თანაავტორობით შექმნილი ორი მოზრდილი მოზაიკა ამშვენებს: „წითელი არმიის შემოსვლა თბილისში“ და „აჭარის ასსრ დაყიდლოება ლენინის ორდენით 1967 წელს“. შ. ხოლუაშვილის ამ უანრის ნიმუშები მნახველს ხიბლავს ისეთი მოზაიკური პრინციპების გამოყენებით, როცა ყოველი ფიგურა მშრალი დეკორაციულობის გვერდის ავლით მიმზიდველ მონუმენტურ ფერწერულ მანერაშია გადაწყვეტილი.

1971 წელს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე, ჩვენს სინამდვილეში

პირველად, დამზადდა საიუბილეო შედალი. მედლის ერთ მხარეზე აქარის ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის დამახსასიათებელი ნიშნებია გამოსახული, ხოლო მეორე მხარეზე — დამჯდარი დედა, რომელიც ყრმას ძუძუს აწოვებს; მის კმაყოფილების გამომხატველ პირი სახეზე მომავლის რწმენაც არის აღმდეგდილი. მედლის მთლიანა გრაფიკული გამოსახულება კარგიდ მიგვანიშნებს დედის — საქართველოს ზრუნვის შეილებზე — მის წინათ დააჩვრულ ან ჩამორჩენილ კუთხებზე, მათ შორის აჭარაზე.

ეს საიუბილეო მედალი საჩუქრად გადაეცა იუბილესადმი მისაღვნილი საზეიმო სხდომის ყველა მონაწილეს, აგრეთვე გადაეგზავნა სსრკ ყველა მოკავშირე და აკტონომიურ რესპუბლიკებს.

ამ მედლის ავტორია შ. ხოლუაშვილი.

ახლა ჩვენში ფართოდ დამკვიდრდა გამოთქმა — „მხატვრობის ნაციონალური სკოლა“, რაც ამათუ იმ მოკავშირე რესპუბლიკაში ეროვნული კადრების მიერ შექმნილ ნაციონალურ სახვით ხელოვნებას გულისხმობს. ამით ხაჩს უსვამენ ასახვის ფორმათა და საშუალებათა თავისებურებებს,

რომლებიც რელიეფურად გადმოგვცემენ ეროვნულ ხისიათს და კულტურულ დიკიებსა და ყოფა-ცხრის განვითარებას დამახსასიათებელს მხოლოდ ამ ხალხისათვის, ასეთი გეოგრაფიული მდებარეობისათვის, სადაც ფერების შეხამების განსხვავებული ბუნებრივი კოლორიტია შექმნილი.

როდესაც ლაპარაკობენ ქართული ფერწერის ნაციონალური სკოლის დამახსასიათებელ თვისებებზე. პირველ რიგში აღნიშვნენ სამხრეთული ბუნების კაშკაშა ფერადოვნებას, მზის სხივების სიუხვის წყალობით შექმნილ ბრწყინვალებას. მართლაც, ასეთ გეოგრაფიულ გარემოში აღზრდილი მხატვარი შეუძლებელია ხასხასა ფერების ტრფიალი არ გახდეს. ისე როგორც ყველა ქართველი მხატვარი, შ. ხოლუაშვილიც ამ განწყობილებით სუნთქვას.

შ. ხოლუაშვილი ყოველთვის ცდილობს მისი ნაწარმოები ახდენდეს მხატვრულ - ემოციურ ეფექტს, მაგრამ ეს მისთვის თვითმიზანი არ არის.

მხატვარი ცდილობს თავისი ფერწერულ - პლასტიკური ენა, ფერების მძაფრი კოლორიტი, კომპოზიციური აგების მანერა ყოველთვის ექვემდებარებოდეს საკუთარ სტილს.

ბოლო ხანებში მხატვარი დიდ უურადღებას უთმობს ფერის ემ-ოციურ-სახეობრივ მნიშვნელობას. იგი გრძნობს, რომ თავის ჩანაფიქრს უფრო მეტად წითელი ფერი გაამჟღავნებს, მაგრამ არა ხასხასა და მკეთრი წითელი, არა მეტად მასთან შეხამებული ნაკლებად შეჩრდინავი თბილი ფერები. ასეთი შეზავების წყალობით შ. ხოლუაშვილი მიისწრავის შექმნას ისეთი კოლორიტი, რომელიც შესანიშნავად ეგუება ქართველი კაცის ბუნებას. ფერწერა მხატვარს მიაჩნია დაუსრულებული ძიების საგნად.

შ. ხოლუაშვილი იზიარებს ეს გრეკოს ცნობილ გამოთქმას: „მე ჩემს სურათებში ვისწრაფვი არა დამთავრებულობისაკენ, არამედ უსასრულობისაკენ“. მას მხედველობაში აქვს არა იმდენად ყველა ფრაგმენტის დეტალურად დამუშავება, არამედ ისეთი განწყობილების შექმნა, რომელიც მუდამ ააღლვებს, მოხიბლავს, ახლებურად განაწყობს ადამიანებს.

შ. ხოლუაშვილი გულდაჭერების გრძნობას ნაკლებად აყოლილი მხატვარია. იგი არ გეტვის რას აკეთებს დღეს, არც უახლოესი დროის გეგმებს გაგაცნობს. მას უყვარს, ხანგრძლივად ჩაიკეტოს თავის სახელოსნოში და თავაუღებლივ იშრომოს შემოქმედებითი „ლაბორატორიული“ ძიების ატმოსფეროში.

ეს ყველაფერი მოსაწონია, მა-

გრამ ჩვენ პირადად უკმაყოფილ ების გრძნობა გვეუფლება, დესაც არაპირდაპირი გზადაფლული გებთ მისი ახალი, ჩვენთქმულ ნობი ნაწარმოების რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებზე მოგზაურობის ამბავს. ისიც უნდა ვუსავუდუროთ, რომ ბათუმელები წმინდად მოკლებული არიან ვისი ცალკეული მნიშვნელოვანი ნაწარმოებების ნახვის საშუალებას.

ჩვენ ღრმად გვწაშს, რომ შ. ხოლუაშვილი მისი უნარისა და ხალასი ნიჭის შესაფერ, საესებით გამართლებულ და მოსაწონ შემოქმედებით გზაზე დგას, მაგრამ მაინც გვაქვს რამდენიმე შენიშვნა, გვსურს მეგობრულად ვურჩიოთ ზოგი რამ.

ჩვენი დაკვირვებით, მხატვარი ხანდახან უგულებელყოფს ნატურაზე მუშაობის პრინციპს, მაგალითად, სურათში „ბათუმელი გემიშენებლები“, გემის კიჩი ნატურიდან არ არის შესრულებული. ასეთ დიდ გემებს ბათუმში ვი არ ავებენ.

ხელოვნების ისტორია იცნობს ისეთ შემოხვევებს, როდესაც მრავალფიგურიანი სურათი ხშირად მოდელების გამოყენების გარეშე იქმნებოდა. ცნობილი ესპანელი მხატვარი ველასკესი ყოფითი თუ მითოლოგიური სიუერტების შექმნისათვის მოდელებად სხვადასხვა პირობებში შეხვედრილ, მის მეხსიერებაში მკვეთრად აღმოჩდილ ადამიანთა ფა-

გურებს იყენებდა. მაგრამ ეს იყო  
გამონაკლისი. ნატურის სიყვარუ-  
ლი და დაფასება ველასკესის  
მთავარი პრინციპი იყო. შეუძლე-  
ბელია რთულსიუჟეტიანი სურა-  
თის დამთავრება წინასწარ ეტიუ-  
დების შექმნის გარეშე, ვარიან-  
ტებისა და ესკიზების გარეშე. მა-  
სალების ძებნის გრძელი გზის გა-  
ვლის პროცესში ყველა დეტალი  
ნატურის საშუალებით უნდა შე-  
მოწმდეს.

ასევე გვინდა — უფრო მეტად  
პლენერზე მუშაობის უშუალო

ნაყოფი ვიხილოთ. ისიც გვიჩვი-  
რომ მხატვარმა განაგრძოს პრიუ-  
ტრეტის საინტერესო ღამისულობა  
უანრში მოღვაწეობა.

ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ ნა-  
წილობრივ დაგვეხატა შ. ხოლუა-  
შვილის მეტად საინტერესო და  
მრავალფეროვანი შემოქმედება-  
თი პორტრეტი.

მალე შ. ხოლუაშვილს შემოქ-  
მედებითი მოღვაწეობის 20 წელი  
შეუსრულდება. ამ თარიღს მიეძ-  
ღვნება მისი პერსონალური გა-  
მოფენა.

## ШУРЧНАЛ „ЗМІРЖЛІСІ“ 1978 ІЛЛІС БІОМЕДІА

### ШІДЕНАРСА

ЛІЧКІСІ, ЗМІРЖЛІ

БІОМЕДІА,  
БІОІДІАСІРДА, БАРАВІІ

аңтасаңғ ғісаңа — \*\*\* үзілә ზәләп-  
қыс და саңғысін (лікісі), № 2, лікісі-  
ні, № 5.

аңтасаңға құзақ — ғұнба (лікісі),  
№ 3.

аңаңдік әуе — лікісіні, № 5.

аңаңдік үштә — лікісіні, № 5.

ғалшығын әкім — мұзғөзбішін (лікісі),  
№ 2.

ғонкіләндік ғүрәл — лікісіні, № 3,  
№ 5, № 6.

ғісаңа ғісаңа — лікісіні, № 2.

ғаңтасаңға әмбен — лікісіні, № 5.

ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 1,  
№ 3, қаңтасаңға (лікісі), № 6.

ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 1, лікі-  
сіні, № 4.

ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 2.

ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 2,  
ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 5.

ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 2.

ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 2,  
ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 4.

ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 3.

ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 4.

ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 5.

ғаңтасаңға ғаңтасаңға — лікісіні, № 5.

мәндеңдік ғісаңа — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (мәндеңдік), № 1, ғаңтасаңға (мәндең-  
дік), № 5, № 6.

мәндеңдік ғісаңа — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (мәндеңдік), № 1, № 2, № 3.

мәндеңдік ғісаңа — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (мәндеңдік), № 1.

мәндеңдік ғісаңа — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (мәндеңдік), № 2.

мәндеңдік ғісаңа — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (мәндеңдік), № 4, № 5.

мәндеңдік ғісаңа — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (мәндеңдік), № 2.

мәндеңдік ғісаңа — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (мәндеңдік), № 4.

мәндеңдік ғісаңа — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (мәндеңдік), № 3.

мәндеңдік ғісаңа — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (мәндеңдік), № 4.

мәндеңдік ғісаңа — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (мәндеңдік), № 1.

### АРДІСІЛІКТАРДА ҚАРДАЛЫПСЫЗДЕСІ

жоннаңа қаңын — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (жоннаңа), № 5.

жоннаңа қаңын — ғүйнің ғаңтасаңға-  
лы (жоннаңа), № 2.

## ՇԱՀՈՂՋԵՑՈ

Ճանուա ճռդար — յս ոյո սածքոտա  
Յնչերլցըն քոթա գոգո ցործիմի  
ֆին, № 6.

Ճհրամի՛ցոլո ցլուսո — լուրջուլուսա  
დա ումոռուսէրուլուս շրտոցրտմօմահուցըն  
նոյտ լորդոյնցանոնիս Մեմոքմեցիցի մանաշո.  
№ 6.

Ճըհոյց մերած — ցոլլուլորոնիմո լո-  
ճո մրցլա՛ցոլուս հոմանիշո ՝ “պահածո”,  
№ 2.

Ճյժօրո՛ցոլո ոռեցօ — հոցոր ամշ-  
լունեցելնեն յարուցընեց, № 6.

Ճազուամք յմբն — զանցու ՝ “ուսեարա”,  
№ 2.

Ճռլուց յահլու — սակոլուանո ցիծ,  
№ 4.

Ճըմշոյուա յոնեստաներունցունց — սոյցու սո-  
ւրուսա, № 4.

Ճոկոլուրո՛ցոլո ավտանգուլ — ձոյրուս  
քետրուցըն մօմթներուս սացանց, № 2.

Ճռլայլուրո ճանուլո — յեռուս լոյմ-  
սոյուսատցուս պարուլմի, № 5.

Ճացուլո՛ցոլո ճացլո — զարդուսա դա  
ծուլծուլուս սոմծուլոյա մցուլ յահլուլ  
Յնչերլունեցի, № 3.

Սուրմանուց համաչ — Յըուր Յանինին  
№ 1.

Ճարյօնշոյուլո տուր — Յըուր Յանինին  
հոկունուսուլո ցըհուսուս կոցուրուուրուն  
մըներար, № 4.

Շունու այցօ — մյեխուց սոյսածուս եօ-  
մլցրա, № 1.

Քաջարոնցոլո մյուսած — յամոնուուլո  
շրտոցրտուրա, № 3.

Քաջարոնցու Շունու — ցանցու դա սուն-  
քունուուլո մյունեղուսուս ցանցուարեցնե  
սայոտեցի, № 6.

## ԿԵԼԾԱՅԵՎԱԾ

Շարա՛՛նուց լուգու — մեսրուարո դա շա-  
նմեցլուցուրա, № 3. Մյենցուրու դան  
մեսրուարտան, № 4. Ըսմիսենուրունցուլո ալ-  
ուորյօս, № 6.

## ՏԵՐՈՒԽԱԾ

Ըսմիսա լու յաշունիւ — մոմիցունիս եցը-  
գու, № 2.

Կասրաց յահլուս — նըսանի, № 4.

## ՇՈՑԲՈՆ ԾԱԿՈՒ

Կանցօց ամօհան — սանէրուցու ճանու-  
մո յահլուլո սածքուրու արշեռուոցուն  
ցանցուարեցնես Շըսասցօ, № 5.

6. 5/9



ვალი 40 ვაკ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 76118